პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

2 ივლისი **შაბათი** 2011

№ 153 (13 450) ფასი 80 თეთრი



12

# №1 VS №1



16

უიმბლდონის ფინალში ერთმანეთს ნოვაკ ჯოკოვიჩი და რაფაელ ნადალი შეხვდებიან

# გავიხაროთ ანასეულით

LOCK OUT!

# NBA-ს რა? ქვა




15

კოპა ამერიკა დაიწყო! ისიამოვნეთ ფეხბურთით

# ეს კონტინენტი სულ ფეხმძიმეა, აჩენს და აჩენს ვარსკვლავებს

COPA AMERICA ARGENTINA 2011



ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

# ეს ბიჭი კარგად თამაშობს

## ბავშვობიდან შემტევი ჯაბა ჯილაური: მოედანი და მორიდება?!



ჯაბა ჯილაური

თბილისის "დინამოსა" და მოლდოვური "მილსამის" შეხვედრაში გულშემატკივარს დაამახსოვრდებოდა ჯაბა ჯილაური. ევროპის ლიგაში სადებიუტო შეხვედრაში ისე თამამად გამოიყურებოდა, თითქოს წლების გამოცდილება ჰქონდა – არადა, ტექნიკური, ენერგიული და საფეხბურთო თავხედობით დაჯილდოებული დინამოელი, რომელმაც საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, 18 წლისაა.

ჯილაურმა "დინამოში" მეორე შეხვედრა ჩაატარა და ორივეში თავი დაგვამახსოვრა. სადებიუტო მატჩი ქუთაისის "ტორპედოსთან"ჰქონდა დასრულებული ჩემპიონატის ბოლო ტურში, გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ბოლო მატჩში კახა კაჭარავა ენდო, ძირითადში დააყენა და ახალგაზრდა ცენტრალურმა ნახევარმცველმა ულამაზესი გოლი გაიტანა.

უთამაშია საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც - ოთარ გაბელიამ ხორვატიასთან მოგებულ შეხვედრაში ორიოდე წუთით შეუშვა მოედანზე.

მოკლედ, 2011 წელი ჯაბა ჯილაურისთვის კარგად დაიწყო. "მილსამისთან" მატჩის შემდეგ „დინამოს" ახალბედას ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- გულშემატკივარი არ გიცნობს და გვითხარი, სად ვარჯიშობდი?**

- "დინამოს" აკადემიის გაზრდილი ვარ, ბოლო დრომდე "დინამო 2"-ში ვთამაშობდი და მხოლოდ გასული სეზონის ბოლოს გადამიყვანეს "დინამოს" ძირითად გუნდში. "მილსამისთან" გუნდის ფორმა ოფიციალურად მეორედ მოვირგე.

**- ალბათ, მოულოდნელი იყო, ალექს გარსია რომ გენდო და ძირითად შემადგენლობაში დაგაყენა.**

- მოულოდნელიც იყო და სასიამოვნოც.

**- ბავშვობაშიც იმავე პოზიციაზე თამაშობდი, სადაც ახლა გათამაშებენ?**

- პატარაობიდანაც შემტევ ნახევარმცველობას მავალებდნენ.

**- "მილსამი" სერიოზული გუნდი არ ჩანს, მაგრამ ევროდებიუტისას ყველა ნერვიულობს, შენ კი გამოცდილივით თამამად ითამაშე.**

- საერთოდ, მოედანზე მორიდება არ მახასიათებს, რადგან არც არის საჭირო — ნებისმიერ მეტოქესთან უნდა იბრძოლო. ცხოვრებაშიც ასეთი ვარ.

**- პირველ ტაიმში გუნდი საკმაოდ შებოჭილი ჩანდა.**

- ეტყობა, ცოტას ვღელავდით. თუმცა მეორე ტაიმში ჩვენი თამაში „დავიჭირეთ" და "მილსამის" აშკარად ვაჯობეთ. ჩემთვის მაინც პირველი მატჩი იყო და ადაპტაციისთვის ტაიმი დამჭირდა. მთლიანობაში ჩვენი თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ყველაფერი მეორე შეხვედრაში გადაწყდება.

დინამოს პრეზიდენტის კომენტარი



რომან ფიფია



ალექს გარსია

# მიმართულება და სტილი

## ფიფიამ მოსაწონი დაინახა

ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოლდოვის "მილსამისთან"გამარჯვებამ თბილისის "დინამოს" მეპატრონე **რომან ფიფია** ძალიან გაახარა.

*"კარგია, რომ ლამაზად გავიმარჯვეთ, რაც მთელმა ქვეყანამ ნახა. ახლა მეორე ეტაპზე გასვლის მშვენიერი შანსი გვაქვს. ხალხმა დაინახა, რომ ჩვენს ბიჭებს ფეხბურთის თამაში შესძლებიათ და ნელ-ნელა ეჩვევიან იმ ფეხბურთს, გულშემატკივარს რომ მოსწონს. მე ეს ყველაზე მეტად მახარებს. თბილისის "დინამომ" სწორედ ასე უნდა ითამაშოს. რა თქმა უნდა, ბევრი რამ დასახვეწია, მაგრამ მიმართულება და თამაშის სტილი მოსაწონი იყო"* – თქვა ფიფიამ.

"დინამოს" აღმასრულებელი დირექტორი **ზურაბ პოლოლიკაშვილი** კი ამბობს:*"ძალიან მიხარია, რომ პირველი შეხვედრა წარმატებით ჩავატარეთ. მადლობა გულშემატკივარს, რომელიც მრავლად მოვიდა და მხარი დაგვიჭირა. მთავარია, ასე გავაგრძელოთ. დიდი იმედი მაქვს, რომ მეორე ეტაპზე გავალთ და ქომაგებს უფრო მეტად გავახარებთ. ისიც მაიმედებს, რომ მეორე ეტაპზე ესპანელები დაგვემატებიან, გუნდიც უფრო შეთამაშდება და გავძლიერდებით. ეს ყველაფერი კი თამაშსა და შედეგებზე აისახება".*

ინფრასტრუქტურა

# ტენდერია თუ ოლიმპიადა: მთავარი მონაწილეობაა?

## ისე გამოვიდა, რომ ამ ჯერზე არაფერი გამოვიდა

სასიამოვნო ამბავი ნამდვილად არ არის - ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ერთი თვის წინ მოედნების დასაგებად გამოცხადებული ტენდერი, ფაქტობრივად, უშედეგოდ დასრულდა.

ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობამ გორის, ქობულეთისა და ფოთის სტადიონებზე უეფას მოთხოვნების შესაბამისი ბალახის საფრის დასაგებად ფეხბურთის ფედერაციას 2,5 მილიონი ლარი გამოუყო, ანუ თითო საფრისთვის 833 ათასი ლარი, რაც სავსებით საკმარისი იქნებოდა.

თუმცა, ფედერაციის პრესსამსახური იუწყება, რომ ტენდერის მონაწილე კომპანიებმა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობები ვერ დააკმაყოფილეს. აქ საინტერესო ამბებიც მომხდარა: თურმე, ორი მონაწილე ქართული კომპანია, შპს „სთარი 2007" და შპს „გრინვორლდი", ფედერაციის დასკვნით, ერთად უნდა განიხილებოდეს, რადგან მათ აბსოლუტურად იდენტური დოკუმენტაცია წარადგინეს, ოღონდ განსხვავებული ფასებით. ამის გამო მათ ხელახლა გასამართ ტენდერში მონაწილეობაზე "წითელი აუნთეს".

*"დოკუმენტაციის განხილვისას აშკარად ჩანს, რომ საქმიანი ქაღალდები მომზადებული და ამობეჭდილია ერთი და იმავე კომპიუტერში, მასალა მიღებულია ერთი და იმავე ელფოსტის მისამართიდან, ასევე იდენტურია ამობეჭდვის დრო და შემდგომ გაკეთებული ქსეროასლები, რაც მათი დისკვალიფიკაციის საფუძველი გახდა,"* – იუწყება ფედერაციის პრესსამსახური.

დაიწუნეს კიდევ ერთი ქართული კომპანიის, შპს "უნიმშენის" სატენდერო განაცხადი, რადგან სერტიფიკატები თურქულ ენაზე წარმოადგინა.

უარი ეთქვა ბერძნულ კომპანია "კრისტიან სიმუნოვიჩი – სპორტენგისაც", რადგან ფედერაციაში ჩათვალეს, რომ კომპანიამ დოკუმენტაციის შევსებისას გულგრილი დამოკიდებულება გამოიჩინა.

ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ფედერაციამ კიდევ ერთხელ უნდა გამართოს ტენდერი, რომლის შედეგების გამოცხადება, მერე კი ეროვნულ ჩემპიონატში სამი ხარისხიანი მოედნის დაგების ვადა შემოდგომისთვის გადაიწევს.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ცა, კი ბატონო, ფირუზი, ხმელეთია და, ზურმუხტი... არადა, წლებია, შევნატრით ბალახს ჩვენს გახრიოკებულ სტადიონებზე



ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ბანანცი-მეტალურგის შემდეგ



**ნუ ავარდები! აი, რატომ გააწითლეს ირაკლი ქობალია**

# რუსთაველებმა თავდაჯერებული სომხები დააჯერეს

## ქობალიას კი გაუგეს და აპატიეს, გოლის ხათრითო

**თორნიკე მაისურაძემ და რუსთავის "მეტალურგმა" ევროპის ლიგა მშვენიერი გამარჯვებით დაიწყეს – 30 ივნისს ერევანში "ბანანცს" ირაკლი ქობალიას ერთადერთი გოლით სძლიეს, თანაც რუსთაველებმა უპირატესობა 10 კაცით შეინარჩუნეს.**

**მეზობლების მატჩი ყოველთვის პრინციპულია, მით უფრო, სომხურ-ქართული დაპირისპირება – ამ მატჩებში ყოველთვის იყო, არის და იქნება მეზობელზე უპირატესობის დამტკიცების სურვილი, ამის საუკეთესო საშუალება კი უშუალო შეხვედრებია.**

**კენჭისყრის შემდეგ "ბანანცის" პრეზიდენტი სარგის ისრაელიანი გახარებული იყო, მაგრად გაგვიმართლაო. ცხადია, "მეტალურგი" სომეხთა სხვა შესაძლო მეტოქეებივით ძლიერი არ არის, მაგრამ მათმა საკუთარი შესაძლებლობების გადამეტებულმა შეფასებამ გაგვაკვირვა – ასე საშუალო ევროპული დონის გუნდის წარმომადგენელი თუ იტყოდა.**

**მატჩის შესახებ რუსთაველთა დირექტორი თორნიკე მაისურაძე გვესაუბრება:**

-მინდა, ჯერ "დინამოს" მივულოცო "მილსამისთან" გამარჯვება. ჩვენ საქართველოში ვართ კონკურენტები, თორემ საერთაშორისო სარბიელზე ერთ ქვეყანას წარმოვადგენთ და ყველას ერთმანეთის გამარჯვება გვახარებს.

რაც შეეხება „ბანანცთან" შეხვედრას: აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ მატჩამდე ძალიან თბილი და მეგობრული შეხვედრა მოგვიწყვეს, მაგრამ ხუმრობდნენ, დიდი ანგარიშით მოგიგებთო. ეტყობა, "მეტალურგის" თამაში არ ენახათ. რატომღაც ყველა დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდნენ. არ ვიცი, საიდან ჰქონდათ ასეთი რწმენა, არა მგონია, ქართული ფეხბურთი როდესმე მათ ფეხბურთზე ნაკლები ყოფილიყო ან ახლაა ნაკლები — დღეს.

ჩვენ საფუძვლიანად ვემზადებოდით და მხარდაჭერასაც ვგრძნობდით. ერევანში "ქართული ფოლადის' დირექტორი გივი გიგინეიშვილი ჩამოვიდა და გაგვამხნევა, რაც ბიჭებისთვის ბევრს ნიშნავდა. თუმცა, ხომ იცით, ასეთ შეხვედრაში დამატებითი სტიმული საჭირო არც არის, ყველა განსაკუთრებულად მობილიზებული იყო.

თუმცა სამი ფეხბურთელი გვაკლდა – მხოლოდ მეორე ეტაპისთვის დავიმატებთ ახალწვეულ დიმიტრი ტატანაშვილს, ტრავმირებულია გიორგი მურველაშვილი, დენის დობროვოლსკიმ კი აპენდიც-იტის ოპერაცია გაიკეთა და ჯერ მისი დატვირთვა არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, ყველა სჯეროდა, რომ უნდა მოგვეგო.

**- მატჩზე რას გვეტყვით?**

- მოდი, მათი მთავარი მწვრთნელის, რაფაელ ნაზარიანის მიერ პრესკონფერენციაზე ნათქვამს გეტყვით: - "მეტალურგი" ჩვენზე ბევრად ძლიერი გუნდი ყოფილაო. ეს აღიარება მატჩის ობიექტური შეფასება იყო. ირაკლი ქობალია რომ არ გაეგდოთ, დარწმუნებული ვარ, კიდევ გავიტანდით და ამას სულაც არ ვამბობ ტრაბახით.

პირველი ტაიმის დასაწყისში შემოგვიტიეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და მერე "მეტალურგი" რომ გააქტიურდა და აგრესიულად ათამაშდა, ამას რატომღაც არ ელოდნენ. ტაიმი ისე დასრულდა, რეალური მომენტი არ შეუქმნიათ, ბურთს კი ჩვენ ვაკონტროლებდით. მეორე ტაიმში ქობალია რომ გაგვიგდეს, მაშინაც 10 წუთი თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, მერე კი ძალიან შემოგვიტიეს. მიუხედავად ამისა, რეალური საგოლე მომენტები 10 კაცითაც შევქმენით, სამწუხაროდ, ბოლო მომენტში მოდებაძემ და პავლიაშვილმა კარგად ვერ დაარტყეს.

**- ქობალიას გაძევებაზე რას იტყვით?**

- გამოცდილი მოთამაშე რომ ყოფილიყო, ასეთ ვითარებაში წითელ ბარათს არაფრის დიდებით არ მიიღებდა. გარკვეულწილად მისიც მესმის. ბიჭი შარშან რეგიონულ ლიგაში თამაშობდა, ახლა კი ევროთასზე გაიტანა და ემოციებმა სძლია. თუმცა ამჯერად გუნდი ამ საქციელს პატიობს, რადგან ირაკლის გოლით გავიმარჯვეთ.

**- 10 კაცით თამაში ძალიან გაგიჭირდათ?**

- გაგვიჭირდა იმის გამოც, რომ ერევანში დახუთული ჰაერი იყო და მეორე ტაიმში ბიჭებს მოძრაობა გაუჭირდათ. მსაჯმაც რატომღაც 4 წუთი დაამატა და ეს დრო 5,5 წუთამდე გაწელა, მაგრამ ბედნიერები ვართ, რომ გავიმარჯვეთ.

თუმცა ჯერ შემდეგ წრეში არ გავსულვართ, მხოლოდ პირველი მატჩი ჩავატარეთ და მობილიზება ახლა უფრო გვჭირდება: სომხებს დასაკარგი არაფერი აქვთ და უფრო თავისუფლად ითამაშებენ, ჩვენი ამოცანა კი ჰანდიკაპის შენარჩუნება და გაზრდა იქნება.

**- მართალია, რომ მატჩის შემდეგ "ბანანცის" წარმომადგენლებმა გამარჯვება არ მოგილოცეს?**

- სიმართლე გითხრათ, ისეთი გახარებული ვიყავი, ვინ რა გვითხრა თუ არ გვითხრა, არც მახსოვს. მართალია, ერევნელმა გულშემატკივარმა მოედნიდან გაძევებული ქობალია სტვენით გააცილა, სამაგიეროდ, ტაშით გამოაცილა გუნდი. ეს მათი მხრიდან ღირსეული საქციელი იყო.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ კაპიტანთან

ალექსანდრე კვახაძე:

# თბილად შეგვხვდნენ, მეზობლურად

## მეტალურგი ნახევარწლიანი გუნდი აღარ არის

**რუსთავის "მეტალურგმა" ერევანში გამარჯვებით ევროპის ლიგის მეორე ეტაპისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. გუნდის 26 წლის კაპიტან ალექსანდრე კვახაძეს განვლილი მატჩისა და "მეტალურგის" საევროთასო პერსპექტივების შესახებ გავესაუბრეთ.**

**- უპირველესად, გამარჯვებას გილოცავ. ერთი შეხედვით, ეს შედეგი "მეტალურგის" გულშემატკივრებს დამშვიდების საშუალებას აძლევს.**

- გამარჯვებამ ძალიან გაგვახარა, თუმცა კარგად გვესმის, რომ 7 ივლისსაც დიდი ბრძოლა გველის. გული იმაზეც მეთანაღრება, რომ უფრო სოლიდური სხვაობით მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე ტაიმი თითქმის მთლიანად კაცნაკლულად ვითამაშეთ და იძულებულები ვიყავით, მთელი ძალები დაცვაში გადაგვესროლა. ყველამ ბევრი იბრძოლა და, საბედნიეროდ, კარი მშრალად შევინახეთ. მთელმა გუნდმა მაღალ დონეზე ითამაშა, ჩვენს დაცვასა და ნახევარდაცვას უდიდესი ჯაფა დაადგა, დიდი საქმე გააკეთა თავდასხმაში მარტოდ დარჩენილმა ირაკლი მოდებაძემ, რომელიც მასპინძელთა შეტევების შეფერხებას გამუდმებით ცდილობდა.

**- საგოლე შანსები "ბანანცსაც" ჰქონდა და "მეტალურგსაც".**

- ასე იყო, მაგრამ მატჩი, ალბათ, მაინც ლოგიკური ანგარიშით დასრულდა. ერთ ეპიზოდში ბედმაც გაგვიღიმა, როცა მეტოქის მიერ ჩამოწოდებული ბურთი ჩვენი კარის ძელს მოხვდა.

**- "მეტალურგისა" და საკუთარი თამაშის ხარისხს როგორ შეაფასებ?**

- იქიდან გამომდინარე, რომ ეს სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი იყო, გუნდის თამაშს უდავოდ დადებითად შევაფასებ. საკუთარ თავზე ლაპარაკი მიჭირს, მაგრამ ვფიქრობ, მეც უშეცდომოდ ვითამაშე. სლოვენიაში ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ და წარმოუდგენელი იქნებოდა, ეს ფაქტორი გუნდის თამაშზე დადებითად არ ასახულიყო.

**- როგორი დავალებები მიიღეთ მწვრთნელებისგან მატჩამდე?**

- რაკი მეტოქეს კარგად არ ვიცნობდით, თავიდან ფრთხილად უნდა გვეთამაშა და მასპინძელთა ძლიერი და სუსტი მხარეები დაგვენახა, მოგვიანებით კი შეტევაშიც უნდა გვეცადა ბედი, რასაც თავი წარმატებით გავართვით.

**- სტადიონზე გულშემატკივრები "მეტალურგს" როგორ შეხვდნენ?**

- ძალიან თბილად. სტადიონზეც, სასტუმროშიც და, საერთოდ, ერევანში ყოფნისას იქაურები დიდი პატივისცემით გვეპყრობოდნენ. როგორც იცით, სომხეთში მატჩამდე სამი დღით ადრე ავტობუსით ჩავედით და დასვენებაც მოვასწარით და იქაურ კლიმატთან შეგუებაც. ერევანში ძალიან ცხელოდა და კიდევ კარგი, რომ თამაშამდე ძალების მოკრებისთვის დრო გვქონდა. სხვათა შორის, იქაური საფეხბურთო ინფრასტრუქტურაც ძალიან მომეწონა.

**- უკვე ცნობილია "მეტალურგის" სავარაუდო მეტოქეები ევროპის ლიგის მეორე ეტაპზე.**

- ამაზე ჯერ ბევრს არ ვფიქრობთ, სჯობს, ჯერ "ბანანცთან" მოვამთავროთ საქმე. თუმცა, ბუნებრივია, მხოლოდ ერთი ეტაპის გადალახვა არ დაგვაკმაყოფილებს და შემდეგ რაუნდშიც გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. "იაგელონიაც" და "ირტიშიც" ძლიერი კლუბები არიან, მაგრამ გადაულახავი ბარიერი არც ერთი მათგანი არ არის.

**- წელიწადზე მეტია, "მეტალურგის" ფეხბურთელი ხარ. რა მოგცა ამ კლუბში გატარებულმა პერიოდმა და განვითარების რა პერსპექტივა აქვს მას?**

- ამ ერთი წლის განმავლობაში კლუბში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა, ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი კი ახალი ხელმძღვანელობის მოსვლა იყო, რაც "მეტალურგს" უთუოდ წაადგა. თუკი ადრე "ოლიმპში" ყოველ ნახევარ წელიწადში ახალ-ახალი გუნდი იქმნებოდა, ახლა სიტუაცია გაცილებით საიმედო და სტაბილურია. შემადგენლობაშიც დიდი ცვლილებები აღარ ხდება, გუნდის ბირთვი ჩამოყალიბდა, რაც წარმატებების მისაღწევად აუცილებელი წინაპირობაა. დღეს "მეტალურგი" უკვე ის კლუბია, სადაც თამაში დიდი პატივია. ბედნიერი ვარ, რომ "მეტალურგის" კაპიტანი ვარ. აქ გატარებულმა პერიოდმა როგორც ფეხბურთელს ბევრი რამ შემძინა. მიხარია, რომ ვარ ამბიციური კლუბის წევრი, სადაც სპორტული ინტერესიც დიდი მაქვს და მატერიალურადაც ყველაფერი მაკმაყოფილებს. "მეტალურგთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და აქ მომავალ სეზონს დიდი სიამოვნებით გავატარებ, რადგან სერიოზული მიზნებისთვის ვაპირებთ ბრძოლას.



ალექსანდრე კვახაძე

**- რა დააკლდა "ოლიმპს" წინა სეზონში ტიტულის მოსაპოვებლად?**

- ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა, თუმცა დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში "მეტალურგი" გაცილებით ძლიერი გუნდი იქნება - საქართველოს ჩემპიონობისა და თასისთვის ვიბრძოლებთ. კარგად გვესმის, რომ სერიოზული კონკურენტები გვყავს და ტიტულის მოგება ურთულესი ამოცანაა, მაგრამ საკუთარი თავის საფუძვლიანი იმედი გვაქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართველები ევროპის ლიგაზე

# ადამია მეორე რაუნდშია, დანარჩენები ვერ ბრწყინავენ




გიორგი ადამია

ხუთშაბათს ევროპის ლიგაზე თბილისის "დინამოსა" და რუსთავის "მეტალურგის" ფეხბურთელთა გარდა, ქართველებმა სხვა კლუბების შემადგენლობაშიც ითამაშეს.

შემდეგ ეტაპზე გასვლა დაიბევა **გიორგი ადამიას** "ყარაბახმა", რომელმაც ლიტვაში "ბანგა" 4:0 გაანადგურა. ადამია აგდამელთა ძირითად შემადგენლობაში იყო და 83-ე წუთზე შეცვალეს. იმ დროისთვის "ყარაბახი" 3:0-ს იგებდა.

ბაქოს აზალ-ი შინ "მინსკს" 1:1 დაუზავდა. მასპინძელთა რიგებში **ნუგზარ კვირტია** 70-ე წუთიდან გამოჩნდა.

დანარჩენი ჩვენებურებისთვის კი ხუთშაბათი მეტისმეტად წარუმატებელი გამოდგა. ერევნის "ულისი" ბუდაპეშტში "ფერენცვაროშთან" 0:3 განადგურდა. სომხური კლუბის შემადგენლობაში სრულად ითამაშეს **თენგიზ უგრეხელიძემ** და **გიორგი კრასოვსკიმ, შოთა ჯიქია** მოედანზე 55-ე წუთზე შევიდა, **ლევან აკობია** კი სათადარიგო იყო.

ლატვიური "დაუგავა" კიდევ უფრო შავ დღეში აღმოჩნდა – შინ ნორვეგიულ "ტრომსოსთან" 0:5 წააგო. მასპინძელთა შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა **ბიძინა ცინცაძემ, მამუკა ლონლაძე** სასტარტოში იყო და 53-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო **გიორგი ჩიხრაძე** სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ევროტურნირების გამოძახილი

# ვსწავლობთ თანამედროვე თამაშს!

## წარმატებული დებიუტი და ახლის ძიება



დინამოს სათადარიგოთა სკამი გოლის შემდეგ

„დინამო"-„მილსამის" მატჩამდე ჩვენი გუნდის ესპანელი მწვრთნელი საკმაოდ ფრთხილ პროგნოზს აკეთებდა და ორივე გუნდის შანსებს 50/50-ზე აფასებდა; **ალექს გარსიას** სიფრთხილე თუ თავის დაზღვევა, წესითა და რიგით, არავის უნდა გაჰკვირვებოდა: „ბარსელონას" საკლუბო სტრუქტურაში ნამუშევარი კაცი ხომ თავის პირველ ოფიციალურ მატჩს ატარებდა თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელის რანგში! დებიუტი კი წარმატებულიც გამოდგა და „დინამოს" ქომაგთათვის დამაიმედებელიც: ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით მოასპარეზე ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდის თამაშში არაერთი სიახლე დავინახეთ. რაც მთავარია, „დინამო" ფაქტობრივად მთელი მატჩის განმავლობაში ცდილობდა... თანამედროვე ფეხბურთის ელემენტების ჩვენებას. სხვა საქმეა, თუ რამდენად ეფექტიანად ასრულებდნენ დინამოელები ახალი თავკაცის დავალებებს, — თუმცა, ამ შემთხვევაში მთავარი მაინც ის იყო, რომ არც ერთ ჩვენიანს მონდომება არ დაეწუნებოდა. შეხვედრის პერიპეტიებზე დაწვრილებით არ ვისაუბრებთ, უბრალოდ, გვინდა ყურადღება დინამოელთა თამაშში დანახულ სიახლეებზე გავამახვილოთ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ალექს გარსიამ უპირატესობა 4-3-3 განლაგებას მიანიჭა; ამასთან, ისე როგორც სლოვენია-ავსტრიაში ჩატარებულ საკონტროლო მატჩებში, მართლაც „განსაკუთრებული" დავალება ჰქონდათ ჩვენს ორივე ფლანგის მცველებს: 30 წლის **დავით ოდიკაძე** და 23 წლის **გიორგი რეხვიაშვილი** 90 წუთის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ „დინამოს" შეტევებში; ერთ ეპიზოდში ოდიკაძე, ფაქტობრივად, მარჯვენა თავდამსხმელის პოზიციაზეც აღმოჩნდა და მისი ზუსტი გადაცემის შემდეგ დინამოელთა კაპიტანმა 29 წლის **ალექსანდრე კოშკაძემ** ეფექტური თავურიც „მიაყოლა", მაგრამ ბურთი სტუმართა კარს მცირე მანძილით ასცდა. სხვათა შორის, ოდიკაძის, კოშკაძისა და 25 წლის **გიორგი ლორიას** გარდა, „დინამოს" ძირითადი შემადგენლობა ერთიანად გაახალგაზრდავებული იყო — საშუალო ასაკი 20-21 წელს შეადგენდა...

... გარკვეულ სიახლეებზე ვსაუბრობთ და, რალა თქმა უნდა, სხვა ნიუანსებიც არ უნდა გამოგვრჩეს: უმეტეს შემთხვევაში, დინამოელები მეტოქის ნახევარზევე ცდილობდნენ მეტოქის შევიწროებას; მთელი მოედნის პერიმეტრზე (თანაც, 90 წუთის განმავლობაში) განხორციელებული ასეთი უმკაცრესი პრესინგი, რალა თქმა უნდა, შესაშურ ფიზიკურ გამძლეობასაც მოითხოვს; ჰოდა, მატჩის განმავლობაში ერთი-ორჯერ კი არა, რამდენჯერმეც იყო ისეთი სიტუაცია, როცა ჩვენი გუნდის რგოლებს შორის „საკმარისზე" მეტი მანძილი რჩებოდა. ეგ კი არა, მეტოქე ბევრად უფრო მაღალი კლასის რომ ყოფილიყო, ასეთი „დინამოს" ასეთი „ავანტიურული" ტაქტიკით შესაძლოა ესარგებლა კიდეც. ისე, არც იმას დავმალავთ, რომ ნამდვილად არ იყო საამო საცქერი, როცა აშკარად „ჩვეულებრივმა" გუნდმა („მილსამი" კი ასეთად მიგვაჩნია) მეტად და მეტად სახიფათო სამი მომენტი შექმნა „დინამოს" კართან. თუმცა, დარწმუნებული ვართ, დროთა განმავლობაში „დინამოს" თამაში ბევრად უფრო დაიხვეწება — ალექს გარსიაც ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაშია და, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გარკვეული პერიოდის მერე ფეხბურთელებს ერთმანეთთან შეთამაშების პრობლემაც აღარ უნდა ჰქონდეთ.

ვერაფერს ვიტყვით: ქართულმა გუნდებმა ევროტურნირებზე მართლაც მშვენიერი სტარტი აიღეს; რა თქმა უნდა, ერთი კვირის შემდეგ განმეორებითი მატჩებია, მაგრამ არა გვგონია, რომ თბილისის „დინამომ" და რუსთავის „მეტალურგმა" პირველ შეხვედრებში მოპოვებული უპირატესობა გაფლანგონ. თანაც, უპირატესობასაც ხომ გააჩნია: ძნელი წარმოსადგენია, „დინამო" მოლდოვაში სამბურთიანი სხვაობით რომ დამარცხდეს; ალარაფერს ვამბობთ რუსთაველებზე: „ბანანცთან" სტუმრად გამარჯვების შემდეგ „მეტალურგის" მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ახლა იმაზე უნდა იფიქრონ, მომდევნო ეტაპზე რომელ მეტოქესთან (პოლონურ „იაგელონიასთან" თუ ყაზახურ „ირტიშთან") იქნება უმჯობესი პაექრობა. ეგაც რომ არ იყოს, ბოლოს და ბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა დასრულდეს ის მართლაც უსიამოვნო ტრადიცია და რომელიმე ქართულმა გუნდმა „ბანანცის" დამარცხება... საშინაო მატჩშიც შეძლოს?!.

„ბანანცისა" და „მეტალურგის" შეხვედრა არ გვინახავს და ამიტომაც ამ მატჩზე დაწვრილებით ვერ ვისაუბრებთ; სამაგიეროდ, გარკვეული მოსაზრება გვინდა გამოვთქვათ „დინამოსა" და „მილსამის" მატჩზე, — მით უფრო, რომ დადებითი და სასურველი შედეგის გარდა ამ შეხვედრაში სხვა „რამეებიც" იყო პოზიტიური; თუმცა, ნურც ზედმეტ ეიფორიაში ჩავვარდებით: რა თქმა უნდა, დინამოელთა თამაშში დადებითი აშკარად ჭარბობდა უარყოფითს, მაგრამ საშუალოზე დაბალი კლასის მეტოქეს ამდენი მომენტი არ უნდა ჰქონოდა. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ „დინამო"-„მილსამის" წყვილში ევროპის ყველა საბუქმეიქერო კანტორამ აშკარა ფავორიტის სტატუსი სწორედ ქართულ გუნდს მიაკუთვნა. საბედნიეროდ, ჩვენმა ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა ეს სტატუსი „შეიფერა" და, რუსთავის „მეტალურგის" მსგავსად, „დინამოს" მწვრთნელ-ფეხბურთელებსაც მომდევნო ეტაპზე ფიქრი შეუძლიათ; ამასთან, „დინამოს" ქომაგებს („მილსამისთან" მატჩში 10 000-მდე გულშემატკივრის მოსვლაც სასიამოვნო მოულოდნელობად უნდა მივიჩნიოთ) გაორმაგებული ოპტიმისტური განწყობაც უნდა ჰქონდეთ: მომდევნო წრეში ჩვენი მეტოქე (უელსური „ლანელი"), ჩვენი აზრით, მოლდოვურ კლუბზე სუსტი უნდა იყოს. ამას გარდა და, რაც მთავარია, შემდეგი წრიდან „დინამოს" ხომ ერთდროულად სამი ესპანელი ახალწვეული (ხისკო, კოტო, იაგუე) დაემატება...



ბანანცი-მეტალურგი. ტაბლოზე 0:1, კარში გახარებული ზურაბ ბათიაშვილი

## ახალი სამკუთხედი და საკმარისი რესურსი

სლოვენიურ-ავსტრიულ შეკრებაზე „დინამომ" სამივე სპარინგ-მატჩი სხვადასხვა შემადგენლობით ჩაატარა, თუმცა მეკარისა და დაცვის რგოლში მწვრთნელი მალევე „ჩამოყალიბდა", რასაც ვერ ვიტყვით შუახაზსა და თავდასხმაზე. აკი აღნიშნა კიდეც ესპანელმა მწვრთნელმა ამ რამდენიმე დღის წინ „ლელოსთან" ინტერვიუში: ამ ორ რგოლში ვარირებას ხშირად ვახდენდი და თავის გამოჩენის შანსიც ყველას მივეციო. თუმცა, ბოლო სპარინგ-მატჩში („შტურმთან") და „მილსამისთან" შეხვედრაში „დინამოს" ძირითად შემადგენლობას თუ შევადარებთ, ერთადერთ ცვლილებას აღმოვაჩენთ: ავსტრიელებთან მატჩი 20 წლის **გიორგი თექთურმანიძემ** დაიწყო, მოლდოველებთან კი — 23 წლის **რობერტინიომ.** ანუ, ეს იმის ნიშნად უნდა მივიღოთ, რომ ესპანელი მწვრთნელი, ფაქტობრივად, ჩამოყალიბებულია ძირითად შემადგენლობასთან დაკავშირებით, თანაც იმის მიუხედავად, რომ თანამემამულე ფორვარდის **იაგუეს** განაცხადში შეყვანა ვერ მოხერხდა, გარსიამ საჭიროდ აღარ ჩათვალა „მილსამისთან" მატჩის ოქმში მე-18 ფეხბურთელი ჩაეწერა...

...„ლელოსთან" ინტერვიუში გარსიამ „დინამოს" ნახევარდაცვის ხაზში ეგრეთ წოდებულ სამკუთხედზეც ისაუბრა და ჩვენი გუნდის სამკაციანი ნახევარდაცვის ხილვა მართლაც საინტერესო იყო. ამ სამიდან შედარებით უკან 19 წლის **ნიკა კვეკვესკირი** მოქმედებდა, ვინც ევროტურნირებზე სადებიუტო მატჩი მართლაც შთამბეჭდავად ჩაატარა; თანაც, საქმე მხოლოდ გოლსა თუ ზღაპრულ საგოლე პასზე არ არის — კვეკვესკირი მოედნის ცენტრში ისე დამაჯერებლად მოქმედებდა, თითქოს ამ დონეზე წლებია ასპარეზობდეს! კვეკვესკირის წინ, ოდნავ მარჯვნივ და ოდნავ მარცხნივ, ალექსანდრე კოშკაძე და **ჯაბა ჯილაური** მოქმედებდნენ. სხვათა შორის, 18 წლის ჯილაური „დინამოს" შემადგენლობაში მხოლოდ მეორე ოფიციალურ მატჩს ატარებდა და ასაკთან შეუფერებელი ტაქტიკური განსწავლულობითაც გამოვარჩევდით. ცენტრფორვარდის პოზიციაზე 21 წლის **ვახტანგ ფანცხავას** გამოჩენა სავარაუდო იყო, ფლანგებიდან კი „დინამოს" შეტევები რობერტინიოსა და 19 წლის **ირაკლი ლექვთაძეს** უნდა გაემწვავებინათ. 55-ე წუთამდე რობერტინიო მარცხნივ თამაშობდა, ლექვთაძე — მარჯვნივ და ფლანგების შეცვლის შემდეგ ლექვთაძის მარგი ქმედების კოეფიციენტი ერთი-ორად გაიზარდა. მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ეს არ ყოფილა გარსიას მიერ განხორციელებული ტაქტიკური გადაადგილება: 20 წლის გიორგი თექთურმანიძემ რობერტინიო რომ შეცვალა, ნახევარდაცვის ცენტრში დაიკავა ადგილი, ხოლო მანამდე ამ პოზიციაზე მოასპარეზე ჯაბა ჯილაური კი უკვე მარჯვენა ფორვარდად მოგვევლინა. მოლდოველთა კარში მეორე გოლის შემდეგ კი (დაახლოებით, სამი წუთის მერე) გარსიამ „დინამოს" თამაში სხვა ტაქტიკაზე გადააწყო და მატჩის ბოლომდე ჩვენი გუნდი 4-1-4-1 განლაგებით ასპარეზობდა (ცენტრალური მცველების წინ გამოკვეთილ საყრდენად კვეკვესკირი თამაშობდა). ასევე ტაქტიკური ხასიათის იყო ბოლო ცვლილებაც: უფრო შეტევაზე ორიენტირებული ცენტრალური ნახევარმცველის კოშკაძის ნაცვლად ჩამშლელი ტიპის შუახაზელი, კიდევ ერთი დებიუტანტი **გოგა ბერაია** გამოჩნდა მოედანზე.

დაბოლოს, არცთუ უმნიშვნელო ფაქტორზეც: დინამოელთა თამაშში უამრავი სიახლის გარდა გარკვეული „სარეზერვო მარაგიც" იგრძნობოდა; ანუ, ფაქტია, რომ გუნდს ბევრად უფრო უკეთ შეუძლია მწვრთნელის იდეებს ალღო აუღოს, ამასობაში ერთდროულად სამი ესპანელი ფეხბურთელიც დაემატებათ და..

**გია ტუხაშვილი**

ახალი მოედანი

# ფერო vs ფერდობი

## ზესტაფონური ეკოპლუსი



რამდენიმე დღეა, რაც "ზესტაფონის" საწვრთნელ ბაზაზე მეორე ბუნებრივსაფრიანი მოედნის დაგება მიმდინარეობს. უმაღლესი ხარისხის გაზონი იმერულ კლუბს უკრაინიდან ბათუმის გავლით ჩამოუვიდა და სულ მალე გია გეგუჩაძის გუნდს მისი მოსინჯვაც შეეძლება. ამჟამად კი, შეგახსენებთ, საქართველოს ჩემპიონები ავსტრიულ შეკრებაზე არიან, რომელსაც 4 ივლისს რუმინულ "უნივერსიტატეასთან" სპარინგით დაასრულებენ.

ბაზაზე სულ ხუთი მოედნის მოწყობაა გათვალისწინებული. ამ ხუთიდან ხელოვნურსაფრიანი მხოლოდ ერთი იქნება. გეგმის მიხედვით, ბაზის ტერიტორიას, რომელიც დღეს 5 ჰექტარია, კიდევ 3 ჰექტარი უნდა დაემატოს.

ჯერჯერობით არ აგებულა გუნდის საცხოვრებელი, მაგრამ ეს საკითხიც მოგვარდება. აქვე უნდა მოეწყოს სასტუმრო, ბავშვთა სკოლა-ინტერნატიც. ტერიტორიას ჩოგბურთის კორტებიც დაამშვენებს და თანამედროვე ბაზისთვის საჭირო ყველა ატრიბუტიც – ტრენაჟორების დარბაზი, სამედიცინო პუნქტი, კვების ბლოკი და ა. შ.

ფეხბურთელები ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ივარჯიშებენ. "ფეროს" მავნე გამონაბოლქვისგან ბაზას იქვე მდებარე ფერდობი იცავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბაიერნი

# შვაინი: ჩვენ დავბრუნდებით!

## ბასტიანს ჰაინკესი უხარია და ჩემპიონობას უმიზნებს


ბასტიან შვაინშტაიგერი

**ბასტიან შვაინშტაიგერს** მარცხენა ფეხზე ტრავმა ჯერ კიდევ აწუხებს, მაგრამ სერიოზული არაფერია და რეკორდმაისტერის 26 წლის ნახევარმცველი ახალი სეზონის სტარტს მოუთმენლად ელის – შვაინის „ბაიერნთან" ერთად მომავალ სეზონში დიდი გეგმები აქვს. *„აუცილებლად გერმანიის ჩემპიონები უნდა გავხდეთ, ნებისმიერი სხვა შედეგი მიუღებელი იქნება. ახლა უკვე ისეთი შემადგენლობა გვყავს, რომ მხოლოდ პირველობისთვის უნდა ვიბრძოლოთ. თუკი ისე ვითამაშებთ, როგორც გასული სეზონის მიწურულს ვთამაშობდით, დარწმუნებული ვარ, ჩემპიონები გავხდებით, თანაც ზუსტად ისეთი უპირატესობით, როგორიც „ბაიერნს" ეკადრება,"* - აცხადებს შვაინშტაიგერი „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

რეკორდმაისტერის დამრიგებელი ახლა **იუპ ჰაინკესია** – მწვრთნელი, რომელიც მესამედ ჩაუდგა „ბაიერნს" სათავეში. „დონ იუპი" მიუნხენურ გრანდს ბოლოს 2008/2009 წლების სეზონის მიწურულს, დროებით ავარჯიშებდა და ხუთი მატჩიდან შვაინშტაიგერმა და კომპანიამ მაშინ ოთხი მოიგო, ერთი კი ფრედ დაასრულა. შვაინი ამბობს, იმედია, ჰაინკესის ხელში ახლაც ისე კარგად ვითამაშებთ, როგორც მაშინო. აღსანიშნავია, რომ ჰაინკესმა „ბაიერნში" მოღვაწეობა მაშინაც მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან" მატჩით დაიწყო, რომელიც მიუნხენელებმა 2:1 მოიგეს, ანგარიში კი სწორედ შვაინშტაიგერმა გახსნა. შეგახსენებთ, რომ ახალ სეზონში რეკორდმაისტერის პირველი მეტოქე ასევე „გლადბახი" იქნება – 7 აგვისტოს, ბუნდესლიგის პირველ ტურში.

საინტერესოა ისიც, რომ პირველად სწორედ ჰაინკესმა გარისკა შვაინშტაიგერის ნახევარდაცვის ცენტრში გადაყვანა. მართალია, ბასტიანს მანამდეც ჰქონდა ამ პოზიციაზე ნათამაშები, მაგრამ უმეტესად მაინც ფლანგზე ამწესებდნენ ხოლმე. 2009 წლის შემდეგ კი, მუდმივად ცენტრში თამაშობს – როგორც „ბაიერნში", ისე გერმანიის ნაკრებშიც.

*„მიხარია, რომ ჰაინკესის სახით გვყავს მწვრთნელი, რომელიც ყოველთვის ერთი და იმავე სტილის ფეხბურთის თამაშს არ მოგვთხოვს, როგორც ეს ლუის ვან გაალის შემთხვევაში იყო. თუ გვინდა, რომ სერიოზულ წარმატებებს მივაღწიოთ, ხანდახან დაცვაშიც უნდა ჩავდგეთ და საერთოდ, გაცილებით კომპაქტური ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, ვიდრე ბოლო ორი წლის მანძილზე ვთამაშობდით,"* - ამბობს შვაინი.

ვერდერი



მიკაელ სილვესტრმა ოპერაცია გაიკეთა

ბრემენის „ვერდერს" ისედაც არ ულხინს და ყველა „ბედნიერებას" ისიც დაემატა, რომ **თომას შაafს** 6 (!) წამყვანი მცველი ტრავმირებული ჰყავს. **პერ მერტეზაკერის, ნალდოს, სებასტიან პრიოდლისა და სებასტიან ბიონიშის** შემდეგ, „მუსიკოსებს" კიდევ ერთი წამყვანი უკანახაზელი დაუშავდათ – **მიკაელ სილვესტრმა** მარჯვენა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და ბრემენულ კლუბს რამდენიმე თვის მანძილზე ვერ დაეხმარება. შესაბამისად, ცხადი ხდება, რომ „ვერდერმა" სატრანსფერო ბაზარზე უნდა იაქტიუროს და სასწრაფოდ შეიძინოს ახალი მცველები. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ვერდერს" ბუნდესლიგის სტარტის ჩაგდება ფაქტობრივად გარანტირებული აქვს.

ამთავითვე ცნობილია, რომ ბიონიში და სილვესტრი რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ ითამაშებენ. მართალია, ბიონიშმა ოპერაცია ორი თვის წინ გაიკეთა, მაგრამ ბრემენული კლუბის მთავარი ექიმის, დოქტორ **ულრიხის** თქმით, მოედანზე გასვლას მხოლოდ 2-3 თვის შემდეგ შეძლებს. სილვესტრი კი ახალი ნაოპერაციებია და მინიმუმ ხუთთვიანი იძულებითი პაუზა გარანტირებული აქვს.

*„უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით და სასწრაფოდ რაღაც უნდა მოვიფიქროთ. სილვესტრის ტრავმამ საბოლოოდ დაგვასვა დაღი,"* - აცხადებს შააფი.

ბრაზილიელ ნალდოს საქმე კარგადაა და წესით, ბუნდესლიგის პირველ ტურს სრულ მზადყოფნაში უნდა შეხვდეს, მაგრამ ერთი წელია, ფეხბურთი არ უთამაშია და არვინ იცის, როგორ ფორმაში იქნება ბრაზილიელი, შეძლებს თუ არა პირველივე ტურიდან უმაღლეს დონეზე თამაშს და თანაც, მისი ასპარეზობა უკვე სარისკოა. პრიოდლი მოედანზე სექტემბრის ბოლომდე ვერ დაბრუნდება, ბიონიში საუკეთესო შემთხვევაში ოქტომბერში გამოჯანმრთელდება და მერტეზაკერი? გერმანიის ნაკრების მცველიც ლაზარეთშია და სრული დატვირთვით ვარჯიშს მხოლოდ 2-3 კვირის შემდეგ თუ დაიწყებს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ვერდერის" ბოსი **კლაუს ალოფსი** მილანელი **სოკრატის პაპასტატოპულოსის** არენდაზე და ექს-ნიურნბერგელ **ანდრეას ვოლფის** ტრანსფერზე ფიქრობს...

ინტერვიუ. ლარს რიკენი

**ფეხბურთელი,** რომელიც 14 წლის წინ დორტმუნდისა და მთელი საფეხბურთო გერმანიის სუპერგმირი გახდა და რომელსაც ყველა ლოგიკით დიდი ფეხბურთი უნდა ეთამაშა, დღეს 35 წლისაა, კარიერა დამთავრებული აქვს და „ბორუსიას" ბავშვთა გუნდების მთავარი კოორდინატორია. ლარს რიკენმა დიდი ფეხბურთი ვერ ითამაშა და ბოლომდე გაუხსნელ ტალანტად დარჩა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი სახელი დორტმუნდის „ბორუსიასთან" მაინც ასოცირდება, რადგან 1997 წელს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „იუვენტუსს" გაუტანა გოლი, რომლის წყალობითაც დორტმუნდელებმა ჩემპიონთა თასი მოიგეს. რაკი წელს „ბორუსიამ" 2002 წლის შემდეგ პირველად მოიპოვა გერმანიის ჩემპიონობა, მომავალ სეზონში კი ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშებს, ჩვენი გერმანელი კოლეგები რიკენს შეხვდნენ და სიტუაციის გაანალიზება სთხოვეს.


ლარს რიკენი და მისი მეუღლე ანდრეა კაიზერი დორტმუნდელთა საჩემპიონო ბანკეტზე

# კლოპის ხელში ბორუსია ძალიან მაგარია!

## დორტმუნდელთა სიმბოლოს სჯერა, რომ BVB თავს არც მომავალ სეზონში შეირცხვენს

**- ჰერ რიკენ, ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების კოორდინატორს, „ბორუსიას" მთავარ მწვრთნელ იურგენ კლოპთან თითქმის ყოველდღიურად გიწევთ ურთიერთობა. როგორი კოლეგაა კლოპი?**

- შესანიშნავი, საუკეთესო! არა მგონია, რომ ოდესმე იურგენზე უკეთესი კოლეგა მყავდეს.

**- რატომ?**

- წლებია, „დორტმუნდს" ვემსახურები და ყველამ იცის, რომ „ბორუსიას" ჩემზე ერთგული თანამშრომელი ბევრი არ ჰყავს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კლოპის ხელში გუნდი ძალიან მაგარია და აქ იმდენი რამ კეთდება, ჩამოთვლა რომ დავიწყო, დიდხანს ვერ მოვრჩები. ბავშვებმა იციან, რომ რაკი კლოპი დორტმუნდში მუშაობს, შესაძლებლობების გამოვლენის საუკეთესო შანსი აქვთ. გერმანიაში არ არსებობს გუნდი, სადაც ნიჭიერ ბავშვებს უფრო მეტად დააფასებენ. დააკვირდით, რამდენი ტალანტი გამოჩნდა „ბორუსიაში" მას მერე, რაც ამ გუნდს კლოპი წვრთნის. მისი ფილოსოფია უბრალოდ საუკეთესოა.

**- მაინც როგორ მუშაობს იურგენი პატარებთან?**

- მაგალითად, ორიოდე დღის წინ კლოპი ბავშვთა გუნდის კიდევ ერთ მოთამაშეს შეხვდა. იმ ბიჭის გვარს განგებ არ დავასახელებ. ის 15 წლისაა, იურგენი სახლში ესტუმრა და მშობლებთან ერთად ელაპარაკებოდა. კლოპი ბავშვთა გუნდის თამაშებს თითქმის არასდროს აცდენს და პატარებს პირადად ეკონტაქტება ხოლმე. შესაბამისად, ცხადია, რომ ეს ჩვენს ბავშვებს მოტივაციას მატებს.

**- ნაცვლად იმისა, რომ ახალი ვარსკვლავები იყიდოს, კლოპს ურჩევნია, თვითონ აღმოაჩინოს ტალანტები...**

- დიახ, სწორედ ასეა. „ბორუსიას" ბევრი ფული არ აქვს და რომც ჰქონდეს, იურგენი საქმეს მაინც ასე მიუდგებოდა. კლოპის აზრით (და მე მას ამაში ასი პროცენტით ვეთანხმები), კლუბის მიერ აღზრდილი და აღმოჩენილი ფეხბურთელი გაცილებით სანდო და პერსპექტიულია, ვიდრე ის მოთამაშე, რომელიც სხვაგან აღიზარდა და რომელშიც ფულია გადახდილი. მხოლოდ კევინ გროსკროიტცის მაგალითის მოყვანა რად ღირს. აი, მაგალითად მარსელ შმელცერი, რომელიც ახლა უკვე გერმანიის ნაკრებშიც თამაშობს და დიდი შანსია, რომ ევროპის ჩემპიონატზე ბუნდესგუნდის ძირითად შემადგენლობაში იასპარეზოს. ეს ფეხბურთელი კლოპმა მეორე გუნდიდან გადმოიყვანა. თავის დროზე, გროსკროიტცი აქ უნიჭო ფეხბურთელად მიიჩნიეს და „ალენში" გაუშვეს. როცა იურგენმა ის „ბორუსიას" პირველ გუნდში გადმოიყვანა, კევინს არაცინ იცნობდა. ახლა გროსკროიტცისა და შმელცერის ბედი მარვინ ბაკალორცმაც გაიზიარა, რომელსაც ასევე არავინ იცნობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე მთელი გერმანია და ევროპა გაიცნობს. ყველაზე კარგი ის არის, რომ კლოპისთვის მთავარი არა გვარები, არამედ ის არის, რასაც ესა თუ ის ფეხბურთელი მოედანზე აკეთებს.

**- ერთი წლის წინ, იაპონელ ახალწვეულ შინჯი კაგავას იურგენმა „ვესტფალენშტადიონი" პირველად პირადად დაათვალიერებინა. ახლა კი იგივე გააკეთა გიუნდოგანისა და ლაიტნერის შემთხვევაშიც...**

- იცით, რომ ილქაი გიუნდოგანის „ბორუსიაში" გადმოყვანა მე ჯერ კიდევ სამი წლის წინ მინდოდა? მაშინ ის „ბოხუმში" თამაშობდა. ვფიქრობ, მაშინ ილქაისთვის „ვესტფალენშტადიონი" რომ დამეთვალიერებინა, „ნიურნბერგში" არასდროს გადავიდოდა.

**- მომავალ სეზონში „დორტმუნდი" ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს...**

- და ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ კლოპის გუნდი თავს არც ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში შეირცხვენს.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა



● ინტერვიუ. დიდიე დეშამი



მარგარიტა ლუი დრეიფუსი, დიდიე დეშამი და ვენსან ლაბრუინი

# სეზონი უკვე დაიწყო

**"მარსელის" მთავარმა მწვრთნელმა დიდიე დეშამმა კლუბის ოფიციალურ საიტს მცირე ინტერვიუ მისცა. მან, რა თქმა უნდა, ძირითადად იმაზე ილაპარაკა, თუ როგორ ფორმაშია მისი გუნდი სეზონის დაწყებამდე, თუმცა მას უკვე მიაჩნია, რომ "სეზონი დაიწყო"...**

**- რა კონდიციებში ხვდება გუნდი პირველ შეკრებას?**

- სეზონი ჩვენთვის უკვე დაიწყო. პირადად მე მშვენიერ ხასიათზე ვარ, იმედია, მთელი გუნდი ჩემსავით არის. მშვენივრად დავისვენეთ და ახლა როგორც წესია, ისე უნდა ვიმუშაოთ.

**- როგორ შეხვდით კლუბის სტრუქტურებში მომხდარ ცვლილებებს?**

- თქვენ კარგად მოგეხსენებათ ყველაფერი, რაც "მარსელის" თავს დატრიალდა (ივნისის დასაწყისში პოსტებს დაემშვიდობნენ კლუბის პრეზიდენტი **ჟან-კლოდ დასიე** და აღმასრულებელი დირექტორი **ანტუან ვეირა**. რედ). რამდენიმე თანამდებობაზე ახალი ხალხი დაინიშნა, კლუბს სათავეში მარგარიტა ლუი დრეიფუსი და ვენსან ლაბრუინი ჩაუდგნენ, მაგრამ ამას ჩემზე გავლენა არ მოუხდენია. მე ახლაც ვალდებული ვარ გუნდთან ერთად მაქსიმალური შედეგებისთვის ვიბრძოლო. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ შვებულების შემდეგ გამართულ პირველ ვარჯიშს ქალბატონი პრეზიდენტი დაესწრო. ჩვენ სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით მოსაზრებები ერთმანეთს გავუზიარეთ. ამას გარდა განისაზღვრა თანამდებობრივი უფლებამოსილებები ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც ჩვენს სტრუქტურებშია დასაქმებული. ამიერიდან ყველას ეცოდინება, თუ რა უნდა აკეთოს.

**- როგორია ახლა თქვენი მოვალეობები?**

- პირველ გუნდს რაც უკავშირდება, ეს ყველაფერი მეხება და პასუხისმგებლობასაც მთლიანად მე ვკისრულობ.

**- თუ გრძნობთ ცვლილებებს, რაც ახალი ხალხის მოსვლამ გამოიწვია?**

- თუკი შევადარებთ იმ მდგომარეობას, როგორ ვიწყებდით შარშანდელ შეკრებას, მაშინ ჩემი პასუხი იქნება "დიახ". მწვრთნელს შეკრების დაწყების დღიდან სჭირდება ყველა ფეხბურთელი. რაც მალე, მით უკეთესი. ჩვენი ახალწვეულები უკვე ჩვენთან ერთად ვარჯიშობენ, ნაკრებების ფეხბურთელები კი ორშაბათს შემოგვიერთდებიან. ამის შემდეგ წვრთნა ბევრად უფრო ეფექტური იქნება და ფეხბურთელები სეზონს ერთნაირ კონდიციებში შეხვდებიან. თუკი ვინმე მზადებას მოგვიანებით დაიწყებს, ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ საპატიო მიზეზის გამო მოხდება, ლაპარაკია ტრავმებზე და ასე შემდეგ. მოსამზადებელი შეკრება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

**- რა შეგიძლიათ თქვათ ტრანსფერებზე?**

- მე ზუსტად ვიცი, რა მიმართულებითაც უნდა განვითარდეს გუნდი. უკვე სამი ახალწვეული გვყავს, მეოთხეც დღე-დღეზე შემოგვიერთდება. კლუბის გარშემო შექმნილი ფინანსური ვითარების შესახებ ყველაფერი ვიცი. რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ ზოგიერთთან განშორება მოგვიწევს, რადგან სახელფასო ფონდი უნდა შემცირდეს. საერთო ჯამში გუნდის დაკომპლექტება გრძელდება.

**- თანახმა ხართ, რომ პიერ-ანდრე ჟინიაკმა გუნდი დატოვოს?**

- არა! მან რთული პირველი სეზონი გაატარა ჩვენთან, განსაკუთრებულად გაუჭირდა მას პირველი ექვსი თვის განმავლობაში. შემდეგ ყველაფერი ბევრად უფრო მარტივი იყო, მიუხედავად იმისა, რომ სეზონის ბოლოს მუხლზე ოპერაცია გადაიტანა. სწორედ ამის გამო ის პირველ შეკრებას გამოტოვებს, შემდეგ კი სხვებთან ერთად მოემზადება. მას, ისევე როგორც ყველა დანარჩენს, ძირითადში მოსახვედრად კონკურენციის დაძლევა მოუწევს. თამაშის გასაუმჯობესებლად პიერ-ანდრეს დიდი შრომა მართებს.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ტრაგედია სამხრეთ კორეაში

# ბრძოლა იქნება დაუნდობელი

## თავს უკვე მეორე ეჭვმიტანილი იკლავს

სამხრეთ კორეის მთავრობა იმ კლუბებს, რომლებსაც საფეხბურთო კორუფციაში ბრალდება დაუმტკიცდებათ, სერიოზული სანქციებით დაემუქრა. მეტიც, თუკი ამ მოვლენას ფესვები კიდევ უფრო ღრმად აღმოაჩნდა გადგმული, არ გამოირიცხება, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგა საერთოდ გაუქმდეს. ახალი წესი ივლისის პირველი რიცხვებიდან შედის ძალაში. იმ შემთხვევაშიც კი, როცა კლუბის თუნდაც ერთი წევრი, ლაპარაკი არ არის მხოლოდ ფეხბურთელზე, აღმოჩნდება გარეული ახალ სკანდალში, ის ავტომატურად მოიკვეთება ჩემპიონატიდან. *"მოვლენათა ყველაზე უარესი სცენარით განვითარების შემთხვევაში მთლიანად ლიგას გავაუქმებთ. საქმე ის არის, რომ ეს პრობლემა არ ეხება რომელიმე ცალკეულ ფეხბურთელს. ის ბევრად უფრო დიდი მასშტაბებისაა. ასეთ დროს პასუხისმგებლობა მთლიანად უნდა გადანაწილდეს კლუბზე, დაწყებული ხელმძღვანელებიდან,"* - ამბობს კულტურის, ტურიზმისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **პაკ სონ გიუ**.

მოგეხსენებათ, წინა კვირას საფეხბურთო ასოციაციამ 10 (მათ შორის 8 "ტანჯონ სიტიზენის" წევრი) ფეხბურთელს სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. გარდა საფეხბურთო სანქციებისა, მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც არის აღძრული და ყოველ მათგანს 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ახალი წესების ძალაში შესვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ძალიან მალე კორეულმა საიტებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ერთ-ერთმა მთავარმა ეჭვმიტანილმა, ბუკმეკერებისთვის მსხვილი თანხების მოგების სქემის ავტორმა, "სეულ იუნაიტედის" 30 წლის ყოფილმა წევრმა **ჩუნ-ჩონ ჰვანმა** დედაქალაქის ერთ-ერთ პატარა სასტუმროში სავარაუდოდ თავი ჩამოიხრჩო. სავარაუდოდ იმიტომ, რომ პოლიცია ჯერ სხვა ვერსიებსაც არ გამორიცხავს. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა მაგიდაზე წერილი აღმოაჩინეს, სადაც ეწერა: "მაპატიეთ. მრცხვენია, რომ გარიგებული თამაშების ორგანიზებაში ვმონაწილეობდი". საინტერესოა კიდევ ის, რომ ჟურნალისტებმა გარდაცვლილის ბიოგრაფიიდან კიდევ ერთი სკანდალური დეტალი გაიხსენეს: რამდენიმე წლის წინ "ჩონბუკ ჰენდა მოტორიდან" ის იმიტომ გააძევეს, რომ პოლიცია მას ბრალს სდებდა, ჯარში გაწვევის თავიდან ასაცილებლად მავანს მოურიგდა და ამაში საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადაო. მაშინ ფეხბურთელი ციხეს გადაურჩა.

ყველაზე ცუდი ამ ამბავში ის არის, რომ ეს საფეხბურთო სკანდალის გამო ჩადენილი პირველი თვითმკვლელობა არ არის. 6 მაისს "ინჩჰონ იუნაიტედის" 23 წლის წევრმა **იუნ გი ვონმა** მანქანის მომწამვლელი გაზით თავი გაიგუდა და ეს კლუბის ბაზაზევე ღამით გააკეთა.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ამბები

## ვოლფსბურგმა ბენ ხალიფა გაანათხოვრა

„ვოლფსბურგმა" ახალგაზრდა თავდამსხმელი **ნასიმ ბენ-ხალიფა** ერთი სეზონით შვეიცარიულ „იანგ ბოიზში" გაანათხოვრა. „მგლების" მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** მიიჩნევს, რომ ნასიმისთვის უმჯობესია, შვეიცარიის ჩემპიონატში იასპარეზოს და სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს, ვიდრე გერმანიაში სათადარიგოთა სკამი ხეხოს. ამავდროულად, ვოლფსბურგელებმა 19 წლის ფორვარდს ახალი კონტრაქტიც გაუფორმეს (2015 წლამდე), რაც იმას ნიშნავს, რომ მაგათს ბენ-ხალიფას შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება. შეგახსენებთ, რომ ნასიმ ბენ-ხალიფა გასულ სეზონში „ნიურნბერგში" იყო განათხოვრებული, „ვოლფსბურგში" კი მხოლოდ 23-წლამდელთა გუნდში ათამაშებდნენ.

## ჰაუგერი ჰანოვერში

როგორც იქნა, „ჰანოვერმა" სასურველი ფეხბურთელის, **ჰენინგ ჰაუგერის** ტრანსფერი სრულყო. ეს უკანასკნელი გერმანულ კლუბში ნორვეგიული „სტაბეკიდან" გადადის. 25 წლის ჰაუგერი ნორვეგიის ნაკრების ფეხბურთელიცაა – მან „ჰანოვერთან" კონტრაქტი 2015 წლამდე გააფორმა. „წითლების" მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა** ტრანსფერით უაღრესად კმაყოფილია და აცხადებს, ჰაუგერთან ერთად, ნახევარდაცვაში ახლა გაცილებით დიდი არჩევანი მექნებაო. ჰენინგ ჰაუგერი ახალ თანაგუნდელებს მომავალ კვირაში შეუერთდება.

**გოტფრიდ ლენცი**

## პსჟ-ს პლეიმეიკერი სჭირდება

დედაქალაქურმა კლუბმა გადაწყვიტა, რომ მას ნახევარდაცვის ცენტრში ერთი კრეატიული ფეხბურთელი სჭირდებოდა და ამ მიზნით ინგლისური "ქუინზ პარკ რეინჯერსიდან" **ადელ ტაარაბტის** ყიდვა განიზრახა. „სქაი სპორტსის" ცნობით, ფრანგები ინგლისურ მხარეს 13,5 მილიონ ევროს სთავაზობენ. წინა სეზონში გამთამაშებელმა 37 თამაში ჩაატარა და მისი პოზიციისთვის უჩვეულოდ ბევრი, 15 გოლი გაიტანა.

22 წლის მაროკოელი "ლანსის" აღზრდილია და 2007 წლიდან "ტოტენჰემში" თამაშობდა, "ქუინზ პარკში" კი 2009-დან ირიცხება. მართალია, 15-წლიანი განშორების შემდეგ ელიტაში დაბრუნებულ კლუბს მისი კალიბრის ფეხბურთელი სჭირდება, მაგრამ შეთავაზება იმდენად გულუხვია, რომ უარის თქმას ლონდონური კლუბი ალბათ ვერ გაბედავს.

## სტეინი ვან დენ ბრომის ნაცვლად

**ჯონ ვან დენ ბრომის** "ვიტესში" გადაბარგების შემდეგ სულ რამდენიმე დღე გავიდა და მის ნაცვლად "დენ ჰააგი" 37 წლის **მორის სტეინს** ჩააბარეს. სტეინისთვის კლუბი უცხო ნამდვილად არ არის, რადგან გასულ სეზონში ის მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა, 1993-დან 1999-მდე კი ჰააგური კლუბის ღირსებას მინდორზე იცავდა. ის ფეხბურთიდან საკმაოდ ადრე, 2001 წელს, 27 წლისა, "ბრედას" ფეხბურთელის რანგში წავიდა. მოგვიანებით კი დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში და "დენ ჰააგის" იუნიორთა გუნდი ჩაიბარა. 2009 წლის აგვისტოდან ის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო. წინა სეზონი კლუბმა მე-7 ადგილზე დაასრულა, თუმცა პლეი ოფის წყალობით, "გრონინგენთან" ჭიდილში ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა. "დენ ჰააგი" ევროთასებზე პირველად მოხვდა 1987 წლის შემდეგ. მაშინ ის თასების თასის მეორე რაუნდში გამოვარდა.

## ახალი ფედერაცია და დომენეკი

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი **ნოელ გრაე** აპირებს, რომ რაც შეიძლება სწრაფად შეხვდეს ნაკრების ყოფილ თავკაც **რაიმონ დომენეკს**, რათა მასთან განიხილოს ყველა ის პრეტენზია, რაც მხარეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ. *"დიახ, მუსიე დომენეკს უახლოეს ხანებში ვესტუმრები, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ფედერაცია ამით მასთან რამე გარიგებას აპირებს ან უკვე აქვს. ყველაფრის მიუხედავად, ნორმალურია, რომ მხარეთა შორის დისკუსია არ წყდება. ვიცი, რომ ის ჩვენგან 2,9 მილიონ ევროს ითხოვს და ეს მისი უფლებაა,"* – განაცხადა პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, რომ 2010 წელს ფეხბურთის ფედერაციის ძველმა ხელმძღვანელობამ ის თანამდებობიდან ვადაზე ადრე გაუშვა, რადგან მწვრთნელმა ვერაფრით მოახერხა გუნდის შიგნით სიტუაციის დალაგება. მეტიც, დომენეკი მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის წინ პრაქტიკულად ყველა ლიდერთან ნაჩხუბარი იყო. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ბოლო ვარჯიში ჩაიშალა და სავარჯიშო ბაზიდან გასვლის შემდეგ ფეხბურთელებმა მას დემონსტრაციულად ცხვირწინ მიუხურეს ავტობუსის კარები. ფედერაციის გადაწყვეტილება ამის შემდეგ აბსოლუტურად ლოგიკური იყო. დომენეკი კი ამას არ ეთანხმება და სასამართლოს გზით ფედერაციისგან ზემოთ ხსენებულ თანხას ითხოვს. საქმის მოსმენა 2012 წლის 13 იანვარს არის დანიშნული.

## საგა დასრულდა

"ოსერის" ყოფილი კაპიტანი **ბენუა პედრეტი** დიდი ხანია, აცხადებდა, რომ კლუბში აღარ დარჩებოდა. ინფორმაცია, რომ ის კარიერას "ლილში" განაგრძობდა, ჯერ კიდევ აპრილის დასაწყისში გაჩნდა, მაგრამ შემდეგ ის არ დადასტურდა. გუშინ კი სწორედ ჩემპიონთა ვებგვერდმა დაწერა, რომ ვეტერანთან 3-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა. ბენუას მიმართ კონკრეტულ ინტერესს "ფულჰემიც" ადასტურებდა, მაგრამ ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგაში მოასპარეზე კლუბთან გადაწყვიტა თანამშრომლობა, რაც ლოგიკურია.

"ოსერის" გარდა 30 წლის პედრეტის "სოშოში", "ლიონსა" და "მარსელში" უთამაშია. საფრანგეთის ნაკრებში კი 22 შეხვედრა ჩაატარა და გოლი არ გაუტანია.

## გომეში ბრაგაში

34 წლის პორტუგალიელმა თავდამსხმელმა **ნუნუ გომეშმა** "ბენფიკასგან" თავისუფალი აგენტის სტატუსი თვის დასაწყისში მიიღო და მას მერე ახალი კლუბის ძებნაში იყო. სახელდებოდა ბერძნული "პანათინაიკოსისა" და ერთ-ერთი თურქული გრანდის სახელი, მაგრამ ფეხბურთელი ექსპერიმენტებს მოერიდა და კარიერის ბოლომდე (ალბათ) სამშობლოში დარჩენა ამჯობინა. გუშინ გომეშმა "ბრაგასთან" 1-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. *"შეთანხმება არ გაგვჭირვებია. "ბრაგასთვის" მნიშვნელოვანი იყო, რომ ასეთი სახელოვანი ფეხბურთელი ჩაგვეგდო ხელთ. იმედია, ის ჩვენთან ბედნიერი იქნება,"* – განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა **ანტონიო სალვადორმა**.

**ლევან ბიბილაშვილი**

სატრანსფერო ამბები

# მანჩესტერული გარჩევები არსენალის გარშემო

„მანჩესტერ სიტიმ" ფულის კუნთები აათამაშა — ჯერ იყო და „ლივერპულს" 25 წლის მარცხენა მცველი **გაელ კლიში** ააცალა ცხვირწინ, შემდეგ კი „მანჩესტერ იუნაიტედს" გადაუჭრა გზა და **სამირ ნასრის** ყიდვა მოიწადინა. მოგეხსენებათ, კლიშიცა და 24 წლის ნასრიც „არსენალის" წევრები არიან და, მართალია, „მეთოფეთა" მწვრთნელ **არსენ ვენგერს** საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვა არ ეპიტნავება, რეალური სურათი მისთვის მაინცდამაინც სახარბიელო არ არის.

კლიშის საქმე ასეა: ისტლენდელები „არსენალს" 7 მილიონ ფუნტად გაურიგდნენ და ფრანგი, რომელიც „არსენალში" 2003 წლის შემდეგ თამაშობდა, „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე" ოთხი წლით მიჰყავთ. ამის შემდეგ კი გაირკვა, რომ **რობერტო მანჩინის** ჩრდილო ლონდონში საქმეები არ დაუსრულებია და კლიშის თანამემამულის წაყვანაც სურს. მოგეხ-



გაელ კლიში და სამირ ნასრი

სენებათ, ნასრის „არსენალთან" ბოლო სეზონილა აკავშირებს და სავარაუდოდ, ან ახლავე უნდა გაიყიდოს, ან ვენგერთან გააგრძელოს კონტრაქტი.

თუმცა, მანჩინის მთლად მარტივად არ აქვს საქმე. მას ნასრის ყიდვას „უდინეზედან" **ალექსის სანჩესის** გადაბირება ურჩევნია. 22 წლის ჩილელზე, მოგეხსენებათ, დიდი ამბავია ატეხილი. მისი ყიდვა ევროპის ყველა ფულიან გუნდს უნდა, თუმცა თავად მოთამაშეს გულში „ბარსელონა" ამოუჭრია და აცხადებს, რომ თუ „კამპ ნოუზე" არ გადავა, „უდინეზეში" დარჩება. თავის მხრივ „სიტი" იმედოვნებს, რომ ამ სენტიმენტებს დიდძალი ხელფასით დაახშობს. თუმცა, შანსი იმისა, რომ სანჩესი ისტლენდზე არ გადავა, რასაკვირველია, არსებობს და ამ შემთხვევაში მანჩინი ნასრის წასაყვანად „ემირეიტზე" დაბრუნდება.

ახლა კი, ვნახოთ, რა დღეში ვარდება „არსენალი": კლიში გაექცა, ნასრის საქმე გაურკვეველია და არ დაგვავიწყდეს ყველაზე მთავარი — „ბარსელონა" მის კაპიტან **სესკ ფაბრეგასს** ყიდულობს. მართალია, ფაბრეგასის სანაცვლოდ ვენგერმა შესაძლოა კარგი ფული აილოს, მაგრამ რა ფული, რის ფული, როდესაც გუნდი 2005 წლის შემდეგ ჯილდოს გარეშეა დარჩენილი და ამ ზაფხულს მისი მთავარი ლოზუნგი შემადგენლობის გაძლიერება გახლდათ. ნასრის და სესკის გამშვები გუნდი ვის მოიყვანს ასეთს, გაძლიერებად რომ ჩაეთვალოს?

**ჟერვინიო**... მის ამბავს ცოტა ქვემოთ მოგახსენეთ, მაგრამ, ვითომ 24 წლის კოტ დ'ივუარელი თავდამსხმელი ასეთი დიდი ვარსკვლავია? გულშემატკივრები შიშის თვალით უყურებენ მომავალს. **რობინ ვან პერსისა** და **თეო უოლკოტს**, კონტრაქტის თანახმად, „არსენალში" ორი წელიწადიღა დარჩათ და საკუთარ მომავალში უკეთ გასარკვევად სჭირდებათ დაინახონ, როგორ ვითარდება გუნდი, საით მიდის. 23 წლის **დენილსონმა** ბრაზილიურ მედიაში თქვა, რომ „ვილიარეალისა" და „სან პაოლოსაგან" აქვს შემოთავაზებები... ერთი სიტყვით, ვენგერმა ყველას, უპირველეს ყოვლისა კი, ალბათ, მაინც კლუბის მთავარ მეწილეს, ამერიკელ მილიარდერ **სტენ კროენკს** უნდა დაუმტკიცოს, რომ მას ჯერ კიდევ შეუძლია გუნდი ისე მოამზადოს, რომ მან რაიმე ჯილდო მოიგოს.

დავუბრუნდეთ ნასრის, მომავალი სეზონიდან ის შესაძლოა რომელიმე უშუალო კონკურენტის შემადგენლობაში ვიხილოთ. „მანჩესტერ იუნაიტედი" ფრანგში 15 მილიონ ფუნტს იხდიდა, „მანჩესტერ სიტიმ" კი ჯიბეზე ხელი დაუნანებლად გაიკრა და 20 მილიონი ამოიღო. ამბობენ, რომ შორიდან სიტუაციას „ჩელსიც" აკონტროლებს.

ვენგერის კარგს არაფერს უქადის ისიც, რომ ინგლისის ჩემპიონის, „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** ამ ზაფხულს სატრანსფერო პოლიტიკა ძალიან ჭკვიანურად წარმართა და თავის ისედაც ძლიერ შემადგენლობას სამი კარგი ფეხბურთელი შემატა: **დავიდ დე ხეა, ფილ ჯონსი** და **ეშლი იანგი**. მათ სანაცვლოდ სერ ალექსმა დაახლოებით 50 მილიონი ფუნტი გადაიხადა.

„იუნაიტედის" ფრანგმა მცველმა, 30 წლის **პატრის ევრამ** თქვა: *„ჩვენ დიდებული ფეხბურთელები შევიძინეთ. მომავალი წარმატებული რომ გვექნება, ამაში ეჭვიც არ მეპარება. ჩვენი ამოცანა მარტო პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტულის ხელახლა მოპოვება კი არ არის, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაა".*

ახლა კი ჟერვინიოზეც ვთქვათ, რომელიც „არსენალმა" ჩრდილოლონდონელ კონკურენტ „ტოტენჰემ ჰოთსპურს" ააცალა ცხვირწინ.

*„ეს ჩემი არჩევანი გახლდათ* — თქვა კოტ დ'ივუარელმა — *„არსენლი" სხვა გუნდებს იმიტომ ვამჯობინე, რომ აქ ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია. მათთან საერთო ენის გამონახვა არ გამიჭირდება. ვფიქრობ, როგორც ფეხბურთელი „არსენალში" უფრო განვვითარდები. თუ ვრისკავ? არა, რასაკვირველია. ლონდონში სათამაშოდ მივდივარ და ყველა ღონეს ვიხმარ, რაც შეიძლება მეტ შეხვედრაში მივილო მონაწილეობა. შევეცდები ბევრი გოლიც გავიტანო. საერთოდ, ფეხბურთში რისკი აუცილებელია, მაგრამ „არსენალში" გადასვლის წინ უფრო მოგებებზე ვფიქრობ, ვიდრე რისკებზე".*

„არსენალი" ახალგაზრდული გუნდია და „ტოტენჰემს" იმიტომ ვამჯობინეო... ეს შეიძლება მართლაც ასეა, მაგრამ ახალგაზრდულის გარდა „არსენალი" ის გუნდია, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში გამოვა და ჟერვინიოს, „ტოტენჰემისგან" განსხვავებით, დიდ ასპარეზზე გაიყვანს. ჩემპიონთა ლიგაში რასაკვირველია, „ლილიც" ითამაშებს, მაგრამ... „არსენალი" „არსენალია".

ჟერვინიო, რომელიც „მეთოფეებს" კვირაში 60 ათას ფუნტად ოთხწლიან თანამშრომლობაზე დათანხმდა, შვებულებიდან ორშაბათს ბრუნდება.

და კიდევ ერთი, რაც „არსენალის" შესახებ გვინდა მოგახსენოთ, ის გახლავთ, რომ ვენგერს „ნიუკასლ იუნაიტედიდან" გაუწონასწორებელი ზნით ცნობილი ნახევარმცველის **ჯოი ბარტონის** გადაყვანა უნდა. ბარტონი 28 წლისაა.

ვენგერის ასისტენტმა, **სტივ როულიმ** გასული სეზონის მიწურულს „კაჭკაჭების" სამი თამაში ნახა და ამდენივე ფეხბურთელი ჩაინიშნა. როგორც მიხვდით, როულის ყველაზე მეტად ბარტონი მოეწონა, მის გარდა კი სკაუტს ესპანელმა **ხოსე ენრიკემ** და კოტ დ'ივუარელმა **ჩეიკ ტიოტე** მოსჭრა თვალი.



ჟერვინიო

ბარტონს გასული სეზონი კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო ჰქონდა. ბურთითაც კარგი იყო და არც თავი გაუტეხავს ვინმესთვის. თვალშისაცემი გახლდათ მისი პასები მარჯვენა ფრთიდან, როდესაც **ენდი ქეროლი** ჯერ კიდევ „კაჭკაჭი" იყო და ბარტონის ჩაკიდებულ ბურთებს თავს ურტყამდა. ცნობილია, რომ ბარტონს „ნიუკასლში" უნდოდა დარჩენა, მაგრამ როდესაც საქმე კლუბთან ახალი კონტრაქტის დადებაზე მიდგა, დაინახა, რომ „სენტ ჯეიმსი'ზ პარკის" შეფები მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით არ არიან შეპყრობილნი და გადაწყვიტა სხვაგან გადასვლაზე არ ეთქვა უარი. ბარტონის დღესმოქმედ კონტრაქტს ერთ წელიწადში ძალა დაეკარგება. „ნიუკასლ იუნაიტედს" ნახევარმცველის სანაცვლოდ 4 მილიონი ფუნტი უნდა.

სკანდალი



ბირმინგემის მფლობელი ციხეშია

# რა მოუვა ბირმინგემს?

**მართალია, „ბირმინგემ სიტიმ" პრემიერლიგაში მე-18 ადგილი დაიკავა და ჩემპიონშიპში გავარდა, მაგრამ მის თავს იმდენი საინტერესო ამბავი დატრიალდა, რომ გაზეთში ადგილის დათმობად ღირს. ჯერ იყო და, თანაქალაქელმა „ასტონ ვილამ" საკმაოდ თავხედურად წაართვა მწვრთნელი ალექს მაკლიში, შემდეგ კი გაირკვა, რომ მის მეპატრონეს, ჰონკონგელ მილიარდერ კერსონ იუნგს სამშობლოში ცუდად აქვს საქმე. ის ეგრეთწოდებული ფულის გათეთრებისთვის დაიჭირეს და გაზეთმა „სანმა" ამას საინტერესო წერილი მიუძღვნა. „სანმა" მისთვის ჩვეული, კითხვა-პასუხის ფორმით განუმარტა გულშემატკივრებს, თუ რა დაუშავდება „ბირმინგემ სიტის" პატრონის დაპატიმრების შემთხვევაში. გთავაზობთ ამ წერილის შემოკლებულ ვარიანტს.**

### რა მოხდება, თუ იუნგს დანაშაული დაუმტკიცდება?

ჯერჯერობით იუნგი ბრალდებებს უარყოფს, მაგრამ თუ სასამართლო მას დამნაშავედ ცნობს, 14 წელს მიუსჯის. ასეთ შემთხვევაში ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოხდეს, ის გახლავთ, რომ კლუბი გაიყიდება, ახალი მეპატრონე კი აღმოაჩენს, რომ „ბირმინგემ სიტის" მავანთა და მავანთა ვალი აქვს და ეს ხალხი ფულის დაბრუნებას ითხოვს. მეორე მხრივ, იუნგს შეუძლია დირექტორობიდან გადადგეს, მაგრამ უბრალო მეწილედ დარჩეს.

ცნობისთვის: იუნგზე ამბობენ, რომ ის სულაც არ არის „ბირმინგემ სიტის" მამა და მარჩენალი. კომპანიას, რომელიც „ბირმინგემ სიტის" ფლობს, სხვა პატრონებიც ჰყავს და სანამ ისინი ფულს არ დაინანებენ, კლუბში ცხოვრება ძველებურად გაგრძელდება.

### მაშ, ვინ ფლობს ბირმინგემ სიტის?

„ბირმინგემ სიტის" ჰყავს ეგრეთწოდებული მშობელი კომპანია, რომელსაც ჰქვია „ბირმინგემ ინტერნეშენალ ჰოლდინგი". ეს კომპანია ჰონკონგში მდებარეობს, თუმცა კაიმანის კუნძულებზეა დარეგისტრირებული. იუნგი სწორედ ამ კომპანიის პრეზიდენტი გახლდათ. ის „ბირმინგემ სიტისთან" წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა **სტივ მაკმანამანმა** დააკავშირა.

### იუნგი ადრე არაფერში ყოფილა გარეული?

2004 წელს მან დამალა, რომ ჰონკონგის კომპანია „სიდარ ბეიზ ელექტრონიკში" ფინანსური ინტერესი ჰქონდა. ამისათვის მას ჯარიმა დააკისრეს. სწორედ ამიტომ არის გამოსაკვლევი, როგორ გაიარა იუნგმა პიროვნების შემოწმების ტესტი. ბრიტანეთში ხომ, სანამ უცხოელი რაიმე კომპანიას შეიძენს, მის შესახებ ყველაფერს სწავლობენ და მცირე ხინჯიც რომ აღმოუჩინონ, უარს ეუბნებიან. აღსანიშნავია, რომ კანონგარეშე ქმედებებში შემჩნეული იყო ქალბატონი **პოლიანა ჩუც**, რომელმაც იუნგს „ბირმინგემ სიტის" საყიდელი თანხა, 81 მილიონი ფუნტი გამოუყო.

### როგორ იმოქმედებს ეს ყველაფერი სატრანსფერო სეზონზე?

ჯერჯერობით „სიტი" ფეხბურთელებს ყიდის, მაგრამ შემოსული თანხით ახალ მოთამაშეებს იყიდის თუ ვალებს დაფარავს, გამოჩნდება. გააჩნია, რა მოხდება.

### რამდენად ახლოებლობენ „სიტის" თავმჯდომარე პიტერ პენუ და იუნგი?

ვერ გეტყვით, რამდენად გასულები არიან ისინი ერთ საქმეში, მაგრამ ფაქტია, რომ პენუ იუნგის მარჯვენა ხელია. როდესაც იუნგი ჰონკონგშია, „ბირმინგემს" პენუ მართავს და მას სრული ნდობა აქვს გამოცხადებული.

### ის, რაც „ბირმინგემის" თავს ხდება, კრიზისია?

ჯერჯერობით შექმნილი მდგომარეობა იმ ხალხს, ვინც „ბირმინგემში" ფული ჩადო, მხოლოდ აშინებს, მაგრამ თუ საქმეები უფრო და უფრო ცუდად წავიდა, შესაძლოა ამ ხალხმა თავიანთი თანხის დაბრუნება მოითხოვოს, კლუბი კი გაიყიდოს. თუმცა, ისე ნუ წარმოვიდგენთ, რომ იუნგის დაჭერამდე „სიტის" ფინანსური პრობლემები არ ჰქონდა.

### რამდენ ხანს შეიძლება ეს გაგრძელდეს?

შესაძლოა ეს ყველაფერი რამდენიმე თვეს გაგრძელდეს და ამ ხნის განმავლობაში იუნგი როგორც ბრიტანეთში, ასევე ჰონკონგში გაზეთების პირველ გვერდებზე იქნება. ცნობისთვის: საქმის აქამდე მოსაყვანად ჰონკონგის პოლიციას ოთხი წელიწადი დასჭირდა.

ტოტენჰემი

# როსის ამბავი

„ტოტენჰემ ჰოთსპური" მზად არის ხელახლა წამოიწყოს მოლაპარაკებები ესპანურ „ვილიარეალთან" — „დეზებს" 24 წლის იტალიელი თავდამსხმელის, **ჯუზეპე როსის** ყიდვა უნდათ. ლონდონის კლუბმა ეს მას მერე გადაწყვიტა, რაც როსის აგენტმა, **ფედერიკო პასტორელომ** განაცხადა, რომ ფეხბურთელის მცდელობა „ბარსელონაში" გადასულიყო, უშედეგოდ დამთავრდა.

ამის მიუხედავად „ტოტენჰემს" კონკურენცია ელის. როსის შეძენა უნდათ „ატლეტიკოს", „რეალს", „იუვენტუსსა" და „ჩელსის". „ატლეტიკოს", მოგეხსენებათ, **სერხიო აგუერო** ტოვებს და მადრიდელებს როსი მის შემცვლელად წარმოუდგენიათ.

რატომ ჩაიშალა „ბარსელონასა" და როსის მოლაპარაკებები? რასაკვირველია, **სესკ ფაბრეგასის** და ჩილელი **ალექსის სანჩესის** გამო. ესპანეთის ჩემპიონს ფული უპირველეს ყოვლისა ამ ორისთვის ემეტება.

*„ჩვენს შორის ყველაფერი დასრულდა, ეს უკვე ნაღდია - თქვა პასტორელომ - ახლა როსის მომავალთან დაკავშირებით რამდენიმე ვარიანტს განვიხილავთ. რასაკვირველია, არც „ვილიარეალში" დარჩენა უნდა გამოვრიცხოთ. რა ღირს? ის უმაღლესი დონის ფეხბურთელია და შესაბამისად ელირება კიდეც".*

მასმედიაში კი წერენ, რომ ჯუზეპე როსის ფასი დაახლოებით 35 მილიონი ფუნტი, ანუ თითქმის 39 მილიონი ევროა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. კლუბების სტატისტიკა



პაბლო პიატი (8 გოლი, 4 საგოლე პასი) ალბათ ბენფიკაში გადავა

# ვარსკვლავთა გამოსათხოვარი...

## ...და ახალი ვარსკვლავების სამჭედლო

დღეს დავასრულებთ ლა ლიგის კლუბების სტატისტიკურ ანალიზს. მოვიძიებთ მიზეზებს, რის გამოც პრიმერა „დეპორტივომ", „ერკულესმა" და „ალმერიამ" დატოვეს. მთლად მინორული სტატია რომ არ გამოგვივიდეს, აქვე ახლოს გაგაცნობთ მათ მაგივრად აღზევებულ სამ კლუბს: „ბეტისს", „რაიო ვალეკანოსა" და „გრანადას".

| პრიმერა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18. დეპორტივო | 38 | 10 | 13 | 15 | 31-47 | 43 |
| 19. ერკულესი | 38 | 9 | 8 | 21 | 36-60 | 35 |
| 20. ალმერია | 38 | 6 | 12 | 20 | 36-70 | 30 |

| სეგუნდა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბეტისი | 42 | 25 | 8 | 9 | 85-44 | 83 |
| 2. ვალეკანო | 42 | 23 | 10 | 9 | 73-48 | 79 |
| 5. გრანადა | 42 | 18 | 14 | 10 | 71-47 | 68 |

აი, ასეთი განლაგებით დაასრულა ჩემპიონატი ამ სექსტეტმა. თუკი „ალმერიასა" და „ერკულესის" ბედი ფინიშამდე გაირკვა, ესპანეთის ერთ-ერთი ტრადიციული კლუბი „დეპორტივო" ბოლო ტურში დრამატულად დაემშვიდობა ელიტას. თუმცა, გავბედავთ და ვიტყვით, რომ ამ სამეულში ყველაზე თვალსასეირო ფეხბურთს... ბოლოადგილოსანი „ალმერია" თამაშობდა. „ბეტისმა" და „რაიო ვალეკანომ" პირდაპირ მოიპოვეს ელიტის საგზური, ხოლო „გრანადამ" - პლეი ოფში. ასე მოხვდა სეგუნდას მეხუთეადგილოსანი პრიმერაში, არადა „ბარსას" დუბლებსაც ჩამორჩა და „ელჩესაც", გუნდს, რომელსაც შემდეგ პლეი ოფის ფინალი მოუგო. მხარეთა ბალანსი კი ასე შეიცვალა (ესპანეთში ამას ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ) - გავარდნენ თითო გალისიური, ვალენსიური და ანდალუსიური კლუბები, აღზევდა ორი ანდალუსიური და ერთიც მადრიდული. რისი წყალობითაც, პირველად პრიმერას ისტორიაში ელიტაში 4 მადრიდული გუნდი ითამაშებს. ამდენივე წარმომადგენელი ეყოლება ანდალუსიასაც.

მოკლედ, გავარდნილი სამეულიდან რაზე შეიძლება დაწყდეს გული ფეხბურთის ნეიტრალურ გულშემატკივარს? უპირველეს ყოვლისა, „დეპორტივოზე", კლუბზე, რომელმაც ბოლო წლებში ესპანურ ფეხბურთში პრეცედენტი შექმნა და გრანდებზე „გაიწია", ევროპაშიც გაიბრწყინა და მუდამ ფავორიტთა შორის იყო. გალისიური გუნდი ელიტაში გატარებული 20 სეზონის შემდეგ დაქვეითდა. ამ გუნდის ცენტრფორვარდ **ადრიან ლოპესზე** (თუმცა კი ძალიან გვეეჭვება ლოპესი „დეპორს" სეგუნდაში ჩაჰყვეს) - 23 წლის ლოპესმა 8 გოლი გაიტანა და 3 საგოლე პასი გააკეთა, ახლახან კი ევროპის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებს შორის, სადაც 5 გოლით ბომბარდირი გახდა. „დეპორის" დამსახურებულ ვეტერან **ვალერონზე** და გუნდის ლიდერ მექსიკელ **გუარდადოზე**. ვალენსიის მხარის სიმპათიურ კლუბ „ერკულესზე", რომელსაც საინტერესო შემადგენლობა შეუგროვდა და სეზონის დასაწყისში დიდი სენსაციები მოახდინა („ბარსელონას", „ატლეტიკოსა" და „სევილიას" მოუგო!), **ტრეზეგე-ვალდესის** დუეტზე თავდასხმაში, ერთი ხანობა, დიდებულად ათამაშებულ **დრენტეზე**. მაგრამ „ერკულესმა" ძალები ვერ გათვალა და სეზონის ბოლოს „ჩამოიშალა". და ბოლოს, „ალმერიას" ფანტასტიკურ არგენტინელ ლეგიონერ **პაბლო პიატიზე**...

### დეპორტივო

**ტაქტიკური სქემა**: 4-2-3-1 (21 მატჩი)
**დიდი ანგარიშით მოგება**: 3:0 (ესპანიოლი, მალაგა)
**დიდი ანგარიშით მარცხი**: 1:6 (რეალი)

**გოლები**: ა. ლოპესი (8), ლასადი (5), რიკი (3), ხისკო (2), აიტამი (2), გუარდადო (2), კოლოტო (2), ლოპო (2), არანსუბია (1), პ. ალვარესი (1), ხ. როდრიგესი (1), ლაურენი (1).

**საგოლე პასები**: ა. ლოპესი (3), კოლოტო (3), რიკი (3), რ. პერესი (2), პ. ალვარესი (2), მ. პაბლო (2), გუარდადო (1), მიჩელი (1), ვალერონი (1), ჟუკა (1), ლასადი (1), ხ. როდრიგესი (1).

**მეკარეები**: არანსუბია (32), მანუ (6).

**მცველები**: კოლოტო (36), ლოპო (33), მ. პაბლო (30), ლაურენი (22), აიტამი (19), მორელი (15), სეოანე (11), ზე კაშტრო (6), რინდაროი (4), როჩელა (2).

**ნახევარმცველები**: რ. პერესი (32), ხ. როდრიგესი (31), ტომასი (21), ვალერონი (21), ხ. დომინგესი (20), გუარდადო (20), პ. ალვარესი (17), საული (13), დეზმარე (12), მიჩელი (8), ჟუკა (8), დიონისიო (4).

**თავდამსხმელები**: ა. ლოპესი (36), ლასადი (33), რიკი (19), ხისკო (9), ურეტა (6), სანდი (5).

**სასტარტო 11 (ოპტიმალური)**: არანსუბია - ლაურენი, კოლოტო, ლოპო, მ. პაბლო - პერესი, როდრიგესი - ლასადი, ვალერონი, გუარდადი - ლოპესი.

**უდისციპლინოები**: ლოპო (1 წ, 14 ყვ), პერესი (13), როდრიგესი (1, 9), ლაურენი (1, 8), 1, 6).

**ხანგრძლივი ტრავმა**: გუარდადო - 45 დღე

### ერკულესი

**ტაქტიკური სქემა**: 4-2-3-1 (31 მატჩი)
**დიდი ანგარიშით მოგება**: 4:1 (ატლეტიკო)
**დიდი ანგარიშით მარცხი**: 0:4 (ოსასუნა)

**გოლები**: ტრეზეგე (12), ვალდესი (8), დრენტე (4), სენდოა (3), ტ. გომეში (2), პასი (2), კიკო (1), ტოტე (1), ტომერი (1), ფარინოსი (1), პორტილიო (1)

**საგოლე პასები**: კიკო (6), სენდოა (3), ტოტე (3), ვალდესი (2), ტ. გომეში (2), კორტესი (2), ფარინოსი (2), დრენტე (1), ხუანრა (1), რუფეტე (1), პენია (1).

**მეკარეები**: კალატაიუდი (34), ველტჰუიზენი (3), ალბა (2).

**მცველები**: კორტესი (34), პასი (29), პამარო (29), პენია (28), ხუანრა (14), ს. როდრიგესი (13), პულჰაკი (9), სარი (2).

**ნახევარმცველები**: აგილარი (34), კიკო (34), ტ. გომეში (28), ფრიტცლერი (26), სენდოა (23), კრისტიანი (19), დრენტე (17), რუფეტე (14), ფარინოსი (12).

**თავდამსხმელები**: ტრეზეგე (31), პორტილიო (26), ვალდესი (25), ტოტე (21), ტომერი (18), ლ. კარლოსი (1).

**სასტარტო 11 (ოპტიმალური)**: კალატაიუდი - კორტესი, პამარო, პასი, პენია - აგილარი, ფრიტცლერი - კიკო, ვალდესი, ტ. გომეში - ტრეზეგე.

**უდისციპლინოები**: აგილარი (1 წ, 12 ყვ), ფრიტცლერი (2, 8), ვალდესი (1, 8).

**ხანგრძლივი ტრავმა**: დრენტე - 34 დღე

### ალმერია

**ტაქტიკური სქემა**: 4-2-3-1 (24 მატჩი)
**დიდი ანგარიშით მოგება**: 3:1 (მალიორკა)
**დიდი ანგარიშით მარცხი**: 0:8 (ბარსელონა)

**გოლები**: პიატი (8), ულოა (7), უჩე (7), კრუსატი (3), ფეგული (2), კორონა (2), ხუანმა ორტისი (1), კ. გარსია (1), მ. სილვა (1), ბერნარდელო (1), მბამი (1), ვარგასი (1), გოიტომი (1).

**საგოლე პასები**: ბერნარდელო (5), კრუსატი (5), პიატი (4), უჩე (3), ხოსე ორტისი (2), ლუნა (1), ულოა (1), კორონა (1), მასედო (1), იაკობსენი (1), გოიტომი (1), მბამი (1), ვარგასი (1)

**მეკარეები**: დიეგო ალვეში (33), ესტებანი (5).

**მცველები**: კ. გარსია (33), მასედო (31), მ. სილვა (21), აკასიეტე (20), იაკობსენი (16), ლუნა (13), პელერანო (8), ლილიო (2), რიგო (1).

**ნახევარმცველები**: კრუსატი (34), ბერნარდელო (33), კორონა (30), მბამი (30), ხუანმა ორტისი (26), ვარგასი (20), ხუანიტო (9), ფეგული (9), ვალერი (9), ნიეტო (1).

**თავდამსხმელები**: პიატი (35), ულოა (34), უჩე (32), გოიტომი (26), ხოსე ორტისი (16).

**სასტარტო 11 (ოპტიმალური)**: დიეგო ალვეში - მასედო, კ. გარსია, მ. სილვა, იაკობსენი - ბერნარდელო, მბამი - კორონა, კრუსატი, პიატი - უჩე.

**უდისციპლინოები**: ხუანმა ორტისი (12 ყვ), ბერნარდელო (11), ულოა (1 წ, 7 ყვ), კ. გარსია (1, 6), ვარგასი (8).

**ხანგრძლივი ტრავმა**: პელერანო - 182 დღე.

### ბეტისი

**ტაქტიკური სქემა**: 4-4-2
**დიდი ანგარიშით მოგება**: 5:0 (კარტახენა)
**დიდი ანგარიშით მარცხი**: 1:4 (ელჩე)

**გოლები**: რ. კასტრო (27), მოლინა (18), ემანა (13), ბენატი (4), როვერსიო (3), სევილია (3), სანტოსი (3), პერეირა (3), დორადო (2), როკე (2), ესეკიელი (1), ისრაელი (1), კაფა (1), კასტო (1), ი. გომესი (1), არსუ (1).

**მეკარეები**: გოიტია (25), კასტო (17).

**მცველები**: დორადო (33), ი. გომესი (31), როვერსიო (22), მ. ლოპესი (21), როკე (13), მანუ (2).

**ნახევარმცველები**: სანტოსი (36), სანტამარია (34), სევილია (33), ესეკიელი (29), ისრაელი (21), არსუ (17), მომო (17), კანიასი (15), ხუანმა (14), ვეგა (6), კაფა (6), ს. როდრიგესი (2), ალექსი (2), დამი (1).

**თავდამსხმელები**: რ. კასტრო (42), ბენატი (36), მოლინა (34), ემანა (28), პერეირა (18).

### რაიო ვალეკანო

**ტაქტიკური სქემა**: 4-3-3
**დიდი ანგარიშით მოგება**: 4:0 (უესკა)
**დიდი ანგარიშით მარცხი**: 0:4 (ბეტისი)

**გოლები**: არმენტეროსი (20), ტრეხო (9), პიტი (8), აგანსო (7), დელიბაშიჩი (7), კოკე (5), ბ. გარსია (3), სუსაეტა (3), ბ. გომესი (3), მიჩელი (3), მოვილია (2), ხული (1), კასადო (1), ლუკასი (1), ტიტო (1), ფუეგო (1).

**მეკარეები**: კობენიო (34), ხიმენესი (7), ხუან კარლოსი (1).

**მცველები**: კოკე (38), კასადო (34), ბ. გომესი (12), ტიტო (10), ანგულო (4), ლ. ბანგურა (4), ალკანისი (2), კასადო (2).

**ნახევარმცველები**: მოვილია (41), ტრეხო (40), არიბასი (38), ფუეგო (37), არმენტეროსი (37), პიტი (34), ბ. გარსია (28), ხული (27), მიჩელი (20), რ. გარსია (17), სუსაეტა (14), პროვენსიო (7), იუმა (7), ბენიტო (2).

**თავდამსხმელები**: დელიბაშიჩი (30), აგანსო (23), ლუკასი (5).

### გრანადა

**ტაქტიკური სქემა**: 4-2-3-1
**დიდი ანგარიშით მოგება**: 5:0 (ხერესი)
**დ/ანგარიშით მარცხი**: 1:4 (ბეტისი)

**გოლები**: გეიხო (24), ბენიტესი (10), ორელანა (8), კოლანტესი (6), იგჰალო (5), ი. ლოპესი (4), ა. გომესი (3), კალვო (3), რიკო (2), მაინსი (2), მენსა (1), ლუსენა (1), ნიომი (1).

**მეკარეები**: რობერტო (44), ხოსე ხუანი (3)

**მცველები**: ნიომი (43), ი. ლოპესი (40), მაინსი (28), ლუსენა (24), რუბენი (19), მენსა (15).

**ნახევარმცველები**: ა. გომესი (45), რიკო (44), ბენიტესი (40), კოლანტესი (39), კალვო (37), ო. პერესი (26), ხუანდე (17), კრუსი (7), ბერგანტინიოსი (6), კიტოკო (4), გრანადა (3), გოკუ (1).

**თავდამსხმელები**: ორელანა (39), გეიხო (36), იგჰალო (25), მურიელი (7), სპესიე (6), სანჩონი (5).

***შენიშვნა:*** *გრანადას ფეხბურთელებს პლეი ოფის სტატისტიკაც მითვლილი აქვთ.*

## ამბები

### ახალი კაცი ბარსაში

„ბარსელონა" „ერკულესის" ნიჭიერ ახალგაზრდას, **კიკო ფემენიას** იმატებს. „ელ მუნდო დეპორტივოს" ცნობით, კიკო სამედიცინო შემოწმებას გადის კლუბში და მალე კატალონიურ გრანდთან 3-წლიან ხელშეკრულებას მოაწერს. ხელს. 20 წლის კიკო, რომ კარგი ფეხბურთელია, ამავე გვერდში მოთავსებული სტატისტიკიდანაც შეიტყობთ, ის მარჯვენა ნახევარმცველია კარგი პასით. „ბარსა" ვალენსიელი ფეხბურთელის სანაცვლოდ 4 მილიონ ევროს გადაიხდის. კიკო ფემენია ივლისის ბოლოს ესპანეთის 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად კოლუმბიაში გაემგზავრება მუნდიალზე.

### ბიელსა ბილბაოში?

7 ივლისს ბილბაოს „ატლეტიკის" პრეზიდენტის არჩევნებია. გამარჯვების ერთ-ერთმა მთავარმა კანდიდატმა **ხოსუ ურუტიამ** განაცხადა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში, კლუბს სათავეში არგენტინელი **მარსელო ბიელსა** ჩაუდგება, არგენტინისა და ჩილეს ნაკრებების ყოფილი თავკაცი. ურუტიამ ისიც გამოაცხადა, რომ სპორტულ დირექტორად კლუბში **ხოსე მარია ამორორტუს** დანიშნავს, ხოლო სარეზერვო გუნდის მწვრთნელად - **ხოსე ანხელ სიგანდას**.




*„მსოფლიოში სულ 7-8 მწვრთნელია ბიელსას დარი სპეციალისტი. ის ძალიან წაადგება „ატლეტიკს", - განაცხადა ურუტიამ პრესკონფერენციაზე.* მისი ხელმძღვანელობით კლუბში ადგილი ყოფილ თანაკლუბელს ფეხბურთელობისას **აიტორ ლარასაბალსაც** აქვს.

### ლა მასია დაიხურა

„ბარსელონას" საქვეყნოდ ცნობილი მომავალ ვარსკვლავთა სამჭედლო „ლა მასია" დაიხურა. 30 ივნისს მცირე ცერემონიალის შემდეგ კლუბმა ოფიციალურად დახურა აკადემიის კარიბჭე, რომელიც 32 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ტალანტების დაფრთიანებას. „ბარსას" აკადემია დღეიდან ახალ შენობაში, ფორმასიო ორიოლ ტორტში გაიხსნა, რომელსაც „ახალ მასიას" უწოდებენ.

### ჩამოფასებაც ასეთი უნდა

„ბეშიქთაშმა" „ვალენსიას" 25 წლის პორტუგალიელი ნახევარმცველი **მანუელ ფერნანდეში** გაიფორმა. მის მაგივრად თურქულმა კლუბმა 2 მილიონი ევრო გადაიხადა, არადა, „ღამურებმა" მის სანაცვლოდ „ბენფიკას" 18 მილიონი გადაუხადა, ეს 2007 წელს მოხდა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

იუვენტუსი

# ანტონიო კონტე ახალწვეულებზე და არა მარტო...

## მაროტა გაწამაწიაშია

„იუვენტუსის“ გულშემატკივრები ოპტიმიზმით არიან აღსავსე, რადგან მათი საყვარელი გუნდი მომდევნო სეზონს საგრძნობლად გაძლიერებული შეხვდება. „ბიანკონერის“ მესვეურებმა უკვე გაჩარხეს რამდენიმე მეტად საინტერესო ტრანსფერი და უახლოეს პერიოდში კიდევ ველოდებით სიახლეებს. პირველ რიგში, სერხიო აგუერო გვყავს მხედველობაში, რომლის ტურინში გადაბარგების ალბათობა საკმაოდ დიდია და ამას უკვე აღარავინ უარყოფს. ეს ყველაფერი „იუვეს“ ახალი მთავარი მწვრთნელის, ანტონიო კონტეს კარნახით ხდება და ბუნებრივია, რომ ჟურნალისტები მას მოსვენებას არ აძლევენ. საერთოდ, კონტეს არ უყვარს მედიასთან ურთიერთობა, თუმცა ისიც კარგად ესმის, რომ როდესაც „იუვეს“ მთავარი მწვრთნელი ხარ, მხოლოდ საკუთარ თავს აღარ ეკუთვნი. სწორედ ამ თემით დაიწყო კონტემ „კორიერე დელო სპორტთან“ საუბარი და შემდეგ, ახალწვეულები სათითაოდ დაახასიათა...

### მედიასთან ურთიერთობა

ხშირად ამბობენ, რომ ჟურნალისტებთან ურთიერთობა არ მიყვარს და ამაში არის სიმართლის მარცვალი. მედია სკანდალზეა ორიენტირებული და კონტაქტშიც იმიტომ შემოდის, რომ რაიმე სენსაციური დაგტყუოს. აქამდე ჟურნალისტებს იოლად გავურბოდი, მაგრამ როდესაც „იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელი ხარ, ასეთ საკითხებს მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდო. ყველაფერს რომ თავი


ანტონიო კონტე

დავანებოთ, „ბიანკონერის“ მილიონობით გულშემატკივარი ჰყავს, რომლებსაც აინტერესებთ, რას ფიქრობს გუნდის მთავარი მწვრთნელი ამა თუ იმ საკითხზე. ამიტომ, მინდა თუ არ მინდა, უფრო მეტად გახსნილი უნდა ვიყო მედიისთვის, ვიდრე აქამდე.

### უახლოესი გეგმები

მალე შეკრება დაიწყება და ამ დღეს მოუთმენლად ველოდები. ფეხბურთელთა დიდ ნაწილს ვიცნობ, „იუვე“ ჩემი მეორე სახლია და ადაპტაციისთვის დრო ნამდვილად არ დამჭირდება. უმალ შევუდგებით ინტენსიურ წვრთნებს და შევეცდებით, რომ სეზონის სტარტს კარგად მომზადებულნი შევხვდეთ. გამოცდილება მკარნახობს, რომ პირველი ათი ტურის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს - თუ გუნდმა რიხით დაიწყო, სეზონს კარგადაც დაასრულებს. ეს ფსიქოლოგიური მომენტია, თავიდანვე უნდა იგრძნო, რომ დიდი მიზნების მიღწევა შეგიძლია.

### ანდრეა პირლო

სახელი და გვარი ყველაფერზე ნათლად მეტყველებს - დიდი ჩემპიონი, რომელსაც გასული სეზონი ჩაუვარდა და სურს, რომ რეაბილიტაცია მოახდინოს. საამისოდ შესანიშნავი გუნდი იპოვა, რადგან ჩვენ ყველანაირად გვერდში დავუდგებით. როდესაც ვამბობ, რომ პირლოს რეაბილიტირება სურს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გუნდური ინტერესები მისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია - პირიქით, პირლო სწორედ ასეთ მოთამაშეთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც ყველაზე წინ გუნდს და შედეგს აყენებენ. ბედნიერი ვარ, რომ მასთან მუშაობის საშუალება მომეცემა, ანდრეა ნამდვილი ჩემპიონია.

### მიკელე პაციენცა

ხშირად წამიკითხავს და მსმენია იმის შესახებ, რომ „ნაპოლის“ წარმატების მთავარი ფაქტორი ედინსონ კავანია, ანაც ესეკილ ლავეცი, რასაც ვერაფრით დავეთანხმები. ნეაპოლელთა ძალა გუნდურობაა და ამ მექანიზმში თავისი როლი მიკელე პაციენცასაც ეკავა. სწორედ მისი და გარგანოს დამსახურებაა ის, რომ სამხრეთელთა შუახაზი ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა და ცენტრს არავის უთმობდა. ამიტომ, როდესაც მიკელეს გადაბირების შანსი მომეცა, ერთი წუთითაც არ დავფიქრებულვარ, ისე გადავდგი ეს ნაბიჯი. დიდი იმედი მაქვს, რომ „იუვეში“ კიდევ უკეთესად ითამაშებს.

### რეტო ციგლერი

პირლოსი არ იყოს, რეტო ციგლერსაც არ ჰქონდა მთლად კარგი სეზონი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცუდი ფეხბურთელია. პირიქით, მას დიდი ხანია ვაკვირდები და ყოველთვის მსურდა, რომ ჩემს გუნდში მეხილა - კარგი პასი აქვს, ზუსტი დარტყმა და ძლიერი „ძრავა“. სწორედ ციგლერი მჭირდებოდა დაცვაში და ბედნიერი ვარ, რომ მისი გადაბირება შევძელით. ამასთან, ვფიქრობ, რომ თუ საჭირო გახდა, ნახევარდაცვაშიც უპრობლემოდ ითამაშებს და დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად გაართმევს.

კონტეს სავარაუდო ტრანსფერებზეც ჩამოუგდეს სიტყვა, თუმცა მწვრთნელმა კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა და ჟურნალისტი კლუბის სპორტულ დირექტორთან გადაამისამართა. **ჯუზეპე მაროტამ** არ დაიზარა და „კორიერეს“ საკმაოდ ვრცელი კომენტარი მისცა:

*„ყველამ იცის, რომ ჩვენი პრიორიტეტული მიზანი სერხიო აგუეროს გადაბირებაა და საამისოდ ძალ-ღონეს არ ვიშურებთ. თუმცა, ამით არ შემოვიფარგლებით და პარალელურად ალექსის სანჩესთანაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. ჩილელზე ხელი გვქონდა ჩაქნეული, რადგან, თითქოს მისი „ბარსელონაში“ გადასვლა იყო გადაწყვეტილი, თუმცა მოვლენები რადიკალურად შეიცვალა. ამიტომ, მის საკითხს მივუბრუნდით და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმისგან. დაინტერესებულნი ვართ მირკო ვუჩინიჩის გადაბირებითაც, თუმცა ჯერჯერობით „რომას“' მესვეურებისთვის წინადადებით არ მიგვიმართავს. ბუნებრივია, სამივე ჩამოთვლილ შემტევს ერთად ვერ ავიყვანთ, მაგრამ ერთ-ერთს აუცილებლად დავიმატებთ.*

*ხშირად მესმის ხავიერ პასტორეს „იუვეში“ გადმოსვლის შესახებ, თუმცა ეს უკვე აშკარა ჭორია - არგენტინელის შესახებ კონტეს უკვე ვესაუბრე და მითხრა, რომ მის გეგმებში ვერ ჯდება. სიამოვნებით გადავიბირებდით ედინსონ კავანის, მაგრამ ესეც გამორიცხულია, რადგან ნეაპოლელები მას 50 მილიონ ევროზე ნაკლებად არ გაყიდიან. ისე, ჩვენც ვაპირებთ რამდენიმე ფეხბურთელის გასხვისებას და მათ აუცილებლად დავაყენებთ ტრანსფერზე - თუმცა, დღეს გვარების დასახელებას ნუ მომთხოვთ“.*

სავარაუდო ტრანსფერი

# კასანი ლიხტშტაინერის შემცვლელად




**შტეფან ლიხტშტაინერმა** „ლაციო“ დატოვა და კარიერას „იუვენტუსში“ გააგრძელებს. შესაბამისად, რომაული კლუბის მესვეურებს მისი შემცვლელი, ანუ მარჯვენა მცველი ჰყავთ მოსაძებნი - ამ მიმართულებით უკვე გადაუდგამთ კიდეც სერიოზული ნაბიჯები და შესაძლოა, უახლოეს პერიოდში საინტერესო ტრანსფერი გაჩარხონ. ლაპარაკია „პალერმოდან“ **მატია კასანის** გადაბირებაზე, რომელიც იტალიის ეროვნული ნაკრების წევრია. 27 წლის უკანახაზელი წინააღმდეგი არაა, რომ კარიერა „ბიანკოჩელესტეში“ გააგრძელოს:

*„ვიცი, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს და დიდია შანსი, შეთანხმებაც შედგეს. „ლაციოს“ პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს ვესაუბრე და ვუთხარი, რომ თუ კლუბები მორიგდებიან, პირადად მე პრობლემას არ შევქმნი და რომაულ გუნდში სიამოვნებით გადავბარგდები. „ლაციო“ ამბიციური გუნდია, დიდი მიზნებით და თუ ამ პროექტის ნაწილი გავხდები, მხოლოდ გამიხარდება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიზნად „პალერმოდან“ წასვლა მაქვს დასახული - სიცილიაზე თავს შესანიშნავად ვგრძნობ და აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს“.*

სავარაუდო ტრანსფერი

# გადავა ფრეი ჯენოაში?

„კორიერე დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დიდია შანსი **სებასტიან ფრეიმ** მომდევნო სეზონში „ჯენოას“ ღირსება და შესაბამისად, კარი დაიცვას. 31 წლის კიპერი უკვე წლებია „ფიორენტინაში“ ირიცხება, თუმცა გასულ სეზონში ტრავმებმა გატანჯეს და ძირითადად ლაზარეთში მოუწია ყოფნამ. მისი ადგილი პოლონელმა კიპერმა **არტურ ბორუცმა** დაიკავა და სავარაუდოდ, **სინიშა მიხაილოვიჩი** მომდევნო სეზონშიც მასზე გააკეთებს აქცენტს. შესაბამისად, ფრეი ახალი გუნდის ძიებას შეუდგა და წინადადებებსაც განიხილავს.

ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, „ფიორენტინა“ მზადაა ფრეის ხელშეკრულება გაუწყვიტოს და თავისუფალი აგენტის სტატუსით გაუშვას, რადგან მისი მყიდველი ჯერ არ ჩანს, ხელფასი კი ფრანგს ძალიან დიდი აქვს (2.5 მილიონი ევრო). ფლორენციული კლუბის მესვეურებს სახელფასო ფონდის შემცირება სურთ და ამად არის, რომ კიპერის ასე უბრალოდ გაშვება აქვთ გადაწყვეტილი. ფრეისთან ხელშეკრულების გაფორმება "ჯენოას" პრეზიდენტს, **ენრიკო პრეციოზის** სურს, თუმცა იმ პირობით თუ კიპერი სეზონში 1.5 მილიონ ევროს დაყაბულდება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.


სებასტიან ფრეი

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

საირმეს დაბადება 40 წლის შემდეგ

განახლებული კურორტი საირმე!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.

3-ვარსკვლავიანი კომფორტული სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს, ველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.

**ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნო - ევროპული სტანდარტების სპა ცენტრი.**

უფრო მეტს, საირმის განახლებული კომპლექსის შესახებ ვებგვერდის:
www.sairme.com.ge
შეიტყობთ.



ჭიდაობა. ეროვნული გუნდები

# ნაყოფიერი შეკრება სომხეთში

გუშინ ჩვენი თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა გუნდები სომხეთიდან დაბრუნდნენ, სადაც წახკაძორში საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი შეკრება გაიარეს. ის ფიზიკურ მომზადებაზე კი იყო გათვლილი, მაგრამ სპორტსმენები შიგადაშიგ ლეიბზეც შედიოდნენ სავარჯიშოდ. ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი - **ზაზა თურმანიძეც** და **ბეგი დარჩიაც** კმაყოფილები არიან იქ გავლილი შეკრებით და ამბობენ, რომ სპორტსმენებმა ძალზე ნაყოფიერად ივარჯიშეს. „თავისუფალთა" ნაკრებს ოლიმპიური პრიზიორი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **გიორგი გოგშელიძეც** (96) ახლდა. თურმანიძის თქმით, მან კარგად, სრული დატვირთვით ივარჯიშა და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგა.

ახლა ჩვენი გუნდებისთვის უახლოესი სამიზნე 8-10 ივლისს ბაქოში გასამართი ჰეიდარ ალიევის სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" ფინალური ტურნირია. საკვალიფიკაციო შეჯიბრებების შემდეგ ჩვენებმა იქ ყველა წონაში მაქსიმალური - 3-3 მოჭიდავის გამოყვანის უფლება მიიღეს და ამ კვოტას სრულად აითვისებენ. „თავისუფალთაგან" ბაქოში ჭიდაობის უფლება ამ მოჭიდავეებმა მიიღეს: **გიორგი ედიშერაშვილი, ტრისტან ჩირგაძე, გივი დავიდოვი** (სამივე - 55), **მალხაზ ზარქუა, მალხაზ ქურდიანი, დავით ბერძნიშვილი** (60), **შალვა მუზიაშვილი, კობა კაკალაძე, გიორგი ცუცქირიძე** (66), **გოჩა ლომთათიძე, გიორგი მარსაგიშვილი, რევაზ ივანიშვილი** (74), **აჩიკო ქიტიაშვილი, ირაკლი მარსაგიშვილი, ბექა ჭელიძე** (84), **ელიზბარ ოდიკაძე, ლევან სეთურიძე, დავით ქერაშვილი** (96), **დავით მოძმანაშვილი, ლევან ბერიანიძე, გიორგი საკანდელიძე** (120), ბერძენ-რომაელთაგან კი ამათ: **ლაშა გოგიტაძე, გენადი ქუთათელაძე, ზურაბ მაჭარაშვილი** (სამივე - 55), **ირაკლი ჭოჭუა, ქემალ ხარაბაძე, სულხან წულუკიძე** (60), **მარადი აბულაძე, ლაშა ლოლაშვილი, მუხრან მაჭუტაძე** (66), **მანუჩარ კვირკველია, მანუჩარ ცხადაია, გიორგი ცირეკიძე** (74), **რევაზ ნადარეიშვილი, მათე სოფაძე, დავით ჩაკვეტაძე** (84), **ირაკლი ქაჯაია, იაკობ ქაჯაია, ვასილ იმერლიშვილი** (96), **დიმიტრი ჯავახიშვილი, რამინ შაქარიშვილი, სერგო გოგისვანიძე** (120). ოღონდ თურმანიძისგან განსხვავებით, დარჩია შემადგენლობაში ცვლილებების შეტანასაც აპირებს, რაც ტაქტიკური ჩანაფიქრითაცაა განპირობებული და ახალგაზრდული ნაკრების ინტერესებითაც. დარჩია **რევაზ ლაშხის** იქ გაგზავნას რომ არ აპირებდა, ეს ადრეც გაცნობეთ. მოგეხსენებათ, მსოფლიოზე ჩვენი ევროპის ჩემპიონის ერთ-ერთი მთავარი მეტოქე პლანეტის მოქმედი ჩემპიონი, აზერბაიჯანელი **ჰასან ალიევი** იქნება, ვისაც ლაშხმა ევროპაზე მოუგო, მაგრამ ახლა მასთან მისსავე „მოედანზე" შეხვედრა არ სურთ - წინასწარ იციან, ეს განწირული თამაში იქნება და მწვრთნელები ყველაფერს გააკეთებენ მასპინძელის გასამარჯვებლად. თანაც, მწვრთნელები ამ ნაბიჯით ლაშხს სხვებსაც უმალავენ - არ სურთ, გუნდის ლიდერი ყველას თვალწინ გამოამზეურონ. ლაშხი ზუსტად ბაქოს ტურნირის დღეებში მადრიდში იჭიდავებს იქაურ შეჯიბრებაში. ესპანეთში **ვლადიმერ გეგეშიძეც** (84) გამოვა, რომელმაც გივი კარტოზიას სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" ტურნირი ტრავმის გამო გამოტოვა (ეგ კი არა, მთელი სეზონიც) და ბაქოში გამოსვლის უფლება არც ჰქონდა. ტაქტიკური მოსაზრებებით ბაქოში არც კვირკველია იჭიდავებს - ისიც ემალება კონკურენტებს, სასტარტო შეჯიბრებაზე კი აგვისტოში პოლონეთში იასპარეზებს პეტლიასინსკის სახელობის მემორიალში. ამას გარდა, გუნდში მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობის გამო სხვა ცვლილებებიცაა მოსალოდნელი. მოგეხსენებათ, კარტოზიაზე წარმატებას ძირითადად ახალგაზრდებმა მიაღწიეს, რომლებიც თანატოლთა მსოფლიოს პირველობაზე წავლენ, მათ კი სხვები ჩაანაცვლებენ, ოღონდ ვიდრე ახალგაზრდულის შემადგენლობა საბოლოოდ არ გარკვეულა, კონკრეტულ გვარებს არც ჩვენ დავასახელებთ - ამ საკითხზე ფედერაციაში დღეს იმსჯელებენ. ამ ეტაპზე ერთს ვიტყვით - გიორგი ცირეკიძემ წონითი კატეგორია შეიცვალა და 84-ში გადავიდა. შედეგად, ბაქოშიც ამ წონაში იჭიდავებს, 74-ში კი სხვა შეცვლის. ქუთაისელი ფალავანი შარშან გამოჩნდა ასპარეზზე, როცა კარტოზიაზე ვერცხლი მოიპოვა, მაგრამ მერე კვირკველიას კონკურენციაში ჩაიკარგა. როგორც გაირკვა, მწვრთნელები მას მაშინვე ურჩევდნენ 84-ში გადასვლას, მაგრამ აქამდე ეს არ ისურვა.

ბაქოში პირველად „თავისუფლები" წავლენ - ისინი 8-ში იწყებენ ასპარეზობას, 7-ში კი აწონვაა. ბერძენ-რომაელები 9 ივლისს ჩაებმებიან შეჯიბრებაში. მსოფლიოსთვის მზადებასაც ცოტა უფრო ადრე „თავისუფლები" შეუდგებიან - 21 ივლისს შეკრებას დაიწყებენ დუშეთში. სავარაუდოდ, იქ მსოფლიოზე წასვლის ყველა კანდიდატი იქნება, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია მსოფლიოს ვერცხლისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორ **ოთარ თუშიშვილის** (66) საკითხი, რომელსაც კვლავაც აწუხებს ტრავმები. ასევე გაურკვეველია, როდის შეუერთდებიან გუნდს ახალგაზრდული ნაკრების ლიდერები - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და **დავით მარსაგიშვილი** (84), რომლებიც წლეულს უფროსებში ევროპის ვიცე-ჩემპიონები, ახალგაზრდებში კი კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ, ხოლო უახლოეს თვეებში ორივე ნაკრებში მსოფლიოს პირველობაზეც უნდა იჭიდაონ.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი. რეიტინგი

# ასეულის ბინადარნი

პირველი ივლისისთვის ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდე) საუკეთესო მოთამაშეთა ტრადიციული რეიტინგლისტი გამოაქვეყნა. ვაჟთა ასეულის სათავეს კვლავ დაუბრუნდა ნორვეგიელი **მაგნუს კარლსენი,** რომელმაც განვლილ ორ თვეში მონაგარი 2821 პუნქტამდე გაზარდა. მას მცირედით ჩამორჩება ინდოელი მსოფლიოს ჩემპიონი **ვიშვანათან ანანდი** (2817). რჩეულთა ათეულში მომდევნო ადგილებზე მოდიან: **ლევონ არონიანი** (სომხეთი, 2805), **სერგეი კარიაკინი** (რუსეთი, 2788), **ვლადიმირ კრამნიკი** (რუსეთი, 2781), **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა, 2768), **რუსლან პონომარიოვი** (უკრაინა, 2768), **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი, 2768), **ჰიკარუ ნაკამურა** (აშშ, 2766), **შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი, 2765).

ვაჟთა პირველ ასეულში უწინდებურად მხოლოდ ერთი ქართველი დიდოსტატია - **ბაადურ ჯობავა,** რომელსაც 2713 პუნქტით 30-ე ადგილი უკავია.

ქალებს ისევ უნგრელი **იუდით პოლგარი** მეწინავეობს, რომელსაც 2700-იანთა კლუბში შესასვლელად ერთი პუნქტიღა აკლია. **ნანა ძაგნიძე** მეოთხედან მე-7 საფეხურზე ჩამოქვეითდა. პირველი ივლისისთვის ათეულში ასეთი მდგომარეობაა: იუდით პოლგარი (2699), **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი, 2614), **ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 2575), **ნადეჟდა კოსინცევა** (რუსეთი, 2560), **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი, 2557), **ანა მუზიჩუკი** (სლოვენია, 2538), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2537), **კატერინა ლახნო** (უკრაინა, 2536), **ვიქტორია ჩმილიტე** (ლიტვა, 2528), **ანტუანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 2524).

ქართველ დიდოსტატ ქალთაგან ასეულში შედიან: 16. **მაია ჩიბურდანიძე** (2500), 21. **ბელა ხოტენაშვილი** (2487), 30. **ლელა ჯავახიშვილი** (2469), 41. **ნინო ხურციძე** (2440), 42. **სალომე მელია** (2437), 47. **ანა მათნაძე** (2418), 50. **სოფიკო ხუხაშვილი** (2426), 59. **ნაზი პაიკიძე** (2416), 77. **ნინო ბაციაშვილი** (2381), 80. **თამარ წერეთელი** (2379), 94. **მაია ლომინეიშვილი** (2366), 95. **მაკა ფურცელაძე** (2364), 98. **ნონა გაფრინდაშვილი** (2360).

ოცწლიან ვაჟთა ოცეულში წარმომადგენელი არ გვყავს, გოგონებში კი ოთხი ჩვენებურია: 6. **ნაზი პაიკიძე** (2416), 17. **სოფიკო გურამიშვილი** (2329), 18. **ქეთი წაწალაშვილი** (2318) და 20. **მერი არაბიძე** (2311). სიის სათავეშია 17 წლის ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი **ჰოუ იფანი** (2575).

**ვაჟა დანელია**


ბელა ხოტენაშვილი

# ჩვენებურთა წვლილიც ურევია

თურქეთის საკლუბო ჩემპიონატში გუშინ მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართა. კვლავ იყოჩაღეს **ბელა ხოტენაშვილისა და ლევან ფანცულაიას** გუნდებმა, რომლებმაც კიდევ თითო გამარჯვება იზეიმეს და მოწინავე პოზიციები შეინარჩუნეს, თუმცა, ჩვენებურებმა თანაგუნდელთა მონაგარს მხოლოდ ნახევარ-ნახევარი ქულა შესძინეს.

**„ისეკ აქუამატჩი"-„ადანა"** 5,5:4,5 (ლევან ფანცულაია-მერთ ერდოლდუ 0,5:0,5, ეკატერინა ატალიკი-ნანა ძაგნიძე 0,5:0,5), **„იარი კრედი"-„ბურსა"** 6,5:3,5 (ბელა ხოტენაშვილი-სოფიო გვეტაძე 0,5:0,5), **„გაზი უნივერსიტესი"-„ჩელიკოლი"** 5:5 (ჩინარ ჩორლულუ-სოფიკო გურამიშვილი 0,5:0,5), **„მანიშა"-„ისტანბული"** 5:5 (ქართველები არ თამაშობენ), **„დენიზ გენჩლიკი"-„ვეშილკოვ სფორი"** 5,5:4,5 (მირჩეა-ემილიან პარლიგრასი-დავით არუთინიანი 0,5:0,5, რასულ იბრაჰიმოვი-თორნიკე სანიკიძე 0:1), **„მერსინ ეგზი სატრანჩი"-„ბეშიქთაში"** 6,5:3,5 (ქართველებს არ უთამაშიათ), **„ტარსუს ზეკა"-„თურქ ჰავა ვოლარი"** 4,5:5,5 (მიხეილ მჭედლიშვილი-მერაბ გაგუნაშვილი 0,5:0,5, ლუკა პაიჭაძე-სალომე მელია 1:0).

ოთხი ტურის შემდეგ 8-8 ქულით ისევ „იარი" (28) და „ისეკი" (24,5) ლიდერობენ. 6-6 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს „მერსინი" (24,5) და „მანიშა" (23) ინაწილებენ.

**ვაჟა დანელია**

სინქრონული ცურვა


ქრისტინე ბოჭორიშვილი

# ქრისტინა ფინალში იასპარეზებს

ბელგრადში გრძელდება იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი სინქრონულ ცურვაში. გუშინ სპორტსმენები ფიგურებში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. 148 მონაწილეს შორის **ქრისტინე ბოჭორიშვილმა,** რომელიც სოლოში მეათე იყო, 68.9977 ქულით 74-ე ადგილი დაიკავა. ორგანიზატორებმა შედეგების შესაჯამებლად მხოლოდ სოლისტების ქულები აიღეს. ამ მონაცემებით (145.6677 ქულა) ქართველ სპორტსმენს მე-11 ადგილი ხვდა და კვირას ფინალში იასპარეზებს.

- ასეთ ტურნირში ქრისტინე პირველად მონაწილეობს და მსაჯები მას ცუდად იცნობენ, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, - გვითხრა ბოჭორიშვილის დედამ და მწვრთნელმა **ნინო ლომოურმა,** რომელსაც გუშინ სერბეთის დედაქალაქში შევეხმიანეთ. - ფიგურებში ასპარეზობის შემდეგ ჩემთან რამდენიმე ქვეყნის მწვრთნელი მოვიდა, რომლებმაც გულისტკივილი გამოხატეს იმის გამო, რომ აშკარად დაგვაკლეს ქულები. ხელი იმანაც შეგვიშალა, რომ პირველობაზე ჩვენი არბიტრი არ გვყავს. ყოველივეს მიუხედავად, ქრისტინა ფინალში თუ კარგად შეასრულებს სოლოს, ათეულში დაიმკვიდრებს ადგილს. დებიუტისთვის კი ეს ურიგო შედეგი არ იქნება, მით უმეტეს, რომ ბოლო დროს ცუდი საწვრთნელი პირობები ჰქონდა. სალონიკიში 17 წელიწადი ვიცხოვრე. იქ საწყლოსნო კლუბ „ირაკლიოსის" წევრებს ვავარჯიშებდი. ჩემმა ერთმა შეგირდმა ათენის ოლიმპიადაზე იასპარეზა, ერთიც ახალგაზრდებში ევროპის პრიზიორი გახდა. ამას წინათ, სამუშაოდ ქალაქი და კლუბი გამოვიცვალე. „ირაკლიოსიდან" ჩემმა წამოსვლამ ქრისტინე დააზარალა - კლუბის ხელმძღვანელობამ აუზში ჩასვლა აუკრძალა და სხვაგან გადასასვლელად სასპორტო პასპორტიც არ მისცა. პროვინციული აუზის ერთ ბილიკზე ვარჯიშობდა, სადაც საშეჯიბრებო პროგრამის დამუშავება შეუძლებელი იყო. პარასკევს და შაბათს კი მიმყავდა ჩემთან, მაგრამ კვირაში ორდღიანი წვრთნა წარმატებისთვის რას გეყოფა. ვეცდებით, პრობლემა დროულად მოვაგვაროთ და შედეგებიც გავაუმჯობესოთ...

ბელგრადში ასპარეზობის ბოლო დღის წინ 173.1839 ქულით პირველ ადგილზეა რუსი **ვლადა ჩიგირიოვა,** მეორე-მესამე ადგილებს **ევანგელია პლატანიოტი** (საბერძნეთი, 164.6173) და **კლარა კამაჩო** (ესპანეთი, 162.0076) ინაწილებენ.

**ვაჟა დანელია**

# მოიგო და ქალთა ლიდერს მიუახლოვდა

ბულგარულ ალბენაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე ექვსი დღის შემდეგ **მაქსიმ როდშტეინი** (ისრაელი) 5,5 ქულით ერთპიროვნულად მეწინავეობდა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით 14 მოჭადრაკე ჩამორჩებოდა. გუშინ მე-7 ტურში სომეხი **ავეტიკ გრიგორიანის** ძლევით როდშტეინმა ლიდერობა შეინარჩუნა. ხუთ-ხუთქულიანთა პარტიები ასე დამთავრდა: ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი)-ანდრაშ საბო (რუმინეთი) 1:0, კონსტანტინ ლუპულესკუ (რუმინეთი)-ვასილე სანდულიჩი (მოლდოვა) 1:0, ალექსანდერ დელჩევი (ბულგარეთი)-პონტუს კარლსონი (შვედეთი) 1:0, პეტარ არნაუდოვი (ბულგარეთი)-მომჩილ ნიკოლოვი (ბულგარეთი) 0,5:0,5, ანდრეი-ნესტორ კიოარა (რუმინეთი)-პაველ ჟარაჩი (პოლონეთი) 0,5:0,5, დმიტრი სვეტუშკინი (მოლდოვა)-ლუბინ სპასოვი (ბულგარეთი) 0,5:0,5, ბორის ჩატალბაშევი (ბულგარეთი)-ივან რადულოვი (ბულგარეთი) 0:1.

შვიდი ტურის შემდეგ 6-6 ქულით მეორე-მეხუთე ადგილებს ლუპულესკუ, ჩეპარინოვი, დელჩევი და რადულოვი იყოფენ.

გუშინ წარმატებით ითამაშა **ნაზი პაიკიძემ,** რომელმაც მასპინძელი **ნედელჩო დიჩევი** დაამარცხა, 4,5 ქულა მოაგროვა და ქალთა შორის მეხუთე-მერვე ადგილებს ინაწილებს, ხოლო მანდილოსანთა ლიდერ **მარგარიტა ვოისკას** (ბულგარეთი) მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება (შეჯიბრებაში სულ 45 ქალი მონაწილეობს). პაიკიძე მე-8 ტურში **ხრისტო იველიანოვს** (ბულგარეთი) დაუპირისპირდება შავი ფიგურებით. ლიდერები კი ასე დაწყვილდნენ: ლუპულესკუ-როდშტეინი, რადულოვი-ჩეპარინოვი, კოლევი-დელჩევი.

**ვაჟა დანელია**

კოლეგები




# სპორტული ჟურნალისტები სპორტსმენობენ კიდეც

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით 2 ივლისს, სპორტული ჟურნალისტიკის საერთაშორისო დღეს, ტრადიციული მედიატურნირი „ბაჩოს თასი" გაიმართება მინი-ფეხბურთსა და ქვიშის ფრენბურთში, შესაბამისად 10 და 8 გუნდის მონაწილეობით.

ტურნირი, სადაც მხოლოდ ჟურნალისტები გამოვლენ სპორტულ სარბიელზე, ზედიზედ მეორე წელია ტარდება და სპორტული ჟურნალისტის - ბაჩო სვანიძის სახელობისაა.

თამაშები დღეს კუს ტბაზე 10 საათზე დაიწყება, 14:00 საათზე კი ტურნირის ოფიციალური გახსნის ცერემონიალი გაიმართება.

გამარჯვებული გუნდები თასებითა და მედლებით დაჯილდოვდებიან, ჩემპიონებს ასევე გადაეცემათ საცურაო აუზ „ოლიმპიკის" ერთთვიანი აბონემენტები. პრიზები აქვთ დაწესებული „ნატახტარსა" და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას.

საქართველოს ნაკრები

# ესეც თვრამეტი




**სამშაბათს საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა საქართველოს ნაკრების შემადგენლობა გამოაცხადა. დღეს ეროვნულში გამოძახებულებზე მოკლედ გესაუბრებით და გაგაცნობთ, როგორი სეზონი ჰქონდა თითოეულს.**

### გიორგი ცინცაძე („ტარტუ როკი")

„ბუმ" (ცინცაძის მეტსახელი) ესტონეთის ჩემპიონატი მეორე ადგილზე დაასრულა, მოიგო ბალტიის ლიგის თასი, თუმცა, როგორც თვითონ გვითხრა, 2010-11 წლების სეზონში მთავარი მედლები არ იყო:

- 2010 წლის გაზაფხულზე პოლონურ „სოპოტში" თამაშისას კოჭის ტრავმა მივიღე, რომელიც ბოლომდე არ მქონდა მოშუშებული, 2010 წელს ნაკრებთან ერთად შესარჩევი ტურნირი რომ ვითამაშე. ტრავმა ხელს მიშლიდა. ამიტომ, შესარჩევი ეტაპის შემდეგ იმ გუნდში გადავედი, სადაც კარგად მიცნობენ, გამოჯანმრთელებაშიც ხელს შემიწყობდნენ და სათამაშო დროც საკმარისად მექნებოდა. ასეთი „ტარტუ როკი" იყო.

ცინცაძე საქართველოს ნაკრების შეკრებას სათანადო კონდიციებში ხვდება.

### ლაშა გამყრელიძე („გისენი")

ვერ ვიტყვით, რომ ლაშას წარმატებული სეზონი ჰქონდა. მან გერმანიის ბუნდესლიგა „გისენთან" ერთად კარგად დაიწყო, სასტარტო გამთამაშებლადაც იქცა, მაგრამ წაგებას წაგება მოჰყვა, შეიცვალა მწვრთნელიც და გამყრელიძესაც არ ჰქონია საკმარისი სათამაშო დრო. იყო მატჩები, მწვრთნელს განაცხადში არ შეჰყავდა.

ამის მიუხედავად, ლაშას სანაკრებოდ მოსამზადებლად საკმარისი დრო აქვს. იგი გუნდს კარგადაა მორგებული და ნაკლებად სავარაუდოა, წარუმატებელმა სეზონმა სანაკრებო გამოსვლაზე გავლენა მოახდინოს.

### ტორინ გრინი („გრან კანარია")

გრინი ესპანეთის საშუალო გუნდის „გრან კანარიას" სასტარტო გამთამაშებელი იყო. რიგ მატჩებში შორიდან ჩაგდებული სამქულიანებით (მაგალითად „რეალთან") იგი კანარელთა გმირი გახდა.

მაისის დასაწყისში ტორინმა ფეხის ფალანგა დაიზიანა. თავიდან მოტეხილობა ეგონათ, თუმცა ძვალი გაბზარული აღმოჩნდა და დღეს გრინი უკვე ვარჯიშობს.

### კოტე ტუღუში („არმია")

კოტეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სეზონი ჰქონდა - რა ტურნირზეც ითამაშა, ყველაფერი მოიგო: საქართველოს თასი, სუპერთასი, ჩემპიონობა. მეტსაც გეტყვით - ჩვენი გაზეთის გამოკითხვის შედეგად ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა.

იგი გამთამაშებლადაც ირჯებოდა და მსროლელადაც. არადა, წინა წლებში „ენერჯიში" ძირითადად მსროლელის ფუნქციებს ასრულებდა.

### ანატოლი ბოისა („არმია")

ტუღუშის მსგავსად, ბოისაც „არმიაში" „ენერჯიდან" მოხვდა. მას მწვრთნელი **ლევან მოსეშვილი** ბოლომდე ენდობოდა და ბოისაც დამაჯერებელი თამაშით იმედებს უმართლებდა.

2007 წელს ანატოლი ბოისამ ფინეთის ნაკრების წინააღმდეგ კარგად ითამაშა. მას მერე მეტი გამოცდილება მიიღო და ეროვნულ გუნდს წლეულს უფრო მეტად უნდა გამოადგეს.

### მანუჩარ მარკოიშვილი („კანტუ")

მანუჩარმა სეზონი ნაკრების წევრთაგან ყველაზე გვიან დაასრულა, იტალიის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში „მონტეპასკის" ეთამაშებოდა. მანუს კლასზე ეს ფაქტიც ნათლად მეტყველებს. ნაკრებში მანუს ღირებულებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

### ვიქტორ სანიკიძე („ვირტუსი")

13 მარტს ვიქტორმა იტალიის ვარსკვლავთა მატჩი ითამაშა... ესეც მრავლისმეტყველი მოვლენაა, თუმცა ერთს დავამატებთ: გასულ სეზონში მარკოიშვილის მსგავსად გარკვეული დრო ტრავმების გამო სანიკიძესაც გაუცდა. თუ მანუს არყოფნაში „კანტუ" გუნდური თამაშით შედეგს მაინც აღწევდა, ვიქტორის ტრავმა „ვირტუსის" შედეგებზე პირდაპირპროპორციულად ისახებოდა.

### თორნიკე შენგელია („პეპინსტერი")

თორნიკე 19 წლის ახალგაზრდაა. მან პროფესიულ დონეზე სეზონი სრულად წლეულს ჩაატარა - ბელგიის „პეპინსტერში" ითამაშა. საკმარისი გამოცდილებაც მიიღო და არაერთი ეფექტური მატჩი გამართა.

შენგელიამ და მისმა აგენტმა 2011 წლის NBA-ს დრაფტზე შეიტანეს განაცხადი.

### ნიკა ცქიტიშვილი („ლაგუნ არო")

სკიტამ სეზონი ბასკურ „ლაგუნ აროში" კარგად დაიწყო. არაერთი ეფექტური მატჩი ჩაატარა, მაგრამ შუა სეზონში, როგორც იტყვიან, მწვრთნელმა თვალში ამოიღო და ნიკაც იძულებული გახდა, „ლაგუნ არო" მარტში ნაადრევად დაეტოვებინა.

ისევე როგორც ნაკრების წევრთა უმეტესობას, სკიტასაც ახალი გუნდის ძიება უწევს.

### ნიკა მეტრეველი („რიმინი")

ნიკა ცქიტიშვილის მსგავსად მწვრთნელის ნდობა იტალიის მეორე ლიგაში მოასპარეზე ნიკა მეტრეველსაც აკლდა. არადა, სეზონის დასაწყისში ველოდით, რომ მეტრეველი საკუთარ თამაშს სწორედ „რიმინიში" იპოვიდა. მას ომახიანი სიტყვის სათქმელად შესაფერისი კლუბის მოძიება გაისისთვის მოუწევს.

### ვლადიმერ ბოისა („ოლიმპია")

ბოისამ 2010 წლის ივნისში ნაოპერაციები მუხლი იანვარში მოირჩინა და სლოვენიის „ოლიმპიაში" ფორმის აღდგენა სცადა. ვოვამ სეზონის ბოლომდე კონდიციები აღიდგინა კიდეც, მაგრამ მწვრთნელი მხოლოდ 10-15 წუთს ათამაშებდა. ბოისა მეტს იმსახურებდა.

...საქართველოს ნაკრებში მას ყოველთვის მეტი დატვირთვა ჰქონდა.

### გიორგი შერმადინი („ოლიმპია")

სეზონის დასაწყისსა და ბოლოში არც გიორგი შერმადინი უნდა ყოფილიყო ბოძებული სათამაშო დროით კმაყოფილი, თუმცა როცა „ოლიმპიას" ფარქვეშეთის გამაგრება დასჭირდა, ევროლიგაზე მწვრთნელი 20-24 წუთს ათამაშებდა და „ბარსელონასთან" მატჩებმაც დაგვანახა, რომ საქართველოს ნაკრებში ზაზა ფაჩულიას ღირსეული შემცვლელი ჰყავს.

### ზაზა ფაჩულია („ატლანტა")

როგორც ყოველთვის, ფაჩულიამ NBA-ში რეგულარულ ეტაპზე უკეთ პლეი ოფები ჩაატარა. ამის მიზეზი ისაა, რომ პლეი ოფებში დაძაბულობა მატულობს და მწვრთნელიც მეტად აფასებს მებრძოლი ხასიათის კალათბურთელებს. ფაჩულია შავ სამუშაოსაც კარგად ასრულებდა, საჭიროების შემთხვევაში სროლის სიზუსტითაც გამოირჩეოდა და როცა მისკენ ორლანდოელი ჯეისონ რიჩარდსონი გაენთო, არც აცია, არც აცხელა - თავი ჩაარტყა.

„ატლანტაში" დისკვალიფიცირებული ფაჩულია შეცვალეს. საქართველოს ნაკრებში კი ბოლო წლებში მეტად თავშეკავებით თამაშობს, რადგან იცის, რომ გუნდს ძალიან სჭირდება.

### მიხეილ ბერიშვილი (თსუ)

მიშა ბერიშვილი საქართველოს ნაკრებში 2008 წელს შეიყვანეს და სლოვაკეთში სამქულიანი ტყორცნით საფინალო ანგარიშიც დააფიქსირა (103:78), თუმცა მას მერე 12 კალათბურთელში ველარ მოხვდა.

გასული სეზონი მან „არმიაში" დაიწყო, თუმცა თამაში არ უწევდა და თსუ-ში გადავიდა. სტუდენტთა რიგებში წარმატებული გარჯით მიშამ „სოხუმის" მწვრთნელის ყურადღება მიიპყრო და ივნისში სოხუმელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

### ლაშა ფარღალავა (სოხუმი)

ლაშა საქართველოში დიდი ხნის შესვენების შემდეგ დაბრუნდა. იგი ამერიკის კოლეჯების ლიგაში თამაშობდა და საკუთარი კონდიციებიც გაიუმჯობესა. მასზე „სოხუმისა" და ლატვიის ნაკრების მწვრთნელმა **აინარს ბაგაცკისმა** თქვა: „კარგი გაგებით, ფარღალავასნაირი ველური კალათბურთელი ნაკრებს ნამდვილად გამოადგებაო..."

### ლევან ფაცაცია (სოხუმი)

ლევანი **დავით უსტიაშვილის** ხელმძღვანელობით ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობდა, თუმცა ეროვნულ გუნდში პირველად წლეულს გამოიძახეს. ისიც კოლეჯების ლიგიდან დაბრუნდა საქართველოში და „სოხუმს" ნახევარფინალში გასვლაში დიდად დაეხმარა.

### გიორგი შარაბიძე (არმია)

გიორგიმ ორი სეზონი „ვალენსიაში" გაატარა და დიდი გამოცდილებაც მიიღო. გასული სეზონის დასაწყისში იგი ბელგიურ „შარლერუაში" ვარჯიშობდა, თუმცა იანვარში „არმიას" დაემატა და თასის ფინალშიც დაგვანახა, რომ ქართულ კალათბურთს კიდევ ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მეფარე ჰყავს. გიორგი განსაკუთრებით სწრაფი თამაშისას იყო ეფექტური, რაც მეფარისთვის დიდი პლუსია.

### მარკიზ ჰეინესი (გრან კანარია)

იგი საქართველოს ნაკრების დებიუტანტია. მარკიზი წლიდან წლამდე უმატებს. 2010 წელს კოლეჯების ლიგიდან ფრანგულ „შალონში" გადავიდა, საიდანაც ახლახან ესპანურ „გრან კანარიაში" მოხვდა. მის კლასზე ისიც მიუთითებს, რომ კანარებზე გადასვლამდე მისი გადაბირების სურვილი მადრიდის „რეალმა" გამოხატა.

მარკიზზე უახლოეს დღეებში უფრო ვრცლად ვილაპარაკებთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

# ახალგაზრდები იწყებენ და იგებენ

**ჰოლანდია-საქართველო 64:87**

**19:26, 22:16, 13:32, 10:13**

**საქართველო:** ბაქრაძე (8), ლომოური, ჩიკვილაძე (15), შენგელია (38), თავართქილაძე, ბექაური, ბოქოლიშვილი, თენიეშვილი, ლეჟავა, სანაძე (6), რევაზაშვილი (4), დვალიშვილი (8 ქულა, 11 მოხსნა), დეკანოიძე

**დავით უსტიაშვილის** გაწვრთნილმა საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჰოლანდიურ შეკრებაზე პირველი ამხანაგური მატჩი გამართა და მასპინძელი თანატოლები 23 ქულის სხვაობით – 87:64 დაამარცხა. ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის მატჩებისთვის ემზადება და ჰოლანდიის ქალაქ ზვოლეშიც სპარინგების გასამართად, ვარჯიშებზე დამუშავებული კომბინაციების სრულყოფის მიზნით გაემგზავრა.

როგორც ხედავთ, ქართველებმა ჰოლანდიელი თანატოლები იოლად დაჯაბნეს, რაშიც ლომის წილი **თორნიკე შენგელიას** მიუძღვის. 19 წლის შენგელიამ, რომელიც პარალელურად ეროვნული ნაკრების წევრია, ჰოლანდიელებს 38 ქულა ჩაუგდო.

პირველი ტაიმი თანაბარი გამოვიდა. ქართველებმა საწყისი ათწუთეულის 26:19 მოგების მიუხედავად, მეორე მეოთხედში შეცდომები დაუშვეს და მასპინძლებს მიახლოვების საშუალება მისცეს – 41:42 დიდი შესვენებისთვის. მესამე პერიოდი გარდამტეხი გამოდგა, საქართველოს ნაკრებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნა ჰოლანდიელები და ათწუთეული 19 ქულის სხვაობით - 32:13 მოიგო. შესაბამისად, უსტიაშვილის გუნდი ბოლო შესვენების წინ 20 ქულით დაწინაურდა და საბოლოოდ ბრწყინვალე გამარჯვებაც იზეიმა.

საქართველოს ნაკრები დღეს, 2 ივლისს ავსტრიის 20-წლამდელთა ნაკრებს შეხვდება, ხოლო ზეგ ბოლო შეხვედრას ჰოლანდიის 23-წლამდელებთან გამართავს.

მატჩის დასრულების შემდეგ ჰოლანდიაში დავით უსტიაშვილს შევეხმიანეთ, რომელმაც ეს კომენტარი გააკეთა:

- პირველი მატჩი იყო და მიუხედავად იმისა, რომ დიდი სხვაობით მოვიგეთ, მე მაინც იმ ეპიზოდებს გამოვარჩევდი, რომელშიც ხარვეზები გვქონდა. ბიჭებს ცუდად არ უთამაშიათ, სხვანაირად 23 ქულით ვერც მოვიგებდით, თუმცა მსურს, რომ ის შეცდომები გამოვასწოროთ, რომლებიც ამ შეხვედრაში დავუშვით. პირველი მეოთხედი რომ მოვიგეთ, მერე მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალება მივეცით, რაც ჩვენს თამაშში არსებული ხარვეზებით იყო განპირობებული. მესამე მეოთხედი უმაღლეს დონეზე ჩავატარეთ და მინდა, რომ სწორედ ასეთი პროგრესულობით ვითამაშოთ ამის შემდგომი ყველა მატჩი. ბიჭებმა მებრძოლი სული გამოავლინეს და ეს ყველაზე მთავარია. დღეს ავსტრიის 20-წლამდელთა ნაკრებს ვხვდებით, რომელიც A დივიზიონის წევრია და რეალურად საკმაოდ მძლავრ გუნდად ითვლება.

www.gbf.ge



# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

## ქართული სპორტი

### ჩოგბურთი

# ასი!

ახლაუკვე აღარ არის საჭირო ორშაბათამდე ცდა იმის შიშით, რომ, ვაითუ რამე სწორად ვერ დავითვალეთ - **ანა ტატიშვილმა** (118) სანუკვარ ასეულამდე საკმარისზე მეტი ქულა გაინაღდა. ჩვენებური იტალიის ქალაქ კუნეოში, „ბანკა რეგიონალე ეუროპეას“ საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობს, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. ტატიშვილმა ასეულში მოხვედრას საფუძველი უიმბლდონზე მიღებული 100 ქულით ჩაუყარა, იტალიაში კი განუთესავმა ქართველმა ყველა გააოცა ძლიერი თამაშით და ფავორიტების დამარცხებით. გუშინ მეოთხედფინალში ანას მეტოქე ტურნირის მე-3 ჩოგანი, ფრანგი **პოლინ პარმენტიე** (74) იყო, რომელთანაც ორი წლის წინათ მარსელში წააგო. ტატიშვილმა შური შესანიშნავ სტილში იძია, მან ფრანგ ფავორიტს გადამწყვეტი სეტი სულაც „მშრალზე“ მოუგო - 5:7, 6:2, 6:0. ნახევარფინალში ტატიშვილი შვეიცარიელ **შტეფანი ფოიგელს** (152) ხვდება.

კუნეოში ანა ტატიშვილმა უკვე გაინაღდა 70 სარეიტინგო ქულა და, რომც წააგოს მომდევნო მატჩი, საუკეთესო ასეულში მაინც შევა (სადღაც, 96-ე - 97-ე ჩოგანი გახდება). შვეიცარიელის გაგდების შემთხვევაში კი ანა 100 სარეიტინგო ქულას მიიღებს და ფინალში გავა.

ბრწყინვალედ თამაშობს 28 წლის **მაკა ჩახნაშვილიც** (237). მაკა ესპანურ პოსობლანკოში (50 ათასი დოლარი) გამოდის. მეორე წრეში მან ფრანგ **ვიქტორია ლარიერს** (342) მოუგო - 6:4, 6:4. მეოთხედფინალში ქართველის მეტოქე მე-3 ნომრად განთესილი ჩინელი **ინ-ინ ლუა** (178). ამავე ტურნირის წყვილთა ბადეში **სოფიო შაფათავა** (292) წყვილთა ფინალშია (რუს **მარინა მელნიკოვასთან** ერთად).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ანა ტატიშვილი


# ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.


## წინა ამოცანის პასუხი

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | 1:0 | 5:4 | 1:0 | 3 | 3 | 0 | 0 | 7-4 | 9 | I |
| B | 0:1 | | 1:0 | 3:0 | 3 | 2 | 0 | 1 | 4-1 | 6 | II |
| C | 4:5 | 0:1 | | 0:0 | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 | III |
| D | 0:1 | 0:3 | 0:0 | | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 | IV |






*1980 წელი. ლეიკ პლესიდი, აშშ. ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშების ემბლემა და მედალი*

### თარიღი 2-8 ივლისი

**02. 1994 წ.** აშშ-ში ფეხბურთში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე მასპინძელთა გუნდთან შეხვედრაში საკუთარ კარში გატანილი გოლის გამო **ანდრეს ესკობარზე** გულშემატკივრებმა შური იძიეს და იგი კოლუმბიის ქალაქ მედელინში მოკლეს.

**03. 2005 წ.** ჰოლანდიაში დასრულდა ფეხბურთში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. გაიმარჯვა არგენტინის ნაკრებმა. საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა **ლეო მესი.**

**04. 1926 წ.** დაიბადა **ალფრედო დი სტეფანო** - ფეხბურთი (არგენტინა).

**05. 1966 წ.** დაიბადა **ჯანფრანკო ძოლა** - ფეხბურთი (იტალია).

**06. 1912 წ.** სტოკჰოლმში (შვედეთი) საზეიმოდ გაიხსნა ზაფხულის მეხუთე ოლიმპიური თამაშები.

**06. 1974 წ.** დაიბადა **ზე რობერტო** - ფეხბურთი (ბრაზილია).

**07. 1974 წ.** ფეხბურთში მსოფლიოს X ჩემპიონატში **გერდ მიულერმა** (გერმანია) გაიტანა გოლი ჰოლანდიელთა კარში და გახდა ჩემპიონატის რეკორდსმენი (14).

**08. 1990 წ.** გფრ-ის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა მსოფლიოს მეთოთხმეტე ჩემპიონატი ფეხბურთში. გერმანელებთან არგენტინელები ფინალში 0:1 დამარცხდნენ.

### ვიქტორინა

**1. რომელ წელს ჩატარდა ევროპის პირველი ჩემპიონატი ფეხბურთში?**

ა — 1958 წელს
ბ — 1960 წელს
გ — 1964 წელს

**2. თანამედროვე რაგბიში ტუილიგაის გვარის რამდენი ძმა თამაშობს ნაკრების დონეზე?**

ა — სამი
ბ — ოთხი
გ — ხუთი

**3. დაასახელეთ მძიმეწონოსანი პროფესიონალი მოკრივე, რომელმაც დაკარგული ტიტული 20 წლის შემდეგ დაიბრუნა...**

ა — მაიკ ტაისონი
ბ — ჯორჯ ფორმენი
გ — კასიუს კლეი

**4. რომელი წლიდან იღებს სათავეს ყველაზე პოპულარული საგზატკეცილო წრიული რბოლა - „ფორმულა 1“?**

ა — 1903 წლიდან
ბ — 1908 წლიდან
გ — 1916 წლიდან

**5. ვინ იყო მამაკაცთა შორის მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონი ჭადრაკში?**

ა — სპასკი
ბ — ბოტვინიკი
გ — სმისლოვი

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, 5-გ.

### ჩვენთვის უცნობი სპორტის სახეობები

# ჩოუკბოლი



ჩოუკბოლი (ing.tchouk-ხმა, რომელსაც გამოსცემს ბურთი, როდესაც სამიზნეს ხვდება, ბალლ-ბურთი ). გუნდური თამაში ბურთით. ჩოუკბოლი 1970 წელს გამოიგონა ცნობილმა შვედმა მეცნიერმა, ბიოლოგმა **ჰერმან ბრანდტმა,** რომელიც ადამიანის ორგანიზმის მოტორულ შესაძლებლობებს იკვლევდა, მუშაობდა წიგნზე „ფიზიკური აღზრდიდან სპორტისკენ, ბიოლოგიის გავლით“ და სურდა შეექმნა „სპორტი ყველასთვის.“ ჩოუკბოლის საერთაშორისო ფედერაცია (FITB) დაფუძნდა 1971 წელს. მსოფლიოს ჩემპიონატი იმართება 1976 წლიდან ყოველ 3 წელიწადში ერთხელ. თამაში პოპულარულია შვეიცარიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ჩეხეთში, ბელგიაში, შვედეთში, ფინეთში, ნორვეგიაში, ავსტრალიაში, მექსიკაში, კანადაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, არგენტინაში, ბრაზილიაში, იაპონიაში, სამხრეთ კორეაში, ტაივანსა და ჰონკონგში.

თამაშობენ მართკუთხა ფორმის, 40 მ სიგრძისა და 20 მ სიგანის მოედანზე. მოედნის ორივე მხარეს დგას სამიზნე ფოლადის კვადრატული ჩარჩო, რომელზეც დაჭიმულია 90 სმ ზომის სინთეტიკური ბადე (მიაგავს სატანვარჯიშო ბატუტს, ოღონდ დაყენებულია ვერტიკალურად, მცირედი დახრით). მოთამაშეთა მიზანია ბურთის ზუსტად ტყორცნა სამიზნეში. ბურთის გარშემოწერილობაა 58-60 სმ, წონა 425-475 გრ. ქალების ან იუნიორების შეხვედრებში - შესაბამისად, 54-56 სმ და 325-400 გრ. თითოეულ გუნდში 12-12 მოთამაშეა, მაგრამ მოედანზე ერთდროულად იმყოფება 9-9 კაცი, დანარჩენები შემცვლელებად გამოდიან. მეკარე არ ჰყავს, ორივე გუნდის მოთამაშეებს შეუძლიათ ბურთი ნებისმიერ სამიზნეს ესროლონ. გუნდი ქულას იღებს, თუ ბურთი სამიზნეს მოხვდება, უკან დაბრუნდება და 1) მოწინააღმდეგე ვერ მოასწრებს დაიჭიროს, სანამ ის მინდორზე დავარდებოდეს, 2) ბურთი შეეხება მოწინააღმდეგეს, რომელიც მას ვერ დაიმორჩილებს, მოედანზე დაუვარდება ან მოედნის ფარგლებს გარეთ გაექცევა, 3) ბურთი მოწინააღმდეგეს წელსქვევით მოხვდება. ყოველი სამიზნის წინ ნახევარსფეროს ფორმის, 3 მ რადიუსის „აკრძალული ზონაა“, სადაც მხოლოდ შეტევაზე გადასული გუნდის წევრებს შეუძლიათ გაჩერება. თამაში შედგება 3 პერიოდისგან, თითოეულის ხანგრძლივობაა 15-15 წუთი (ქალებისა და იუნიორების შეხვედრისას 12 წთ), პერიოდებს შორის შესვენება 5 წუთი. თამაში შეიძლება სხეულის ნებისმიერი ნაწილით, გარდა ფეხისა. მოთამაშეს უფლება აქვს, ბურთს ფლობდეს მხოლოდ 3 წამის განმავლობაში და ბურთიანად მხოლოდ 3 ნაბიჯი გადადგას. იმარჯვებს ის გუნდი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 3. სპორტული ცურვის ყაიდა; 6. ბელგიის ერთ-ერთი უძველესი საფეხბურთო კლუბი; 7. ხორვატია, ვლადიმერ ბოისას საკალათბურთო გუნდი; 9. ძიუდოს დამფუძნებელი; 10. გრძელ დისტანციებზე მორბენალი; 11. სპორტის თავგამოდებული ქომაგი; 14. იხ. სურათი; 15. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სანესდებო დოკუმენტების კრებული; 17. ამერიკელი ჩოგბურთელი მამაკაცი, ყოფილი პირველი ჩოგანი; 18. ბუქარესტის საფეხბურთო კლუბი; 19. სპეციალური ნაგებობა თვითმფრინავების სარემონტოდ და სადგომად; 21. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი; 25. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია; 26. გამაჯანსაღებელი ფიზმომზადების სისტემა; 28. სოკ-ის პრეზიდენტი; 31. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მწვრთნელი; 32. ევროპული ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 33. ლეგენდარული ფინელი მძლეოსანი.

**შვეულად:** 1. მადრიდის “რეალის” მცველი; 2. ფეხბურთელის ფეხსაცმელი; 3. წარსულში ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 4. თურქეთი, “ბურსასპორის” ქალაქი; 5. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი; 6. ცნობილი ხორვატი ვეტერანი ფეხბურთელი ზვონიმირ...; 8. ბეისბოლის მატჩის ნაწილი; 12. ბილიარდის თამაშის სახეობა; 13. ახალზელანდიის ნაკრების მორაგბე დენ...; 14. ლუგანსკის საფეხბურთო კლუბი; 16. წლოვანება; 20. გერმანიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მეკარე; 22. ჩოგბურთის ინვენტარი; 23. ლეგენდარული ბრაზილიელი ავტომრბოლელი ... სენა; 24. ყოფილი არგენტინელი მეკარე; 27. ესპანეთის საკალათბურთო ნაკრებისა და “ბარსელონას” მცველი; 29. 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ...-ლეიკ-სიტი; 30. მადრიდის “რეალის” ბრაზილიელი ნახევარმცველი.

პრესკონფერენცია


მარცხნიდან: გიორგი ნიჟარაძე, დავით ჩავლეიშვილი, მამუკა ტყეშელაშვილი

# ევროპის ჩემპიონატის ფორმატი შეიცვალა, ყველაფერი იცვლება

„შევარდენის" სანაკრებო ბაზაზე რაგბის კავშირის ხელმძღვანელებმა და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელებმა პრესკონფერენცია გამართეს. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" ახლახან რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში „შავი ზღვის თასის" გათამაშება მოიგეს, რაგბის კავშირის პრეზიდენტი **გიორგი ნიჟარაძე** და განვითარების მენეჯერი **გიორგი ჭუმბურიძე** კი ლას პალმასში გამართული FIRA AER-ის გენერალური ასამბლეადან დაბრუნდნენ, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს. პრესკონფერენცია ამ თემების გარდა, საქართველოს ნაკრების ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასისთვის მზადების გეგმასაც დაეთმო.

**დავით ჩავლეიშვილი**, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი:

*„ჩვენი გუნდის წარმატება მნიშვნელოვანწილად თბილისისა და ქუთაისის სარაგბო აკადემიების დამსახურებაა. ეს მორაგბეები საკმაოდ დიდი ხანია, აკადემიის მწვრთნელების მეთვალყურეობით ვარჯიშობდნენ, გუნდის ერთად შეკრება კი რუმინეთში გამგზავრებამდე ათი დღით ადრე მოხერხდა. ფაქტობრივად, სრული გუნდით, სწორედ ეს ერთადერთი საწვრთნელი შეკრება გვქონდა.*

*თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ მოთამაშეებს საერთო ენა გამოენახათ. გუნდში ძალიან კარგი, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, რაც წარმატების მიღწევაში ძალიან დაგვეხმარა.*

*პირველი თამაში უკრაინის ნაკრებთან გვქონდა. საწყის 20 წუთში ბიჭებს ნერვიულობა ეტყობოდათ. თუმცა საკუთარი თამაშის პოვნა მალე მოახერხეს და უკრაინელებს ათი ლელო გავუტანეთ. აღსანიშნავია, რომ აქედან ცხრა უკანახაზელების ანგარიშზეა. გუნდი მაქსიმალურად ცდილობდა ხელდახელ ებურთავა და გამოსდიოდა კიდეც.*

*მეორე თამაში, ფინალში მასპინძლების გუნდს დავუპირისპირდით. როგორც თვითონ ამბობდნენ, ეს მათი ოქროს თაობაა და, დარწმუნებულნი არიან, რომ სწორედ ამ მორაგბეებმა უნდა ჩაანაცვლონ ამჟამინდელი ეროვნული ნაკრების მოთამაშეები. მიუხედავად იმისა, რომ მსაჯიც ხშირად სცოდავდა და მეტოქეც წვრილმან პროვოკაციებს არ თაკილობდა, რუმინელებისთვის გამარჯვების შანსი არ მიგვიცია. მეტიც, საკმაოდ დამაჯერებლად მოვუგეთ - 27:8.*

*აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ რუმინელებმა ძალზედ ცუდად გვიმასპინძლეს. წარმოუდგენლად აუტანელ პირობებში გვაცხოვრებდნენ, ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მატჩისთვის სათანადოდ არ მოვმზადებულიყავით."*

**გიორგი ნიჟარაძე,** საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

*„შავი ზღვის თასის გათამაშება წლეულს პირველად ჩატარდა ოფიციალურად, რაც ჩვენი მრავალწლიანი ძალისხმევის შედეგია. ბუქარესტში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების გამარჯვების ამბავმა ასამბლეაზე ჩამოაღწია და ამან ჩვენი პოზიციები, იქ წამოჭრილ უამრავ სადავო საკითხზე, საგრძნობლად გაამყარა. ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ ლელოების აბსოლუტური უმრავლესობა უკანახაზელებმა გაიტანეს. მწვრთნელებმა დავით ჩავლეიშვილმა და მამუკა ტყეშელაშვილმა ნაყოფიერად იმუშავეს. მიმაჩნია, რომ გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა, თუმცა, ცხადია, ყველაფერი იდეალურად არაა და სამუშაო საკმაოდ ბევრია.*

*რაც შეეხება FIRA AER-ის გენერალურ ასამბლეას, საერთო ჯამში ჩვენთვის სასარგებლო ბევრი საკითხი გადაწყდა. ამ ორგანიზაციას ბლომად პრობლემები დაუგროვდა. ახლახან ეროვნულმა ფედერაციებმა და FIRA AER-ის ხელმძღვანელობამ კომერციული სტრუქტურა დააფუძნეს, რომელმაც დაახლოებით ისე უნდა იმუშაოს, როგორც „მეს ექვსი ერი" ფუნქციონირებს.*

*ცხადია, კომერციული სტრუქტურის შექმნაში და რაგბის განვითარებისთვის ზრუნვაში ცუდი არაფერია, მაგრამ იმ პირობებით, რაც მათ შეიმუშავეს, საგრძნობლად იზღუდებოდა ჩვენი უფლებები, რასაც ვერაფრით დავთანხმდებოდით. ასამბლეაზე ამ საკითხთან დაკავშირებული ჩვენი ხედვა მკვეთრად დავაფიქსირეთ და საკმაოდ მწვავე განსჯის შემდეგ, ყველაფერი ისე გადაწყდა, როგორიც ჩვენთვის იყო ხელსაყრელი.*

*ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფორმატის შეცვლა. შევთანხმდით, რომ გაისად 18-წლამდელების ევროპის ჩემპიონატში რვა გუნდი იასპარეზებს. აქედან ექვსი ელიტური, ექვსი ერის ქვეყნების 18-წლამდელთა გუნდები იქნება, ორიც ჩვენი დივიზიონიდან საუკეთესო. ვინაიდან წლეულს ამ ასაკში მესამე ადგილი დავიკავეთ, ევროპის ჩემპიონატზე ადგილი ავტომატურად გვეკუთვნოდა, თუმცა ამის დასამტკიცებლად ბევრი ბრძოლა დაგვჭირდა.*

*საბოლოოდ გადაწყდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე გაისად აუცილებლად ვითამაშებთ, თუმცა წლეულს ოქტომბერში, ბუქარესტში მაინც მოგვიწევს ასპარეზობა, სადაც აქ ევროპის ჩემპიონატის მერვე გუნდის ვინაობა გაირკვევა. იქ თამაშის უფლებას ერთმანეთს ბელგიისა და პორტუგალიის ნაკრებები შეეცილებიან. ჩვენი გუნდისთვის კი ეს შესანიშნავი შესაძლებლობაა მეტი საერთაშორისო დონის მატჩი გამართოს და გამოცდილება შეიძინოს.*

*მომავალი წლიდან მოსალოდნელია, რომ ბევრი რამ შეიცვლება. კერძოდ, აქამდე არსებული ტურნირების ტრანსფორმაცია განხორციელდება. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია, ამჟამად მხოლოდ პროექტებზე მუშაობა მიმდინარეობს. ინფორმაციას ყოველთვის დროულად გვაწვდიან და თითქმის ყველა საკითხთან დაკავშირებით ჩვენი აზრიც აინტერესებთ. ერთი სიტყვით, გამორიცხული არ არის, საქართველოში რაიმე მაღალი დონის ტურნირი ტრადიციული გახდეს.*

*ამასთან, სავარაუდოდ, იანვარში გვინდა 2014 წელს თბილისში მსოფლიის ახალგაზრდული ჩემპიონატის ჩატარებაზე გავაკეთოთ განაცხადი. „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის" გამართვის შემდეგ IRB-იში საქართველოს რაგბის კავშირის ავტორიტეტი იმდენად გაიზარდა, რომ გამარჯვებაში ეჭვი არ გვეპარება. საამისოდ კი ინფრასტრუქტურაა აუცილებლად გასაუმჯობესებელი.*

*მანამდე კი ყველაზე აქტუალური საზრუნავი კარს მომდგარი მსოფლიოს თასის გათამაშებაა. ნაკრების მწვრთნელმა უკვე დაასახელა იმ 32 მორაგბის ვინაობა, ვინც მსოფლიო რაგბის უდიდესი ფორუმისთვის მზადებას 4 ივლისიდან დაიწყებს. გამოძახებულთა შორის საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ცხრა მოთამაშეა. ეს ძალიან სასიხარულო ფაქტია. თუ გავიხსენებთ, 2003 წლის მსოფლიოს თასზე ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე არცერთ მორაგბეს არ უასპარეზია. მომდევნო მსოფლიოს თასზე, რომელიც 2007 წელს საფრანგეთში გაიმართა, ასეთი ორი იყო. ზრდის დინამიკა ძალიან შთამბეჭდავია და ეს, ცხადია, კარგია.*

*საქართველოს ნაკრები თბილისში ფიზმომზადების მწვრთნელის, **გერეთ ადამსონის** ხელმძღვანელობით ორი კვირა ივარჯიშებს. 18 ივლისს ჩვენი გუნდი საფრანგეთში, კანში გაემგზავრება. აგვისტოში კი ორ საწვრთნელ შეხვედრას გამართავს. ერთი მეტოქე „კლერმონი" იქნება, მეორე კი, სავარაუდოდ, „მონპელიე" ან „ტულონი". ახალ ზელანდიაში 3 სექტემბერს გავემგზავრებით".*

მეტოქეები

# მუხის ფოთლების სამიზნე

ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქე, რუმინეთის ეროვნული გუნდი მომავალი ბატალიებისთვის მზადებას შეუდგა. „მუხის ფოთლების" ფრანგმა თავკაცმა **რობერ ანტონენმა** 34 მორაგბე იხმო. გუნდის შემადგენლობა დიდად არ განსხვავდება იმ რაზმისგან, რომელმაც ახლახან ბუქარესტში გამართულ IRB-ს ერთა თასზე წარუმატებლად იასპარეზა.

რუმინელებმა ეს ტურნირი, რომელიც დიდი ხანია ბუქარესტში ტარდება, ერთხელაც ვერ მოიგეს. ამჯერადაც, მათ სამი მატჩიდან ორი წააგეს და ბოლოსწინა, მეხუთე ადგილზე დაასრულეს ასპარეზობა. მიუხედავად ამისა, ანტონენის გუნდში მაინც ვერ მოინახა ადგილი ვეტერანი მეორეხაზელი **სორინ სოკოლისთვის.** ისევ უარობს ნაკრებში თამაშს სოკოლზე არანაკლებ გამოცდილი მესამეხაზელი **ალექსანდრუ მანტა.**

სხვა მხრივ ანტონენის განკარგულებაში ყველა საუკეთესო რუმინელი მორაგბეა. „სტეუარის" თავკაცმა კიდევ ერთხელ დაადასტურა რუმინულ რაგბიში არსებული კრიზისის შესახებ გამოთქმული მოსაზრება და ამ ქვეყნის გუნდს ახალ ზელანდიაში მხოლოდ ერთი თამაშის მოსაგებად ამზადებს. რუმინელთა სამიზნე კი ცნობილია- საქართველოს ეროვნული გუნდები.

**რუმინეთის ნაკრები**

პირველი ხაზი: **ნიკოლაე ნერე, სეზარ პოპესკუ, დრაგოშ დიმა, მიჰაიტა ლაზარი, იონ პაულიკა, სილვიუ ფლორეა, მარიუს ტინკუ, ბოგდან ზებეგა, ანდრეი რადოი.**

მეორე ხაზი: **კრისტიან პეტრე, ვალენტინ ურსაკე, ვალენტინ პოპარლანი, მარიუს სირბე.**

მესამე ხაზი: **სტელიან ბურეა, მიჰაი მაკოვეი, დანიელ იონუსი, ოვიდიუ ტონიცა, დანიელ კარპო, ვასილე რუსი.**

№9: **ლუჩან სირბუ, ფლორინ სურუგუი, ვალენტინ კალაფეტეანუ.**

№10: **დანუც დუმბრავა, იონუც დიმოფტე.**

№12-13: **კონსტანტინ გეარა, ჩაბა გალი, იონელ კაზანი, კატალინ დესკალუ.**

№11-14: **კატალინ ფერკუ, კატალინ ნიკოლაე, მადალინ ლემნარუ, სტეფან ჩუნტუ.**

№15: **ვლაიკუ ფლორინ, იულიან დუმიტრაში.**

მსოფლიოს თასი

# სკუადრა აძურა ალპებისკენ დაიძრა

იტალიის ნაკრებმა მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებლად იტალიის ალპებს მიაშურა. „სკუადრა აძურას" სამხრეთაფრიკელმა მწვრთნელმა **ნიკ მალეტმა** საწვრთნელ შეკრებაზე, რომელიც სამ ეტაპად წარიმართება, 34 მორაგბეს უხმო.

იტალიელები, ცხადია, საწვრთნელ პროცესს სამშობლოში დაასრულებენ და აგვისტოში ორ საწვრთნელ შეხვედრას გამართავენ. სრულიად გამოჯანმრთელდა გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა, მესამეხაზელი **სერჯო პარისე.**

„სკუადრა აძურას" ახალ ზელანდიაში პირველი მეტოქე სერიოზული ჰყავს, C ჯგუფისა და მთლიანად ტურნირის უმთავრესი ფავორიტი ავსტრალიის ნაკრები, რომელსაც 11 სექტემბერს ნორს ჰარბორში დაუპირისპირდება.

**იტალიის ნაკრები**

შერკინება: **ლორენცო ჩიტადინი, ალბერტო დი მარკი, სალვატორე პერუჯინი, ლეონარდო ჯილარდინი, ტომაზო დაპიკე, ფაბიო ონგარო, ვალერიო ბერნაბო, ჯოშუა ფურნო, ქვენთინ გელდენჰაუზი, კორნელიუს ფან ზილი, რობერტ ბარბიერი, მაურო ბერგამასკო, პოლ დერბიშირი, მანოა ვოსავაი, ალესანდრო ძანი, მარტინ კასტროჯოვანი, ანდრეა ლო ჩიჩერო, მარკო ბორტოლამი, კარლო დელ ფავა, სერჯო პარისე.**

უკანა ხაზი: **პაბლო კანავოზიო, ფაბიო სემენცატო, რიკარდო ბოჩონო, ტომაზო ბენვენუტი, გონსალო გარსია, ლუკ მაკლინი, ანდრეა პრატიკეტი, მატეო პრატიკეტი, ალბერტო სგარბი, ჯულიო ტონიოლატი, ლუჩანო ორკუერა, ედუარდო გორი, კრისტოფერ ბარტონი, მირკო ბერგამასკო, გონსალო კანალე, ანდრეა მასი.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**


სერჯო პარისე

msy.gov.ge

მძლეოსნობა



ასაფას დიდი უპირატესობა ჰქონდა

# ბოლტი უკონკურენტოდ არ დარჩება

30 ივნისს, საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ განახლდა „ბრილიანტის ლიგის" გათამაშება. ამჯერად მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნების ნაწილი შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში შეიკრიბა.

ამ ეტაპზე უკვე იგრძნობოდა, რომ ახლოვდება სეზონის მთავარი სტარტი - მსოფლიოს ჩემპიონატი. ათლეტები თანდათან სპორტული ფორმის პიკს უახლოვდებიან და შესაბამისად, ლოზანაში რამდენიმე მაღალი შედეგი დაფიქსირდა.

ტრადიციულად, განსაკუთრებული ყურადღება მამაკაცთა სპრინტისკენ იყო მიპყრობილი. ამჯერად მთავარი მოქმედი პირი იამაიკელი **ასაფა პაუელი** აღმოჩნდა, რომელსაც სარბენ ბილიკზე არ ჰყოლია სრულფასოვანი კონკურენტები. იამაიკელს შესანიშნავი სტარტი გამოუვიდა. მცირე ზურგის ქარის დახმარებით პაუელმა შეძლო სეზონის საუკეთესო დროის გაუმჯობესება - 9,78 წამი! ეს ერთი მეასედით უკეთესია **ტაისონ გაის** წლევანდელ შედეგზე.

*„შესანიშნავი გარბენი გამოვიდა. იდეალური სტარტი მქონდა და პირველი 50 მეტრი ძალიან სწრაფად გავირბინე, დისტანციის მეორე ნახევარზე კი ჯერ მომიწევს მუშაობა. ახლა, სეზონში საუკეთესო ვარ და მსოფლიოს ჩემპიონატის მიმართ კარგი მოლოდინი მაქვს. ჩემი მიზანია: მაქსიმალურად ბევრი ვივარჯიშო და სწრაფად ვირბინო"*, - განაცხადა გამარჯვების შემდეგ იამაიკელმა. მეორე მივიდა ფინიშთან ასაფას თანამემამულე **მაიკლ ფრატერი**, მესამეზე გავიდა ფრანგი **კრისტოფ ლემეტრი**, რომელმაც პირადი რეკორდი გააუმჯობესა - 9,95.

მართალია, ტაისონ გაი ტრავმის გამო არ გამოვა მსოფლიოს ჩემპიონატზე, მაგრამ **უსაინ ბოლტი** ტეგუში უკონკურენციოდ არ იქნება, რადგან პაუელი მზად არის საბრძოლველად.

პაუელის მიღწევა ოდნავ გაფერმკრთალდა მეორე ფრანგი სპორტსმენის - **ტედი ტამგოს** შედეგის ფონზე. ფრანგმა სამხტომელმა გასულ წელს ფენომენალური შედეგი აჩვენა - 17,98 მეტრი, ზამთარში მან ორჯერ განაახლა საკუთარი მსოფლიოს რეკორდი (დარბაზებისთვის). მაგრამ ამ სეზონში ის ვერაფრით ახერხებდა სოლიდური შედეგის ჩვენებას. ლოზანაში სამხტომის სექტორში პრაქტიკულად ყველა ვარსკვლავი იყო შეკრებილი - ტამგო, **ფილიპს აიდოვუ, კრისტიან ოლსონი, ალექსის კოპელო** და სხვები. თავიდან ლიდერი ბრიტანელი იყო, ფრანგმა კი ორი ნახტომი გააფუჭა. მესამე ცდისას ტამგომ, როგორც იქნა იდეალური ნახტომი შეასრულა და სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა - 17,19 მეტრი! აიდოვუმ შემდეგ ცდაზე საკუთარი შედეგი გააუმჯობესა - 17,52, მაგრამ იმ დღეს ეს მისი მაქსიმუმი იყო. ტამგო რისკს აგრძელებდა, მაგრამ შემდეგი სამი ნახტომი ისევ არ ჩაეთვალა. შეგახსენებთ, რომ ლეგენდარული **ჯონათან ედვარდსის** მსოფლიოს რეკორდი 18,29 მეტრს უდრის, ასე რომ, ტედის აქვს კონკრეტული მიზანი.

კიდევ ერთი ფრანგული ტრიუმფი ჭოკით ხტომის სექტორში ვიხილეთ. **რენო ლავინიემ** 5,83 მეტრით პირველი ადგილი დაიკავა. მეორე იყო ამ სეზონში მისი მთავარი კონკურენტი **მალტიე მორი** - 5,73 მეტრი.

მსოფლიოს ჩემპიონატის წინ არ არის კარგ ფორმაში სიმაღლეზე მხტომელი **ბლანკა ვლასიჩი**. ამჯერად ხორვატმა ლამაზმანმა მესამე ცდიდან დაიპყრო 1,90 მეტრი, 1,95-ზე კი ვერ გადახტა. ეს სიმაღლე მხოლოდ რუსმა **ანა ჩიჩეროვამ** აიღო და გაიმარჯვა კიდეც.

ტრავმის შემდეგ შუბის ტყორცნის სექტორში დაბრუნდა ნორვეგიელი ჩემპიონი **ანდრეას ტორკილდსენი**, რომელმაც პირველივე ცდაზე 88,19 მეტრი დააფიქსირა. სკანდინაველმა საქმე მოთავებულად ჩათვალა და დანარჩენი ტყორცნები გამოტოვა - მისი გათვლა სწორი აღმოჩნდა, რადგან კონკურენტებმა ვერაფერი მოუხერხეს ტორკილდსენის შედეგს.

ქალებს შორის სიგრძეზე ხტომაში მოიგო ამერიკელმა **ბრიტნი რიზმა**, რომელიც ამ დისციპლინის ლიდერად ყალიბდება. მისი შედეგი იყო 6,85 მეტრი. ამ მძლეოსანმა გასულ კვირას ამერიკის ჩემპიონატზე ბრწყინვალე შედეგი აჩვენა - 7,19 მეტრი, რითაც სეზონის ლიდერი გახდა.

**ლოზანა (შვეიცარია)**

**კაცები**

**100 მ.** 1. ასაფა პაუელი (იამ) - 9,78; 2. მაიკლ ფრატერი (იამ) - 9,88; 3. კრისტოფ ლემეტრი (საფ) - 9,95; **სამხტომი.** 1. ტედი ტამგო (საფ) - 17,91; 2. ფილიპს აიდოვუ (ბრიტ) - 17,52; 3. ალექსის კოპელო (კუბ) - 17,06; **შუბის ტყორცნა.** 1. ანდრეას ტორკილდსენი (ნორ) - 88,19; 2. სერგეი მაკაროვი (რუს) - 87,12; 3. მატიას დე ზორდო (გერ) - 83,65.

**ქალები**

**200 მ.** 1. მარია რემენი (უკრ) - 22,85; 2. დები ფერგიუსონ-მაკენზი (ბაჰ) - 22,93; 3. ოლესია პოვჰი (უკრ) - 23,04; **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ანა ჩიჩეროვა (რუს) - 1,95; 2. სვეტლანა შკოლინა (რუს) - 1,90; 2. ვიტა სტეპინა (უკარ) - 1,90; **სიგრძეზე ხტომა.** 1. ბრიტნი რიზი (აშშ) - 6,85; 2. დარია კლიშინა (რუს) - 6,76; 3. სარა პროქტორი (ბრიტ) - 6,66.

ჩოგბურთი. ინტერვიუ როჯერ ფედერერთან

# სამპრასის რეკორდი არ მაღელვებს

**უიმბლდონის მეოთხედფინალში ფრანგ ჟო-ვილფრიდ ცონგასთან წაგების შემდეგ ისევ ალაპარაკდნენ როჯერ ფედერერის ეპოქის დასრულების შესახებ. მაგრამ შვეიცარიელი ლეგენდა არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, მიაჩნია, რომ ფრანგის წინააღმდეგ კარგად ითამაშა და მისი კარიერის პერსპექტივებზე პესიმიზმი სრულიად უსაფუძვლოა.**

**- ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ცონგამ შეხვედრის მსვლელობისას მოუმატა თამაშს, ყველა შანსი მოგისპოთ და ვეღარაფერი გააწყვეთ...**

- შესაძლოა, მართალს ამბობთ. ჟო ბრწყინვალედ თამაშობდა. რა თქმა უნდა, შანსები მქონდა, მაგრამ მან ძალიან მოუმატა მატჩის მსვლელობისას. ურთულესი ბრძოლა იყო.

**- რა გამოგივიდათ და რა - არა?**

- ანგარიშის გარდა ბევრი რამ გამომდიოდა. ვფიქრობ, კარგი მატჩი ჩავატარე. კმაყოფილი ვარ ჩემი თამაშით. ეს ის შემთხვევაა, როცა დაძაბული ბრძოლის შემდეგ ტოვებ ტურნირს. სამწუხაროდ, ასეთი რამ ხდება ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, ჟოს დასჭირდა განსაკუთრებული დონის ჩვენება ჩემს დასამარცხებლად - ეს სასიამოვნოა. მასაც ჰქონდა რთული მომენტები, მაგრამ ყოველ ჯერზე თავიდან იცილებდა პრობლემას.

**- ადრე „დიდი სლემის" ტურნირზე არასოდეს დამარცხებულხართ იმ დროს, როცა პირველი ორი სეტი გქონდათ მოგებული. რა შეიცვალა სასტარტო ორი პარტიის შემდეგ?**

- ბევრი არაფერი. თავიდან ბოლომდე კარგად ვთამაშობდი. ერთმანეთს საკუთარ მოწოდებებზე ბევრ შანსს არ ვაძლევდით. ამან გამახსენა როდიკთან ჩემი ფინალი. ბრეიკ-პოინტები ძალიან იშვიათი იყო.

ვფიქრობ, ორივემ კარგი სამუშაო შევასრულეთ. ვიცოდი, რომ მას ბევრის მიღწევა შეეძლო, თუნდაც თამაშის მეხუთე სეტამდე მიყვანა. მართლაც დიდი სიამოვნება მივიღე მატჩისგან, სამწუხაროა, მისი შედეგი არ იყო ჩემს სასარგებლოდ. ეს იყო სწრაფი მატჩი. სანამ რაიმე გავაცნობიერე, მეხუთე გეიმში მეტოქეს უკვე ბრეიკ-პოინტი ჰქონდა გაკეთებული.

**- რა დრო დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს მარცხი დაივიწყოთ?**

- ეს პროცესის ნაწილია. ვფიქრობ, რამდენიმე მიზეზის გამო ახლა უფრო იოლი იქნება ამის გადატანა, ვიდრე შარშანდელი წაგების შემდეგ. ამჯერად წავაგე ხუთ სეტში, თანაც 2:0-ს ვიგებდი.

**- ავსტრალიაში თქვით, რომ ექვსი თვე უნდა დაიცადოთ და დააკვირდეთ - რა იქნება მომავალში. ახლა უიმბლდონს გამოეთიშეთ. შეგიძლიათ შეაფასოთ ამჟამინდელი მდგომარეობა?**

- კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო, რომ მთელი ტურნირის განმავლობაში კარგად ვთამაშობდი. ვფიქრობდი, რომ ჩემი სათამაშო დონე საკმარისი იქნებოდა ჩემპიონატის მოსაგებად. სამწუხაროდ, გამარჯვებული მხოლოდ ერთია, დანარჩენები კი შინ ცარიელი ხელებით მიემგზავრებიან. სწორედ იგივე მოხდა ჩემს შემთხვევაში.

მამხნევებს ის, რომ შარშანდელზე კარგი თამაში ვაჩვენე. სულაც არ ვგრძნობ თავს განადგურებულად. დღეს ეს არის უმნიშვნელოვანესი მომენტი. როგორც არასოდროს, ძალიან მონდომებით გავაგრძელებ მუშაობას იმავე სქემით, რაც აქამდე მქონდა. იმედი მაქვს, კორტზე ძალიან ძლიერი დავბრუნდები - პირველ რიგში, დევისის თასის მატჩებში, შემდეგ ამერიკული სერიის ტურნირებზე.

**- კვლავინდებურად შეგიძლიათ იოლად მოიგოთ „დიდი სლემის" ტურნირი?**

- ოდესმე ეს იოლი იყო? არ ვიცი. ასე არ ვფიქრობ. აქ გამარჯვება ყველას უჭირს. ნოკაუტ-სისტემა - რთული საქმეა. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ შემიძლია „დიდი სლემის" ტურნირების მოგება. სხვა შემთხვევაში აქ არ ჩამოვიდოდი.

**- კვლავ მნიშვნელოვანია თუ არა თქვენთვის პიტ სამპრასის რეკორდის (შვიდი ტრიუმფი უიმბლდონზე) გაუმჯობესება? ეს ჩვეულებრივი ტურნირი იყო თქვენთვის თუ რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდით?**

- გასაგებია, რომ მეორე წელია ამ საკითხზე მისვამენ შეკითხვას, მაგრამ სულაც არ ვგრძნობ, რომ ჩემთვის ეს განსაკუთრებული მომენტია. რა თქმა უნდა, მინდა ყველა მაჩვენებლით გავუთანაბრდე პიტს, მაგრამ ეს დამატებით მოტივაციას ნამდვილად არ მაძლევს. მომწონს სამპრასი, მაგრამ საბოლოო ჯამში, თქვენ მხოლოდ ტურნირის მოგებას ცდილობთ.

**- ხომ არ გაქვთ იმის შეგრძნება, რომ რაღაც ეპოქა დასრულდა? ჩვენ ხომ აქ თქვენგან მოგებებს მივეჩვიეთ.**

- არა, ასე არ ვფიქრობ. მე ხომ არ წამიგია პირველი ან მეორე წრის მატჩი სამ სეტში. დავმარცხდი მეოთხედფინალში აბსოლუტურად თანაბარ მატჩში. ასე რომ, დასკვნების გამოტანა ნაადრევია და პესიმიზმის საფუძველი არ არსებობს.



როჯერ ფედერერი

ამბები

ფორმულა 1

## პელოტონში ახალი პილოტი გამოჩნდა

ესპანურმა საჯინიბო HRT-მ ოფიციალურად დაადასტურა კონტრაქტის გაფორმება 21 წლის ავსტრალიელ **დანიელ რიკარდოსთან**. „რედ ბულის" ახალგაზრდული პროგრამის წევრი აუთსაიდერი გუნდის ძირითადი პილოტი გახდა. თუმცა ამით ინტრიგა არ ამოწურულა. ჯერჯერობით უცნობია ვის შეცვლის უახლოეს გრანპრიზე ახალგაზრდა პილოტი - იტალიელ **ვიტანტონიო ლიუცის** თუ ინდოელ **ნარაიან კართიკეიანს**.

*„ჩემი ოცნება ასრულდა - პირველად გავალ ფორმულა 1-ის რბოლის სტარტზე. თავი სიზმარში მგონია. ძალიან კმაყოფილი ვარ და არც კი ვიცი, როგორ გავიყვან დროს სილვერსტოუნის რბოლამდე. ეს ახალი გამოწვევაა, ახალი გამოცდილება... მზად ვარ მომავალ ეტაპებზე გამოვავლინო ჩემი საუკეთესო თვისებები"*, - ამბობს HRT-ის ახალი პილოტი.

ჰოკეი

## ფორსბერგი დააფასეს

„კოლორადო ეველანშმა" გადაწყვიტა სათანადოდ დააფასოს ლეგენდარული შვედი ფორვარდის **პეტერ ფორსბერგის** ღვაწლი კლუბის წარმატებებში. ამიტომაც ვეტერანი თავდამსხმელის 21-ნომრიან მაისურს „ეველანშის" საშინაო არენის თაღზე დაკიდებენ და ამ ნომრით კლუბში ველარავინ ითამაშებს.

შესაბამისი ცერემონია 8 ოქტომბერს, რეგულარული ჩემპიონატის სასტარტო დღეს გაიმართება, როცა „კოლორადო" საკუთარ მოედანზე მიიღებს „დეტროიტს".

ადრე ამერიკულმა კლუბმა ხმარებიდან ამოიღო **პატრიკ რუას** (33), **ჯო საკიკისა** (19) და **რეი ბურკის** (77) ნომრები.

შეგახსენებთ, რომ ფორსბერგმა ორჯერ მოიგო „კოლორადოსთან" ერთად სტენლის თასი (1996, 2001). 2003 წლიდან ფეხის ქრონიკულ ტრავმას ებრძოდა, მაგრამ მისი სრულად მორჩენა მაინც ვერ მოახერხა.

ჩოგბურთი

## ივანოვიჩს ეშველა?

ფედერაციის თასზე ბრიტანეთის ნაკრების მწვრთნელმა **ნაიჯელ სირსმა** ორი დღის წინ დატოვა პოსტი იმისთვის, რომ სერბ ვარსკვლავთან **ანა ივანოვიჩთან** დაიწყოს თანამშრომლობა, რომელიც ამჟამად მე-18 ადგილს იკავებს მსოფლიოს რეიტინგში.

ნაკრების კაპიტნის პოსტზე ბრიტანელმა სპეციალისტმა ოთხი წელი იმუშავა და ამ დროის განმავლობაში ხუთმა ბრიტანელმა ქალმა ჩოგბურთელმა რეიტინგის საუკეთესო ასეულში შეაღწია, ორი TOP50-ში მოხვდა, ორმა კი „დიდი სლემის" იუნიორთა ტურნირები მოიგო.

*„ძალიან ბედნიერი ვარ. მოუთმენლად ველი ნაიჯელთან ერთად სავარჯიშო პროცესის დაწყებას. მნიშვნელოვანი იყო საჭირო მწვრთნელის მონახვა. ერთად სერიოზული მიზნების მიღწევას ვაპირებთ"*, - განაცხადა სააგენტო AP-სთვის მიცემულ ინტერვიუში მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი



დაპირისპირებული მხარეები

# სეზონი არ იქნება

## გადარჩენის შანსი ერთი პროცენტია

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას ისტორიაში მეორედ დაემუქრა ლოკაუტი. ლიგის ხელმძღვანელობამ და მოთამაშეთა პროფკავშირმა მაინც ვერ შეძლეს ახალი კოლექტიური ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმება.

ისევე როგორც 1998 წელს, NBA-ში რეგულარული ჩემპიონატი სერიოზულად შეიკვეცება ან საერთოდ არ გაიმართება მოთამაშეთა გაფიცვის გამო. კალათბურთელები ხელფასების მომატებას ითხოვენ, კლუბების მფლობელები - ხარჯების შემცირებას... და ამ საკითხში კომპრომისი ჯერ არ ჩანს.

ყველაფერი გვიან ღამით გაირკვა. ბოლო სამსაათიანი შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა - პროფკავშირის ბოლო შეთავაზებამ არ დააკმაყოფილა NBA. ამასობაში, ამოიწურა გადაწყვეტილების მიღების ბოლო ვადა და დღეიდან ყველა კალათბურთელი თავისუფალი აგენტი გახდება.

მოთამაშეთა შეთავაზება ასეთი იყო: მათ სურდათ, რომ ლიგაში საშუალო ხელფასი კოლექტიური ხელშეკრულების მოქმედების მეექვსე წელს 7 მილიონი დოლარი გამხდარიყო. რაც შეეხება ასოციაციას, მის კომისარს **დევიდ სტერნს** ურყევი პოზიცია აქვს - ხელფასები უნდა შემცირდეს. NBA-მ თავისი პოზიცია ფინანსური კრიზისის გამოვლინებით ახსნა. გარდა ამისა, ლიგის ოფიციალურ წარმომადგენლებს სურდათ გაემკაცრებინათ ხელფასების მაქსიმალური ზღვარი, რომელიც დღეს სრულიად იგნორირებულია მდიდარი კლუბების მიერ.

როცა ერთ მხარეს ნაკლების გადახდა უნდა, მეორეს - მეტი ფული, კომპრომისი თითქმის შეუძლებელია.

*„ჩვენს შორის ძალიან დიდი მანძილია“*, - ასეთი კომენტარი გააკეთა პროფკავშირის თავმჯდომარემ **ბილი ჰანტერმა**. მიუხედავად ამისა, მანვე განაცხადა, რომ უახლოესი ორი კვირის განმავლობაში კიდევ ერთი შეხვედრის იმედი აქვს. შესაძლოა, მოესწროს სიტუაციის გამოსწორება და NBA-ში სეზონი ჩატარდეს, როგორც ეს 1995 და 1996 წლებში იყო. 1998 წელს ლოკაუტი შედგა (ერთადერთხელ ისტორიაში), თუმცა მაშინ სეზონი მაინც ჩატარდა, ოღონდ შემცირებული სქემით.

გასული სეზონი NBA-ში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო ასოციაციის ისტორიაში. ტელერეიტინგები ძალიან ამაღლდა, ტრიბუნები პირთამდე იყო სავსე, გუნდების ფანშოპებიდან კი კლუბის ატრიბუტიკას წამში იტაცებდნენ. „მაიამიში“ შეკრებილი სუპერტრიო, „ლეიკერსის“ ჩრდილში გასვლა, „დალასის“ ჩემპიონობა - ამ ყველაფერმა ლიგის პოპულარობას შეუწყო ხელი. მაგრამ ამ მნიშვნელოვანი მოვლენების შემდეგ ასოციაციას კრიზისი დაუდგა.

ეს კრიზისი დადგა იმ მომენტიდან ერთი წლის თავზე, როცა უმაღლესი დონის კალათბურთელები თავისუფალი აგენტები გახდნენ - **ლებრონ ჯეიმსი, დუეინ უეიდი, ამარე სტაუდმაიერი** და **კარლოს ბუზერი**... იმ გუნდებმა, რომლებმაც ეს მოთამაშეები გაიფორმეს, ძალიან გადააჭარბეს სახელფასო ბიუჯეტს. „მაიამი“, „ნიუ იორკი“ და „ჩიკაგო“ მაინც ვერ გახდნენ ჩემპიონები, თუმცა ტიტულის ახალი მფლობელი „დალასიც“ წლების განმავლობაში დიდ თანხებს ხარჯავდა ტრიუმფის მისაღწევად. „მავერიქსი“ და „ლეიკერსი“, რომლებმაც მოიგეს ბოლო სამი სეზონი, რეგულარულად ედგნენ სათავეში სახელფასო ბიუჯეტის სიას.

ლიგის ხელმძღვანელობას დათვლილი აქვს - 2011-12 წლების სეზონში მოქმედი ხელფასების მიხედვით ფინანსური ზარალი 300 მილიონის ტოლი იქნებოდა. და ეს იმ დროს, როცა გასულ სეზონში ასოციაციის მოგებამ ერთი მილიარდი დოლარი შეადგინა. სტერნმა ამ სეზონს ბრწყინვალე, მაგრამ „არამომგებიანი“ უწოდა. ახლა კი წაგებაში დარჩება ყველა: NBA ვერაფერს გამოიმუშავებს, ევროპაში გადასული მოთამაშეები კი ისეთ თანხებს ვერ მიიღებენ, რაც ამერიკაში აქვთ. თუმცა ევროპაშიც წასასვლელი მაინც და მაინც არ არის: ესპანეთსა და თურქეთში კლუბების კეთილდღეობის მხრივ ყველაფერი წესრიგშია, სამაგიეროდ, საბერძნეთშია ამ მხრივ სერიოზული კრიზისი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ უმუშევრები დარჩებიან არამარტო სპორტსმენები, არამედ კლუბების თანამშრომლები, აგრეთვე ასოციაციის პერსონალი. ეჭვგარეშეა, ეს ყველაფერი უარყოფითად იმოქმედებს ამერიკულ სპორტზე და მთლიანად ეკონომიკაზე. თუმცა, როგორც ჰანტერმა აღნიშნა, შანსი ჯერ კიდევ არის. ბოლო შანსი.

# ტრეიდებს რაღა აზრი აქვს



კრის ბოში

ლოკაუტის ამბავმა, რა თქმა უნდა, ყველა სიახლე დაჩრდილა, თუმცა რამდენიმე სატრანსფერო ინფორმაცია ოკეანის გაღმიდან მაინც გავრცელდა. ყველაზე საინტერესოა „კლივლენდსა“ და „საკრამენტოს“ შორის განხორციელებული ტრეიდი, რომლის მიხედვითაც „კინგზში“ გადავა ფორვარდი **ჯეი ჯეი ჰიქსონი**, „კავალიერსმა“ კი მიიღო მცველი **ომრი კასპი** და მომავალი დრაფტის პირველ რაუნდში არჩევის უფლება.

შარშან ჰიქსონის საშუალო შედეგიანობა 13,8 ქულასა და 8,7 მოხსნას უდრიდა, კასპის სტატისტიკა კი 8,6 ქულასა და 4,3 მოხსნას შეადგენდა.

■ ■ ■

ამერიკულმა პრესამ შეადგინა ხუთი მოთამაშისგან შემდგარი სია, რომლებსაც ყურადღება უნდა მიაქციოს „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ხელმძღვანელობამ. ზაფხულში კალიფორნიულმა კლუბმა უნდა იბრძოლოს **ერსან ილიასოვასთვის, დი ჯეი ოგუსტინისთვის, ჯონ ფლინისთვის, რამონ სეშენსისთვისა** და **კრის ანდერსონისთვის**. ექსპერტები მხოლოდ პირველ ორ კანდიდატურას ეთანხმებიან.

■ ■ ■

თუ მრავალრიცხოვან ჭორებს დავუჯერებთ, ბრაზილიელი **ნენე ილარიო** და „დენვერი“ შორს არიან ახალი კონტრაქტის გაფორმებასთან - მიუხედავად იმისა, რომ კლუბის ხელმძღვანელობას ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი ოპტიმიზმი აქვს.

თუ „ნაგეტსმა“ ვერ შეინარჩუნა ეს ცენტრი, მისი სათამაშო პოტენციალი აშკარად დაეცემა.

■ ■ ■

**ჯეიმს ჯონსმა** გამოიყენა თავის კონტრაქტში არსებული პუნქტი და თავისუფალი აგენტი გახდა. როგორც ჩანს, „მაიამის“ სნაიპერი განაწყენდა იმის გამო, რომ თითქმის მთელი პლეი ოფი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ეს ლოგიკურია, რადგან „ოლ სტარზე“ სამქულიანების კონკურსის გამარჯვებული იმსახურებდა თავის გამოჩენის შანსს.

■ ■ ■

გაზეთი Salt Lake Tribune იტყობინება, რომ D-ლიგის კლუბი „იუტა ფლეში“ ბანკროტი გახდა და მონაწილეობას ვერ მიიღებს 2011-12 წლების ჩემპიონატში. შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი ერთდროულად „იუტა ჯაზისა“ და „ატლანტა ჰოქსის“ ფარმ-კლუბია. ასე რომ, ამერიკაში საკალათბურთო ფინანსური კრიზისი მარტო NBA-ს არ შეეხო.

■ ■ ■

ამასობაში, „მაიამი ჰიტის“ ერთ-ერთი ლიდერი **კრის ბოში** ქორწილისთვის ემზადება და ამ მოვლენის წინ მან ლას ვეგასში მეგობრებისთვის წვეულება მოაწყო, რომელიც ოთხი დღე გაგრძელდა. საინტერესოა ის არის, რომ სტუმრებს შორის არ ყოფილან არც **ლებრონ ჯეიმსი** და **დუეინ უეიდი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### მს. ჩემპიონატი

##### ქალები

| | |
|---|---|
| იაპონია-მექსიკა | 4:0 |
| ახ. ზელანდია-ინგლისი | 1:2 |

##### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| დინამო (კ)-ასტრა | 3:2 |
| კარპატი-უნივერსიტატეა (კლ) | 0:2 |
| ბოხუმი-დუისბურგი | 2:0 |
| შაფჰაუზენი-ვინტერტური | 3:1 |
| ბრაუნშვაიგი-მაინცი | 0:1 |
| რეგენსბურგი-აუგსბურგი | 0:1 |
| მანიშა-კოტბუსი | 0:1 |
| სტ. პაული-მიდტიულანდი | 1:0 |
| პადერბორნი-კიოლნი | 4:1 |
| რაპიდი-მიუნხენი | 0:0 |
| ციურიხი-ლოკარნო | 4:1 |
| ტეპლიცე-დინამო (დ) | 1:1 |
| ჰოფენჰაიმი-ვორმატია | 2:1 |
| აპოელ-სპარტა | 1:1 |
| სიონი-ნიონე | 1:0 |
| ვანი-რეიმსი | 1:2 |

#### შვედეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| კვიდინგი-ვასტერასი | 0:1 |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| ბრეი-სლიგო | 0:3 |
| დროგედა-დერი | 0:3 |
| დანდალკი-ბოჰემიანსი | 1:3 |
| გალვეი-უნივერსიტი | 3:4 |

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ეთლონი-უექსფორდი | 2:0 |
| ლიმერიკი-მერვუ | 2:0 |
| უოტერფორდი-ლონგფორდი | 1:0 |
| მონეგანი-შელბურნი | 0:1 |

### კალათბურთი

#### ევროპის ჩემპიონატი

##### ქალები

| | |
|---|---|
| ლიტვა-ჩერნოგორია | 59:68 |
| ჩეხეთი-რუსეთი | 53:85 |
| საფრანგეთი-თურქეთი | 62:68 (ო) |

## TV პროგრამა

### 2 ივლისი. შაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** კოპა ამერიკა 2011. საზეიმო გახსნა. არგენტინა.
**11:15** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა - ბოლივია. არგენტინა.
**13:15** სეზონის შეჯამება. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი.
**14:05** სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია.
**15:05** სეზონის შეჯამება. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი.
**16:45** კოპა ამერიკა 2007. ფინალი. ბრაზილია-არგენტინა.
**19:00** ტელეჟურნალი - საფეხბურთო სამყარო.
**19:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:10** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა - ბოლივია. არგენტინა.
**22:20** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-კოსტა რიკა. არგენტინა (LIVE).
**00:30** ჩემპიონის გზა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერი.
**14:00** გადაცემა - სპორტის ვარსკვლავები.
**14:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**15:00** სეზონის შეჯამება. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო.
**16:00** სეზონის შეჯამება. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე.
**17:00** სუპერმატჩი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ლევერკუზენი.
**19:00** სეზონის შეჯამება. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი.
**21:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-კოსტა რიკა. არგენტინა.
**22:50** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ვენესუელა. არგენტინა (LIVE).
**01:20** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. პარაგვაი-ეკვადორი. არგენტინა (LIVE).

#### GMG-სპორტი

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ავაი-ფლუმინენსე.
**12:00** კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი“. მაკაბი- რეალი. ბარსელონა. ესპანეთი.
**13:45** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ტულუზა-კლერმონი.
**15:30** ყოველკვირეული ჟურნალი - ემოციები.
**16:00** ჩოგბურთი. უიმბლდონის მიმოხილვა.
**17:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. ქალები. ფინალი. მარია შარაპოვა-პეტრა კვიტოვა. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი“. მაკაბი- რეალი. ბარსელონა. ესპანეთი.
**21:45** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ტულუზა-კლერმონი.
**23:30** K1. ბრძოლა წესების გარეშე.

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**22:20** კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-კოსტა რიკა. არგენტინა (LIVE).

#### HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

**16:55** ჩოგბურთი. უიმბლდონი. ქალები. ფინალი. მარია შარაპოვა-პეტრა კვიტოვა. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

#### SPORT+

**16:55** ჩოგბურთი. უიმბლდონი. ქალები. ფინალი. მარია შარაპოვა-პეტრა კვიტოვა. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

#### EUROSPORT

**12:30** ნიჩბოსნობა. მსოფლიოს თასი. სლალომი. ლარჟანტიერი. საფრანგეთი (LIVE).
**14:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. პროლოგი (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. აშშ-კოლუმბია. გერმანია (LIVE).
**00:30** ცხენოსნობა. Global Champions Tour. ეშტორილი. პორტუგალია (LIVE).

#### EUROSPORT-2

**13:00** რაგბი. წყნარი ოკეანის ერთა თასი. I რაუნდი. იაპონია-სამოა (LIVE).
**16:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ჩრ. კორეა-შვედეთი. გერმანია (LIVE).
**18:00** ბალახის ჰოკეი. ტურნირი Champions Trophy. ქალები. ამსტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**20:30** ბალახის ჰოკეი. ტურნირი Champions Trophy. ქალები. ამსტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**02:15** მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. Four cross. კანადა (LIVE).

### 3 ივლისი. კვირა

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-კოსტა რიკა. არგენტინა.
**12:00** ჩემპიონის გზა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერი.

#### GMG-სპორტი

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-ატლეტიკო მინეირო.
**12:00** კალათბურთი. ევროლიგა. 1/2 ფინალი. მონტეპასკი-პანათინაიკოსი. ბარსელონა. ესპანეთი.
**13:50** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ტულუზა-მონპელიე.
**16:10** ჩოგბურთი. უიმბლდონის მიმოხილვა.
**17:00** ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. უიმბლდონი. კაცები. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**21:30** კალათბურთი. ევროლიგა. 1/2 ფინალი. მონტეპასკი-პანათინაიკოსი. ბარსელონა. ესპანეთი.
**23:20** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ტულუზა-მონპელიე.

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**22:50** კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ვენესუელა. არგენტინა (LIVE).
**01:20** კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. პარაგვაი-ეკვადორი. არგენტინა (LIVE).

#### HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

**16:55** ჩოგბურთი. უიმბლდონი. კაცები. ფინალი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

#### HTB-პლუსი (კალათბურთი)

**19:55** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მე-3 ადგილისთვის. პოლონეთი (LIVE).
**22:25** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ფინალი. პოლონეთი (LIVE).

#### SPORT+

**16:55** ჩოგბურთი. უიმბლდონი. კაცები. ფინალი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**22:25** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ფინალი. პოლონეთი (LIVE).

#### EUROSPORT

**12:00** ავტოსპორტი. ტურიზმის კლასი. გასახურებელი წრე. პორტუ. პორტუგალია (LIVE).
**15:00** ავტოსპორტი. ტურიზმის კლასი. I რბოლა. პორტუ. პორტუგალია (LIVE).
**15:55** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. I ეტაპი (LIVE).
**19:30** ავტოსპორტი. ტურიზმის კლასი. II რბოლა. პორტუ. პორტუგალია (LIVE).
**20:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ნორვეგია. გერმანია (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/4 ფინალი. მექსიკა (LIVE).

#### EUROSPORT-2

**14:00** ავტოსპორტი. ლე მანის სერია. იმოლა. იტალია (LIVE).
**15:00** ავტოსპორტი. „რენოს“ მსოფლიოს სერია. II რბოლა. მონაკო (LIVE).
**16:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ავსტრალია-გვინეა. გერმანია (LIVE).
**21:00** ბალახის ჰოკეი. ტურნირი Champions Trophy. ქალები. ამსტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**23:00** მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. სწრაფდაშვება. კანადა (LIVE).

კრივი





დევიდ ჰეი და ვლადიმერ კლიჩკო აწონვის ცერემონიაზე

# უპირატესობა კლიჩკოსია: წონაშიც და პროგნოზებშიც

დღეს, გერმანიის ქალაქ ჰამბურგში, „იმტეხის" საფეხბურთო არენაზე წლის ერთ-ერთი მთავარი ბრძოლა გაიმართება - რინგზე ერთმანეთის წინაშე წარსდგებიან სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონები: უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** (55-3-0, 49KO) და ბრიტანელი **დევიდ ჰეი** (25-1-0, 23KO).

გუშინ აწონვის ტრადიციული ცერემონია გაიმართა და უკრაინელი მეტოქეზე გაცილებით მძიმე აღმოჩნდა: კლიჩკოს წონაა 110 კილოგრამი, ჰეის - 96,5.

მომავალი ბრძოლის შესახებ პროგნოზები მრავლად კეთდება. ბუკმეიკერები ერთხმად ანიჭებენ უპირატესობას კლიჩკოს. აი, როგორ გამოიყურება პოპულარული ბრიტანელი ტოტალიზატორის - William Hill-ის ფსონები:

კლიჩკოს მოგება - 1.50 (ვადაზე ადრე - 1.91, მსაჯების გადაწყვეტილებით - 5.50);

ჰეის მოგება - 2.75 (ვადაზე ადრე - 3.00, მსაჯების გადაწყვეტილებით - 13.00);

ბრძოლის ხანგრძლივობა - 1-9 რაუნდი - 1.7, 10-12 რაუნდი - 2.0;

თავისი პროგნოზი გააკეთა მომავალ ბრძოლაზე ლეგენდარულმა **მაიკ ტაისონმა**. ამერიკელს მიაჩნია, რომ კლიჩკო იოლად დაამარცხებს ჰეის - ბრძოლა სამი რაუნდიც არ გაგრძელდება და უკრაინელი ნოკაუტში გაუშვებს მოწინააღმდეგეს.

ტაისონის თქმით, მას მოსწონს ჰეი და აფასებს ბრიტანელს, როგორც ადამიანს, მაგრამ მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი მიიჩნევს, რომ კლიჩკო დევიდზე გაცილებით ძლიერია და ბრიტანელი ვერ გაუმკლავდება მეტოქეს. ტაისონმა ისიც დაამატა, რომ ჰეის „არ დაუმსახურებია" კლიჩკოსთან შეხვედრა.

უკრაინელს არაერთხელ უთქვამს, რომ მე-12 რაუნდში აქვს დაგეგმილი ნოკაუტი, თავის მხრივ, ჰეიმ ცოტა ხნის წინ განაცხადა - არაუგვიანეს მეექვსე რაუნდისა უკრაინელს რინგზე დასცემს.

# ჩხუბი პრესკონფერენციაზე

## ფლოიდ მეივეზერი: მენი, შენ შემდეგი იქნები

საინტერესოდ განვითარდა მოვლენები დაუმარცხებელი ამერიკელის **ფლოიდ მეივეზერისა** (41-0-0, 25KO) და **ვიქტორ ორტისის** (29-2-2, 22KO) პრესკონფერენციაზე, რომელიც ლოს ანჯელესში გაიმართა. ეს მოკრივეები 17 სექტემბერს ლას ვეგასში შეხვდებიან ერთმანეთს და გაითამაშებენ ნახევრადსაშუალო წონაში WBC-ის ტიტულს, რომელიც ორტისს ეკუთვნის.

პრესკონფერენციამდე მოკრივეებს შორის კინაღამ ჩხუბი ატყდა, რომელიც 24 წლის ორტისის პროვოცირებული იყო. მან რამდენიმე უცენზურო სიტყვა იხმარა, რამდენჯერმე ხელი ჰკრა მეტოქეს და ბოლოს თავიც ჩაარტყა მეივეზერს.

მაგრამ გაცილებით საინტერესო იყო პრესკონფერენციის ის ნაწილი, რომელშიც მეივეზერმა ფილიპინელ **მენი პაკიაოსთან** სავარაუდო შეხვედრაზე ილაპარაკა. საინტერესო იმიტომ, რომ ამერიკელმა პრაქტიკულად თანხმობა განაცხადა ფილიპინელთან ჩხუბზე.

თავისი მონოლოგის დროს მეივეზერმა აღნიშნა, რომ არასოდეს დაუდანაშაულებია პაკიაო დოპინგის მიღებაში. უბრალოდ, ფლოიდი თავისი ყოველი ბრძოლის წინ ოლიმპიური სისტემით აპირებს დოპინგტესტის გავლას და იმავეს ითხოვს მოწინააღმდეგისგანაც.

*„მსურს თუ არა პაკიაოსთან შეხვედრა? რა თქმა უნდა. თუ ეს კრივის მოყვარულებს ძალიან უნდათ, ვაჩუქებ მათ ამ სანახაობას. არასოდეს მითქვამს, რომ პაკიაო თაღლითობს. მხოლოდ ის აღვნიშნე, რომ ნებისმიერმა ჩემმა მეტოქემ უნდა გაიაროს დოპინგ-ტესტი.*

*მენის დისკრედიტაცია არასოდეს მიცდია. თუ შენ გინდა ჩემ წინააღმდეგ რინგზე გასვლა და გამარჯვება, მაშინ ტესტი უნდა გაიარო. ასეთ შემთხვევაში მივიღებთ პატიოსან თამაშს"*, - ამბობს მეივეზერი.

*„მენი, შენ შემდეგი იქნები"*, - ასე დაასრულა ამერიკელმა თავისი გამოსვლა.



კინკლაობა პრესკონფერენციაზე

■ ■ ■

ამასობაში, ცნობილმა პრომოუტერმა **ბობ არუმმა** გამოაცხადა, რომ მისი ორი შეგირდი - პირველ საშუალო წონაში WBA-ის ჩემპიონი **მიგელ კოტო** და ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ანტონიო მარგარიტო** 3 დეკემბერს ამერიკაში გამართავენ მატჩრევანშს.

79 წლის არუმის თქმით, გარიგება შედგა და ერთადერთი გასარკვევი საკითხია, სად გაიმართება ბრძოლა - ნიუ იორკში თუ ლას ვეგასში.

შეგახსენებთ, რომ ამ მოკრივეებს შორის პირველი ბრძოლა 2008 წლის 26 ივლისს გაიმართა და მაშინ მე-11 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა ანტონიო მარგარიტომ.



მაიკ ტაისონი

# ტაისონი 45 წლისაა

ლეგენდარულ **მაიკ ტაისონს** ორი დღის წინ 45 წელი შეუსრულდა. მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი 1966 წლის 30 ივნისს ნიუ იორკში დაიბადა. 15 წლის ასაკში დაიწყო სამოყვარულო კარიერა, რომელიც არც ისე წარმატებული იყო: სხვადასხვა მონაცემით, მაიკმა სამოყვარულო რინგზე 25-დან 30-მდე ბრძოლა ჩაატარა და არანაკლებ ექვსჯერ დამარცხდა. 1984 წელს ტაისონი აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი იყო, მაგრამ ლოს ანჯელესის თამაშებზე ვერ მოხვდა, რადგან შესარჩევ ტურნირში ორი ბრძოლა დათმო.

1985 წლის მარტში ტაისონი პირველად გავიდა პროფესიულ რინგზე და უკვე 1987 წლის პირველ აგვისტოს ისტორიაში მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

24 წლის შემდეგ, 2011 წლის ივნისში მაიკ ტაისონი კრივის საერთაშორისო დიდების დარბაზში შეიყვანეს.

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. 1/2 ფინალი

# ნოვაკი პირველია!

ორშაბათიდან ATP-ის მსოფლიოს რეიტინგს ახალი ლიდერი ეყოლება. **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** მიმდინარე უიმბლდონზე პირველი მიზანი შეასრულა - ფინალში გავიდა, რითაც პირველი ჩოგანის სტატუსი გაინაღდა. მეორე მიზნის - ტიტულის მოგებისთვის მას კვირას **რაფაელ ნადალის** დამარცხება სჭირდება. სწორედ მას ჩამოართვა ნოვაკმა ლიდერობა კლასიფიკაციაში.

**ATP-ის ყველა ლიდერი**

| | |
|---|---|
| 1. პიტ სამპრასი (აშშ) | 286 კვირა |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 285 |
| 3. ივან ლენდლი (ჩეხ) | 270 |
| 4. ჯიმი კონორსი (აშშ) | 268 |
| 5. ჯონ მაკინროი (აშშ) | 170 |
| 6. ბიორნ ბორგი (შვედ) | 109 |
| 7. რაფაელ ნადალი (ესპ) | 102 |
| 8. ანდრე აგასი (აშშ) | 101 |
| 9. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 80 |
| 10. სტეფან ედბერგი (შვედ) | 72 |
| 11. ჯიმ კურიე (აშშ) | 58 |
| 12. გუსტავო კუერტენი (ბრა) | 43 |
| 13. ილიე ნასტასე (რუმ) | 40 |
| 14. მატს ვილანდერი (შვედ) | 20 |
| 15. ენდი როდიკი (აშშ) | 13 |
| 16. ბორის ბეკერი (გერ) | 12 |
| 17. მარატ საფინი (რუს) | 9 |
| 18. ჯონ ნიუკომბი (ავსტრა) | 8 |
| 18. ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 8 |
| 20. თომას მუსტერი (ავსტრი) | 6 |
| 20. მარსელო რიოსი (ჩილ) | 6 |
| 20. ევგენი კაფელნიკოვი (რუს) | 6 |
| 23. კარლოს მოია (ესპ) | 2 |
| 24. პატრიკ რაფტერი (ავსტრა) | 1 |
| 24. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 |

ჯოკოვიჩი გუშინ **როჯერ ფედერერის** მძლეველ **ჟო-ვილფრიდ ცონგას** ხვდებოდა. პირველ სეტში მეტოქეებმა თითო ბრეიკი გაცვალეს. სხვათა შორის, ფრანგი 5:4-ზე სეტზე აწვდიდა და სწორედ ამ დროს წააგო საკუთარი გეიმი, რის შემდეგაც ტაი-ბრეიკი დაინიშნა, სადაც უფრო ძლიერი სერბი ჩოგბურთელი აღმოჩნდა - 7:6 (7:4). მეორე სეტში ცონგამ შეცდომებს უმატა, რასაც ორი საკუთარი გეიმის წაგება მოჰყვა - 6:2 ჯოკოვიჩის სასარგებლოდ.

ყველაზე დრამატულად მოვლენები მესამე სეტში განვითარდა. ნოვაკმა ადრეული ბრეიკი გააკეთა და თითქოს გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი, მაგრამ ცონგამ მოულოდნელად თამაშს უმატა და უკუბრეიკით ანგარიში გაათანაბრა - 4:4. თუმცა დიდი გაჭირვებით გადარჩენილი სეტის ბედი ისევ ჯოკოვიჩის ხელში აღმოჩნდა - მან მორიგი ბრეიკი გააკეთა და 6:5-ზე მატჩზე ჩაწოდების საშუალება მიიღო. მაგრამ მე-12 გეიმში ფრანგმა სამმაგი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, შანსი გამოიყენა და დაინიშნა მატჩში მეორე ტაი-ბრეიკი. იქაც დრამატული ბრძოლა იყო - ცონგას ორი მატჩბოლის გადარჩენამ მოუწია, რის შემდეგაც ეს ხანგრძლივი გეიმი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 11:9.

ჟომ მესამე სეტს ბევრი ძალა და ემოცია შეალია და წარმატების განვრცობა ველარ მოახერხა. ფრანგმა ისევ ძალიან მალე დაკარგა საკუთარი მოწოდება და შემდეგ მისი დაბრუნება ველარ მოახერხა - 3:6.

ასე გავიდა პირველად უიმბლდონის ფინალში ჯოკოვიჩი და პირველად გახდა კლასიფიკაციის ლიდერი. ის რიგით 25-ე ჩოგბურთელია, ვინც სათავეში ჩაუდგა ATP-ის რეიტინგს.

*„მთელი კარიერის განმავლობაში ასეთი ემოცია არ მიმიღია. პირველად გავედი უიმბლდონის ფინალში! ეს უბრალოდ ფანტასტიკაა!*

*ახლა არ ვიცი, როგორ აღვნიშნავ ამ წარმატებას, აგრეთვე მსოფლიოს რეიტინგში დაწინაურებას. ვფიქრობ, მოგვიანებით მოვასწრებ ამას მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად. ბრძოლა ჯერ დასრულებული არ არის. ფინალში სიამოვნების მიღებას ვაპირებ"*, - განაცხადა ჯოკოვიჩმა.

■ ■ ■

ჯოკოვიჩის მეტოქე ნადალისა და **ენდი მიურეის** შეხვედრაში ირკვეოდა. ცენტრალურ კორტზე შეკრებილმა პუბლიკამ უკვე მერამდენედ იმედგაცრუებულმა დატოვა კორტი - ენდიმ კვლავ გამოავლინა გადამწყვეტი მატჩების კომპლექსი და კარგად დაწყებული შეხვედრა კატასტროფულად დაასრულა.

პირველ სეტში თანაბარი თამაში იყო და მეტოქეებმა 11 გეიმი ისე ჩაატარეს, რომ ერთი ბრეიკ-პოინტიც არ დაფიქსირებულა. მე-12 გეიმში ნადალის მოწოდებაზე მიურეიმ სამმაგი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა და მეორე ცდაზე გამოიყენა შანსი.

მეორე სეტში ისევ გაგრძელდა თანაბარი თამაში, ოღონდ 2:2-მდე. მეხუთე გეიმში ნადალმა მატჩში პირველი ბრეიკ-პოინტი მიიღო და პირველად მოიგო მეტოქის მოწოდება. ისე გამოვიდა, რომ რაფამ ზედიზედ შვიდი გეიმი აიღო, რისი წყალობითაც მოიგო მეორე სეტი 6:2 და მესამეში 2:0 დაწინაურდა.

მიურეი მატჩის ბოლომდე ვერ მოვიდა გონს. ბრიტანელმა მესამე პარტიაშიც ორი საკუთარი მოწოდება დათმო, მესამეში - ერთი და ასეთი ანგარიშით დამარცხდა - 7:6, 2:6, 2:6, 4:6.

თამაში ორ საათსა და 59 წუთს გაგრძელდა და ეს იყო ნადალის მე-12 გამარჯვება ბრიტანელთან ჩატარებულ 16 შეხვედრაში.

**კაცები**

**1/2 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ენდი მიურეი (ბრიტ, 4) 5:7, 6:2, 6:2, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 12) 7:6(4), 6:2, 6:7(9), 6:3.



რეიტინგის ახალი ლიდერი

ჰოკეი

## P.S. იაგრი ფილადელფიაშია

მცდარი აღმოჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩეხური ჰოკეის ლეგენდა **იარომირ იაგრი** „პიტსბურგში" გააგრძელებს კარიერას. გუშინ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში თავისუფალი აგენტების ბაზარი გაიხსნა და იაგრმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ფილადელფიასთან", რის სანაცვლოდაც 3.3 მილიონ დოლარს მიიღებს.

ეს ცნობა ოფიციალურია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**